

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი

თეუსუ

INTERNATIONAL REFEREED AND REVIEWED SCIENTIFIC JOURNAL OF THE TBILISI  
STATE UNIVERSITY OF ECONOMIC RELATIONS

TEUSU

ЕЖЕКВАРТАЛЬНЫЙ МЕЖДУНАРОДНЫЙ РЕФЕРИРУЕМЫЙ И РЕЦЕНЗИРУЕМЫЙ  
НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА  
ЭКОНОМИЧЕСКИХ ОТНОШЕНИЙ

ТЭУСУ

3 (11)

*ჟურნალი გამოდის ყოველკვარტალურად  
ჟურნალი „თეუსუ“ 2010 წლამდე გამოდიოდა  
„კომერსანტი“-ს სახელწოდებით*

Quartely Published

Выходит ежеквартально

თბილისი Tbilisi Тбилиси

2010

UDC (უაკ) 347.71+339.178

თ – 51

### სარედაქციო კოლეგია

ავთანდილ ჩუთლაშვილი - მთავარი რედაქტორი, პროფესორი. მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: ანზორ თოთაძე (რედაქტორი), გია ლაღანიძე, ბესიკ ალადაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), დავით იაკობიძე, ნოდარ ბაგრატიონი, გურამ ყუფუნია, ვალერი ვაშაკიძე, ვენედი ბენიძე, ოთარ გამყრელიძე, გია მეფარიშვილი, იაკობ ფუტყარაძე, რომან შენგელია, გია ლილუაშვილი

### სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

ჩერეკ ბუსტრა (ნიდერლანდები), დიმიტრი შესტაკოვი (რუსეთი), ჰელმუტ კური (გერმანია), ვიქტორ ივანენკო (უკრაინა), როლფ კნიპერი (გერმანია).

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
დაკაბადონება ნატო არაბიძე

© თეუსუ, 2010

დაბეჭდილია თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა  
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში  
ქეთევან წამებულის ქ. №55, ტ. 45-48-51  
[www.teusu.edu.ge](http://www.teusu.edu.ge)

## EDITORIAL COUNCIL

### **Avtandil Chutlashvili-Head of Board**

Anzor Totadze, Gia Gaganidze, Besik Aladashvili (Executive Secretary), David Iakobidze, Nodar Bagrationi, Guram Kupunia, Valeri Vashakidze, Venedi Benidze, Otar Gamkrelidze, Gia Meparishvili, Iakob Putkaradze, Roman Shengelia, Gia Liluashvili

## INTERNATIONAL BOARD

Tjerek Busstra (Netherlands), Dmitri Shestakov (Russian), Helmut Kur (Germany), Victor Ivanenko (Ukraine), Rolf Knipper (Germany).

## РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ

### **Автанлил Чутлашвили -Главный редактор**

Анзор Тотадзе. Гиа Гаганидзеб. Бесик Аладашвили (Ответственный секретарь)ю Нодар Багратиониб Гурам Купуниаю. Валери Вашакидзе. Венеди Бенидзеб. Роман Шенгелия. Гиа Мепаришвили. Якоб Путкарадзе. Гиа Лилуашвили.Омар Гамкрелидзе.

## МЕЖДУНАРОДНЫЙ СОВЕТ ЖУРНАЛА

Черек Бустра (Нидерланды). Дмитрий Шестаков (Россия). Гельмут Кур (Германия). Виктор Иваненко (Украина). Рольф Книрер (германтя).

შინაარსი  
СОДЕРЖАНИЕ  
CONTENT

ეკონომიკა  
ЭКОНОМИКА  
ECONOMIC

კონსტანტინე ხმალაძე

რეგიონულ კვლევებში ანალიტიკურ-პროგრამული მიდგომების შესახებ;  
Konstantine Khmaladze

Analytical and programmatic approaches in regional researches;

Константин Хмаладзе

Об аналитико-программных подходах в региональных исследованиях;

ბადრი რამიშვილი

საქართველოს სტრატეგიული განვითარების  
მიმართულებები;

Badri Ramishvili

Directions of Strategic Development of Georgia;

Бадри Рамишвили

Направления стратегического развития Грузии;

მეტონიძე ლია

სახელმწიფო მარკეტინგის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;  
Metonidze Lia

Outlooks of development of State Marketing in Georgia;

Лиа Метонидзе

Перспективы развития государственного маркетинга в Грузии;

ზურაბ კოზმავა

ეკონომიკური დიპლომატიის არსი;

Zurab Kozmava

Economic Diplomacy;

Зураб Козмава

Сущность Экономической Дипломатии;

ზვიად ელიზბარაშვილი

დანაშაულთა ერთობლიობის პრობლემა ბანდიტიზმის კვალიფიკაციისას;  
Zviad Elizbarashvili

Problems of Unification of Crime while Qualification of Banditism;  
Звиადი Элисбарашვილი  
ГНПРОБЛЕМА СОВОКУПНОСТИ ПРЕСТУПЛЕНИЙ  
ПРИ КВАЛИФИКАЦИИ ПРЕСТУПЛЕНИЙ;

მანანა ჭიპაშვილი  
სოციალური დაცვის სისტემა საქართველოში რეფორმამდე  
და რეფორმის შემდგომ;

სამართალი  
ПРАВО  
LAW

დავით ძამუკაშვილი  
დაცვის ობიექტი ქართული და ევროპული დიზაინის სამართლის  
მიხედვით;

David Dzamukashvili

Object of protection in accordance with Georgian and European Design Law;

Давид Дзамукашвили

Объект охраны в соответствии с Грузинским и Европейским правом о дизайне;

ნიკოლოზ ფიცხელაური

სიახლენი ქართულ საარბიტრაჟო კანონმდებლობაში;

Nikoloz Pitskhelauri

Innovations to the Georgian Legislation on Arbitration;

Николоз Пицхелаури

Новшества в Арбитражном Законодательстве Грузии;

თამარ ვეფხვაძე

საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების მონაწილეთა  
სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა;

Tamar Vepkhvadze

The determination of legal status of air carriage agreement participants;

Вепхвадзе Тамара

Определение правового статуса участников договора авиаперевозки;

ეკატერინე ნინუა

შესატანის განსაზღვრის ზოგადი დებულებანი ამხანაგობაში  
(ერთობლივ საქმიანობაში);

Ekaterine ninua

General regulations on the issue of holding introduction into copartnership (joint activity);

Екатерине Нинуа

Научная статья выполнена на тему: Общие положения определения вкладов в товарищество (в совместную деятельность);

ქეთევან ზაკარეიშვილი

დავალების გარეშე სხვისი საქმების შერულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

Ketevan Zakareishvili

Remuneration for the damage imposed by benevolent intervention in someone else's affairs;

Кетеван Закареишвили

Возмещение вреда при исполнении чужих дел без поручения;

ალექსანდრე ლილუაშვილი

საქმის წარმოების განახლების წესი და ფორმა აშშ-ის სამოქალაქო საპროცესო კანონდებლობით;

Alexandre Liluashvili

FORM AND RULE OF REVIEW ENTERED INTO LEGAL FORCE OF JUDGMENTS IN CIVIL PROCEDURE LAW IN USA;

Александр Лилуашвили

ФОРМА И ПОРЯДОК ПЕРЕСМОТРА ВСТУПИВШИХ В ЗАКОННУЮ СИЛУ СУДЕБНЫХ РЕШЕНИЙ В ГРАЖДАНСКОМ ПРОЦЕССУАЛЬНОМ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВЕ США;

იოსებ გაბარაევი

«გაუპატიურების კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი»;

Ioseb Gabaraevy

“Some of the questions of qualified rape“;

Иосиф Габараев

«Некоторые вопросы по квалификации изнасилования»;

ლაშა მინდაძე

არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის ბიოლოგიური მიმართულება და სასჯელის აღსრულების პრობლემები;

Lasha Mindadze

Biological trend of prevention of juvenile criminality and problem of punishment;

Лаша Миндадзе

Биологическое направление превенции преступности несовершеннолетних и проблемы исполнения наказания.

# ეკონომიკა

*კონსტანტინე ხმაღაძე, პროფესორი*

## რეგიონულ კვლევებში ანალიტიკურ-პროგრამული მიდგომების შესახებ

საქართველოში ჩამოყალიბდა რეგიონული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროცესის რეგულირების ერთიანი სისტემა, რაც მოიცავს დაფინანსების სხვადასხვა წყაროს ხარჯზე განხორციელებული საინვესტიციო პროექტების შერჩევას, ფინანსირების მოცულობების განსაზღვრას, კოორდინაციასა და შესრულებაზე მონიტორინგს.

ინფრასტრუქტურის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე სრულად მოწყობისა და მოწესრიგებით, რაც წარმატებით დასრულდება უახლოეს მომავალში, მომზადდა საფუძველი და წინაპირობები კომპლექსური ხასიათის რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

დღის წესრიგში დადგა საკითხი ინფრასტრუქტურაში ინვესტირებული რესურსების უკუგების შესახებ, რაც გულისხმობს სამეწარმეო ბრუნვაში მათ მაქსიმალურად ჩართვასა და სარგებლიანობას წარმოების განვითარების, დასაქმების ზრდის, შემოსავლებისმატებისა და სხვა სოციალური პრობლემის მოგვარების სახით. შესაბამისად, მუშაობა უნდა გაძლიერდეს შემდეგი მიმართულებებით:

პირველი, რეგიონებში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ანალიზი და შეფასება.

იგულისხმება, ქვეყნის მხარეების განვითარების დონის ანალიზი ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მაჩვენებელთა მიხედვით (წარმოების, შრომის, ფინანსური, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროების მაჩვენებლები, სამეწარმეო სტატისტიკა). შედეგად, განისაზღვრება ცალკეული მხარის (მათ შორის მუნიციპალიტეტების) ადგილი და როლი ქვეყნის ეკონომიკაში, რეგიონული განვითარების საშუალო დონე და შესაბამისად - შედარებით განვითარებული და ნაკლებგანვითარებული, ანუ დეპრესიული რეგიონები. ანალიტიკურმა მასალამ უნდა მოიცვას;

• რეგიონის (მხარე, მუნიციპალიტეტი) ინფრასტრუქტურის მდგომარეობა: საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, კომუნალური მომსახურებისა და სხვ. ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ადგილობრივი გზების კეთილმოწყობის ხარისხი; მოსახლეობის ენერგოუზრუნველყოფა, ელექტროენერჯის მიწოდების მდგომარეობა (გამრიცხველიანება, გადახდა); საინვესტიციო პროექტების მიმდინარეობა და მათი განხორციელების შედეგად მიღებული სოციალური ეფექტი, გამოხატული კონკრეტულ

პარამეტრებში: ელექტროენერჯის, გაზის, წყლის მომხმარებელთა რიცხვის ზრდა; გამრიცხველიანებულ აბონენტთა რაოდენობის მატება, სატრანსპორტო მიმოსვლის (მგზავრთა და ტვირთების ნაკადების) ზრდა; სკოლამდელი, ზოგადსაგანმანათლებლო, ჯანდაცვის, კულტურის, სპორტის, განმაჯანსაღებელი და სხვ. ორგანიზაციების მუშაობის მაჩვენებლების გაუმჯობესება და ა. შ.

უნდა შეფასდეს კორელაციის ხარისხი დინამიკაში, ანუ რამდენად შედეგიანია ინფრასტრუქტურაში ინვესტირებული რესურსები. ეს იმავდროულად გვიჩვენებს, თუ რამდენად სწორი, მიზანმიმართული და შედეგებზე ორიენტირებულია ჩვენს მიერ მიღებული საინვესტიციო გადაწყვეტილებები. შესაბამისად, შემუშავდება ინდიკატორები და სათანადო წინადადებები ამ სფეროში სამხარეო ადმინისტრაციებისა და თვითმმართველობების ქცევის კორექტირების მიზნით.

- მეწარმეობის განვითარება. ინფრასტრუქტურა, სტაბილური ენერგომომარაგება, გამართული კომუნიკაციები და სხვ. უშუალოდ აისახება და აისახა კიდევ მეწარმეობისა და ინვესტიციების ზრდაში. შესწავლილ უნდა იქნას რეგიონებში რეგისტრირებულ და მოქმედ სწარმოთა მახასიათებლები საქმიანობის ძირითადი სფეროების მიხედვით, მათი გადახდები ბიუჯეტში, რეგიონების წვლილი ქვეყნის მშპ-ში, მნიშვნელოვანი სამეწარმეო პროექტები, მათ შორის, უცხოური კაპიტალის მონაწილეობით, საექსპორტო პოტენციალი და ა.შ.

- მოსახლეობის დასაქმება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. დასაქმებისა და უმუშევრობის დონე, მიგრაციის მდგომარეობა.

- სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზების და დამუშავების მდგომარეობა; ფერმერთა უზრუნველყოფა სათესლე მასალებით, ტექნიკით, შხამ-ქიმიკატებით, მიწის იჯარიდან შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა და სხვ.

- ადგილობრივი ბიუჯეტი და ურთიერთობა ცენტრალურ ბიუჯეტთან; თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დროულად მიღების მდგომარეობა; ტრანსფერები; ადგილობრივი გადასახადი და მოსაკრებლები (სახეების მიხედვით); გადასახადებისა და არასაგადასახადო შემოსავლების მობილიზაცია. ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულება; ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები (ხარჯები).

ზემოაღნიშნული ანალიტიკური მასალა მოგვცემს შესაძლებლობას:

რეგიონების მიმართ განვახორციელოთ ეფექტიანი სელექციური მიდგომა, კერძოდ, საინვესტიციო რესურსები განაწილდეს არა პროპორციულად, ზოგადი დემოგრაფიული მაჩვენებლებისა და მნიშვნელოვანწილად სუბიექტური შეფასებების მიხედვით, არამედ, კონკრეტული ინფრასტრუქტურული საჭიროებების მიხედვით, სამხარეო კუთვნილების მიუხედავად;

მეტი ყურადღება დაეთმოს დეპრესიულ რეგიონებს, მათი განვითარების დონის გამოთანაბრების უზრუნველსაყოფად;

მეტი მიზანდასახულობა და ეფექტიანობა იქნას მიღწეული დაფინანსების სხვადასხვა წყაროს ხარჯზე განხორციელებული საქმიანობის კოორდინაციის სფეროში.

მეორე, მეთოდოლოგიური და პროგრამული საქმიანობა.

აღსანიშნავია, რომ სამხარეო ადმინისტრაციები და თვითმმართველობები საჭიროებენ ორგანიზაციულ და მეთოდოლოგიურ დახმარებას, რათა მათ განახორციელონ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონითა



და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებანი ეკონომიკის რეგულირების სფეროში. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება:

- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგიონული პროგრამების შემუშავება. რეგიონული პროგრამების შედგენა უნდა გახდეს ის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მოხდება რეგიონული განვითარების სტრატეგიის მიზანდასახულობათა რეალიზაცია, უწყებრივი და ტერიტორიული ინტერესების რაციონალური შეხამება და მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის კოორდინაცია.

საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა რეგიონული განვითარების სტრატეგია, რომელიც დროის მოთხოვნიდან გამომდინარე, თავისი შინაარსით სცილდება შიდა რეგიონული განვითარების პრობლემატიკის მასშტაბებს. იგი წარმოადგენს მმართველობითი და თვითმმართველობითი სისტემის მოწყობის, საბაზრო ურთიერთობების, ტრანსრეგიონული თანამშრომლობის განვითარებისა და ზოგადად, საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირების ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების განმსაზღვრელ სახელმძღვანელო დოკუმენტს.

აღნიშნული სტრატეგიის სამოქმედო მიზანდასახულობათა შესაბამისად ყურადღებას გავამახვილებთ ქვეყნის წინაშე არსებულ უმთავრეს გამოწვევაზე – რეგიონებში მეწარმეობის, პირველ რიგში, მცირე მეწარმეობის განვითარების საკითხზე.

რეგიონებში მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის მნიშვნელოვან მიმართულებად გვესახება მეწარმეობის ხელშემწყობი სახელმწიფო ორგანოს მონაწილეობა რეგიონული და მუნიციპალური პროგრამების დაფინანსებაში.

თანამშრომლობა ცენტრსა და რეგიონებს შორის დამყარებულ უნდა იქნას შეთანხმებაზე მეწარმეობის ხელშემწყობ სახელმწიფო ორგანოს, რეგიონის ადმინისტრაციასა და რეგიონალურ ფონდს შორის პროგრამებისა და პროექტების დაფინანსების წესის შესახებ. შეთანხმებით განისაზღვრება მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო და რეგიონული ბიუჯეტების სახსრების ეფექტიანი გამოყენების წესი.

ცენტრს უნდა განესაზღვროს ფინანსური სახსრების მოზიდვისა და განთავსების ფუნქცია. რეგიონალურმა ადმინისტრაციამ თავის თავზე უნდა აიღოს ასიგნებული სახსრების გამოყენებასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები. რეგიონული ფონდი განახორციელებს უშუალო კონტროლს პროგრამებისა და პროექტების რეალიზაციაზე. შეთანხმების საფუძველზე გაფორმდება რეგიონის ადმინისტრაციის გარანტია, რომლის მიხედვითაც იგი კისრულობს პასუხისმგებლობას ცენტრის ფინანსური რესურსების მიზნობრივად გამოყენებაზე.

ცენტრსა და რეგიონებს შორის პასუხისმგებლობის გამიჯვნისა და მათი ძალისხმევის გაერთიანების ეს სქემა მიღებულია მსოფლიო პრაქტიკაში. იგი საშუალებას იძლევა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი რისკები, უფრო რაციონალურად იქნას გამოყენებული მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერისათვის გამოხონული სახსრები და ფინანსური რესურსები რეგიონებში გახდეს ხელმისაწვდომი მეწარმეებისათვის.

- რეგიონების საინვესტიციო პოტენციალისა და კონკურენტუნარიანობის შეფასება. საინვესტიციო პასპორტების შედგენა.

საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვან მიმართულებას ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა წარმოადგენს. ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების მიზნით სასურველია რეგიონების საინვესტიციო პოტენციალისა და კონკურენტუნარიანობის შეფასება.

ჩვენს მიერ მომზადებულია შესაბამისი მეთოდური მასალა რეგიონული საინვესტიციო პასპორტების შესამუშავებლად.

საინვესტიციო პასპორტი წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს პოტენციური ინვესტორებისათვის. მათ მიეწოდებათ კრებსითი ინფორმაცია მხარეში არსებული რესურსების, მეწარმეობის განვითარების მდგომარეობისა და შესაძლებლობების, ინფრასტრუქტურის, საფინანსო-საბანკო, საინფორმაციო-საკომუნიკაციო და სხვ. სექტორების შესახებ. პასპორტი განსაზღვრავს რეგიონის ფარდობით უპირატესობებს და ინვესტირების შესაძლო სფეროებს.

საინვესტიციო პასპორტი შემუშავდება სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის უფლებამოსილების ფარგლებში არსებული მუნიციპალიტეტების ტერიტორიის მიხედვით.

პასპორტი წარმოადგენს მხარის საინვესტიციო პოტენციალის შემფასებელი მახასიათებლებისა და მაჩვენებლების ერთობლიობას.

პასპორტის შემუშავების მიზანია მხარის საინვესტიციო პოტენციალის განსაზღვრა და საინვესტიციო წინადადებების შემუშავება, რათა უზრუნველყოფილ იქნას:

- ადგილობრივი ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების სრული და ეფექტიანი გამოყენება;

- საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირება, ქვეყნის შიდა და გარე ურთიერთობების განვითარება და გაღრმავება;

- დეპრესიულ ტერიტორიულ ერთეულებში შექმნილი კრიზისული ვითარების დაძლევა და მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტიმულირება;

- სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება;

- გარემოს დაცვა, ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა, აღდგენა და შენარჩუნება.

პასპორტი მოიცავს ღონისძიებათა იმ წრეს, რომელიც ითვალისწინებს რეგიონის ეკონომიკის რეალურ მოთხოვნებს და ხელს უწყობს მისი განვითარების სტრატეგიის რეალიზაციას; საინვესტიციო წინადადებები შემუშავდება მეურნეობის ცალკეული დარგების ჭრილში და მოიცავს მონაცემებს განსახორციელებელი საქმიანობის შინაარსის, მატერიალური რესურსების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ფინანსური სახსრების (საკუთარი და მოზიდული) და მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

პასპორტი ორგანულად ერწყმის რეგიონული განვითარების სახელმწიფოებრივ სტრატეგიას; პასპორტში ასახვა უნდა ჰპოვოს ქვეყანაში მოქმედმა სახელმწიფო პროგრამებმა კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის სპეციფიკის შესაბამისად.

რეგიონების კონკურენტუნარიანობის რეალიზაციის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს კლასტერული ტიპის გაერთიანებების ჩამოყალიბება, რომელიც ჯერჯერობით ჩანასახურ მდგომარეობაშია და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან აქტიურ ძალისხმევას და თანადგომას. კლასტერებიდან მიღებული სინერგიული ეფექტი ხელს შეუწყობს როგორც მეწარმეობის განვითარებას, ასევე ქვეყნის ფისკალური პრობლემების გადაჭრას.

მესამე, რეგიონული განვითარების შესახებ საანგარიშგებო სისტემის შექმნა.

ანალიტიკურ-შეფასებითი და პროგრამული საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით აუცილებელია პერიოდულად მომზადდეს და საქართველოს მთავრობას წარედგინოს ანგარიშგება (მოხსენება) რეგიონული განვითარების შესახებ. ამ მიზნით, სტატისტიკის დეპარტამენტთან შეთანხმებით უნდა შემუშავდეს სათანდო სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები, რომელთა მიხედვითაც პერიოდულად (თვე, კვარტალი, წელი) წარმოდგება ინფორმაცია თვითმმართველობის ორგანოებიდან სამხარეო ადმინისტრაციებში და სამხარეო ადმინისტრაციებიდან რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

აღნიშნული მასალა იმავდროულად გადაეცემათ დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს ფუნქციონალური დანიშნულებით გამოსაყენებლად.

### *კონსტანტინე ხმალაძე, პროფესორი*

#### **რეგიონულ კვლევებში ანალიტიკურ-პროგრამული მიდგომების შესახებ**

რეგიონულ კვლევებში მუშაობა უნდა გაძლიერდეს შემდეგი მიმართულებებით:

- რეგიონებში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ანალიზი და შეფასება (ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, მეწარმეობის განვითარება, მოსახლეობის დასაქმება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, დასაქმებისა და უმუშევრობის დონე, მიგრაციის მდგომარეობა, სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზების და დამუშავების მდგომარეობა, ფერმერთა უზრუნველყოფა სათესლე მასალებით, ტექნიკით, შხამ-ქიმიკატებით, ადგილობრივი ბიუჯეტი და ურთიერთობა ცენტრალურ ბიუჯეტთან);

- მეთოდოლოგიური და პროგრამული საქმიანობა (სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგიონული პროგრამების შემუშავება, რეგიონების საინვესტიციო პოტენციალისა და კონკურენტუნარიანობის შეფასება. საინვესტიციო პასპორტების შედგენა, კლასტერული ტიპის გაერთიანებების ჩამოყალიბება);

- რეგიონული განვითარების შესახებ საანგარიშგებო სისტემის შექმნა.

### *Константин Хмаладзе, профессор*

#### **Об аналитико-программных подходах в региональных исследованиях**

В региональных исследованиях необходимо усилить:

- анализ и оценка региональных экономических процессов (состояние инфраструктуры, развитие предпринимательства, создание рабочих мест, уровень занятости и безработицы, состояние миграции, состояние приватизации и обработки

сельскохозяйственных угодий, обеспеченность фермерских хозяйств материалами и техникой, местный бюджет и взаимоотношение с государственным бюджетом и др.);

- методологическая и программная деятельность (разработка региональных программ социально-экономического развития, оценка инвестиционного потенциала и конкурентноспособности регионов, составление инвестиционных паспортов, формирование кластерных объединений и т.д.);

- создание системы отчетности о региональном развитии страны.

*Konstantine Khmaladze, Professor*

### **Analytical and programmatic approaches in regional researches**

Regional researches should be developed to the following directions:

Analyses and assessment of socio-economic processes in regions (conditions of infrastructure, entrepreneurship, level of employment, migration, share of privatized and arable agriculture land, whether farmers are secured by seed and chemicals, local budget, intergovernmental fiscal relations);

Methodological and programmatic activities (preparation of socio-economic development programs, assessment of investment potential and competitiveness of regions, preparation of investment passports, formation of “cluster” unions);

Creation of accounting and reporting system on regional development.

### **ლიტერატურა**

1. საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგია. თბ., 2009;
2. ლ.ბერიძე, კ.ხმალაძე. ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობის რეგიონული პროგრამის შემუშავების მეთოდური საკითხები. «ინოვაციები ბიზნესში» (პრობლემები, პერსპექტივები, გამოწვევები). საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. 16-17 აპრილი, ბათუმი, 2010. თბ., 2010;
3. კ.ხმალაძე, მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები. ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი. ჟურნალი «ეკონომიკური პროფილი», N4, ქუთაისი, 2008;
4. კ.ხმალაძე, ლ.ბერიძე. ტურიზმის განვითარების რეგიონული პროგრამის შედგენის მექანიზმი და სტრუქტურა. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. 5-6 ივნისი, ბათუმი-ტრაპიზონი, თბ., 2010.

## საქართველოს სტრატეგიული განვითარების მიმართულებები

თანამედროვე მსოფლიო სულ უფრო ურთიერთდაკავშირებული ხდება არამარტო გეოგრაფიული თვალსაზრისით, არამედ კაცობრიობის მოღვაწეობის სხვადასხვა მიმართულებების მიხედვითაც. ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირი გადამწყვეტ როლს თამაშობს ნებისმიერი საზოგადოების პროგრესისათვის. ერთი მხრივ, პოლიტიკის ძირითად წარმართველად ეკონომიკური ურთიერთობები და ინტერესები გვევლინება, ხოლო, მეორე მხრივ კი, პოლიტიკური მოვლენები და გადაწყვეტილებები მთავარ როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებისათვის. ამ მოსაზრების გასამყარებლად ერთ მაგალითს მოვიშველიებ: უმთავრესი მოვლენა, რომელიც სადღეისოდ განსაზღვრავს კაცობრიობის განვითარების ვექტორს არის რეგიონალიზაცია და ვერავინ იტყვის ეს უფრო პოლიტიკური პროცესია თუ ეკონომიკური. ამიტომ არ იქნება გადაჭარბებული იმის აღნიშვნა, რომ იქმნება ახალი მოძღვრება, მეცნიერება, თუ ადამიანის მოღვაწეობის სფერო, რომლისთვისაც, რომ არა ძველი საბჭოური კლიშე, თავისუფლად შეგვეძლო გვეწოდებინა პოლიტეკონომიკა.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამგვარი ურთიერთკავშირი იძენს საეტაპო საზოგადოებრივი ცვლილებების დროს, გარდამავალ პერიოდში და ამ დროს ვერანაირი ეკონომიკური განვითარების გეგმა ვერ იმუშავებს სათანადო პოლიტიკური უზრუნველყოფის გარეშე. ამიტომ, როდესაც იმ ქვეყნების განვითარების შესახებ არის საუბარი, რომელთაც ჯერ არ განუსაზღვრავთ პოლიტიკური ორიენტირები, ხანგრძლივ, მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე საუბარი ზედმეტია. ზემოთ ვახსენე რეგიონალიზაციის პროცესი, რომელსაც ღრმა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცვლილებები იწვევს, მაგრამ, ჩემი აზრით, ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი, რის გამოც ეს მოვლენა გახდა საყოველთაო (დღეს უკვე ძნელია პლანეტაზე ისეთი ქვეყნის პოვნა, რომელიც ერთ-ერთ რეგიონალურ ორგანიზაციაში მაინც არ იყოს გაერთიანებული, ზოგიერთი კი რამდენიმეს წევრია ერთდროულად), არის ის ეკონომიკური გამოწვევები, რომელიც თანამედროვე კაცობრიობას გააჩნია.

სადღეისოდ ეკონომიკური წინსვლის მთავარი განმაპირობებელია სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი, ეს კი კაპიტალის და რესურსების კონცენტრირების გარეშე წარმოუდგენელია, ამასთან უმწვავესი კონკურენციის ფონზე სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ეკონომიის ფაქტორი და ბოლოს, თანამედროვე მსოფლიოში შექმნილია იმ მოცულობის კომპანიები, რომელთა ზრდის პოტენციალისათვის შემაფერხებელია ნებისმიერი, თუნდაც უდიდესი ქვეყნების მასშტაბები, ამიტომ ეკონომიკური განვითარების უმთავრესი პირობა ამჟამად არის სახელმწიფოთა გაერთიანება რეგიონულ ორგანიზაციებში და ამ გზით მსხვილი ბაზრების შექმნა. არ იქნება რთული იმის დამტკიცება, რომ ეკონომიკური იზოლაციონიზმი, (განსაკუთრებით ეს ეხება მცირე ქვეყნებს, თორემ ჩინეთი და ინდოეთი, თითოეული მრავალ იმ რეგიონულ გაერთიანებაზე დიდია სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით,

რომელშიც ისინი არ მონაწილეობენ) გამორიცხავს ეკონომიკური განვითარების ყოველგვარ შესაძლებლობას.

სწორედ ანალოგიურ ვითარებაშია დღეს საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანას საკმაოდ ნორმალური ურთიერთობები აქვს რამდენიმე მეზობელ სახელმწიფოსთან, რაც ცხადია, დადებითი მოვლენაა, ეს მაინც ვერ ახდენს იმ ეკონომიკური კავშირების კომპენსირებას, რაც საბჭოურ წლებში არსებობდა, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევიდან 20 წელია უკვე გასული და იმ დროს არსებულ რეალობაზე აპელირება, რაც დღეს ჩვენში ხშირია, ცოტა არ იყოს უადგილოა. იმისათვის, რომ საქართველომ გრძელვადიანი განვითარების გარანტიები მიიღოს, საჭიროა სწორედ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება, რაც განაპირობებს ჩვენი საგარეო ორიენტაციის საკითხს. ამ მხრივ კი რეალური არჩევანი მხოლოდ ორია, – ერთი გეზი ევროკავშირისაკენ და საშუალო ვადიან პერსპექტივაში მისი სრულყოფილებიანი წევრობა და მეორე დაბრუნება რუსეთის ორბიტაზე და საბოლოოდ საკმაოდ ბუნდოვანი პერსპექტივები ყველა მიმართულებით. ჩემი აზრით განვითარების რუსული მიმართულება თავისთავად უნდა იყოს მიუღებელი მორალური, ეროვნული თუ პოლიტიკური მოსაზრებებით, მაგრამ ვინაიდან ამჟამად საქართველოში მომრავლდნენ ისინი, ვინც რუსეთთან ურთიერთობას ეკონომიკური გაფურჩქვნის წინაპირობად სახავენ, შევეცდები დავასაბუთო, რომ მათი მისწრაფებები წმინდა პრაგმატული მოსაზრებებითაც არის გაუმართლებელი.

უმთავრესი არგუმენტი, რაც სადღეისოდ რუსეთუმეთა არსენალშია, არის რუსეთის ბაზარზე შესვლის პერსპექტივა. მავანს ისე აქვს დაჟინებული რუსეთის ბაზრის ათვისების აუცილებლობა, რომ ან ეკონომიკასთან არის ძალიან შორს ან საბჭოთა კავშირშია ჯერ კიდევ ჩარჩენილი. ქვემოთ შევეცდები გავაბათილო ეს მოსაზრება ყველა იმ სფეროს მიხედვით, რომელშიც საქართველოს უახლოეს მომავალში შეიძლება გააჩნდეს საექსპორტო პოტენციალი. უპირველეს ყოვლისა, ამგვარი დარგია სოფლის მეურნეობა.

საქართველოს აგრარული სექტორის უმთავრესი პროდუქტია ღვინო. იგი არის უმნიშვნელოვანესი პერსპექტიული საექსპორტო საქონელიც, მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე პირობა, რაც გაამყარებს არგუმენტებს ეკონომიკურ რუსეთუმეთა საწინააღმდეგოდ. უპირველესად უნდა აღვნიშნო, რომ რუსეთში ღვინის მოხმარება მკვეთრად არის შემცირებული, თუ 1980 წელს ამ ქვეყნის საშუალო სტატისტიკური მცხოვრები მოიხმარდა 21 ლიტრს, 2009 წლისათვის ეს მაჩვენებელი შემცირდა 7 ლიტრამდე. ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსეთის ალკოჰოლური სასმელების მოხმარების სტრუქტურაში ღვინოს მესამე ადგილი და ყველაზე მცირე წილი უკავია ლუდისა და არყის შემდეგ. აღნიშნული სასმელების ფონზე ღვინო გაცილებით ძვირია ანუ, მისი მომხმარებლები ძირითადად შეძლებული ფენიდან არიან, რაც რუსეთში არ არის მრავალრიცხოვანი და დახვეწილი გემოვნებითაც გამოირჩევიან და სრულიადაც არ მიირთმევენ «ფეკალიებს», როგორც ამას ერთი უპასუხისმგებლო ქართველი პოლიტიკოსი ამბობდა. ეს კი, გამორიცხავს ბაზრის ამ სეგმენტზე ექსტრა კლასის გარდა სხვა პროდუქტის წარმატებას, ხოლო ამ კლასის პროდუქტი ევროპაში და მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაშიც იქნება მოთხოვნადი. ალკოჰოლური სასმელების ბაზარზე ღვინო პოზიციონირდება საშუალო და მაღალ

სეგმენტებზე, ეს კი ნიშნავს, რომ მისი ხარისხის მიმართ განსაკუთრებული მოთხოვნებია წაყენებული. გარდა ამისა, ქართული ღვინო ტრადიციულად მაღალ სეგმენტებზე იყო ორიენტირებული (და ასეც უნდა იყოს მომავალშიც ქართული მეღვინეობის უნიკალური პოტენციალიდან გამომდინარე) და მაღალი ფასით და ხარისხით გამოირჩეოდა, ე.ი. რუსეთუმეთა ის არგუმენტი, რომ ქართული ნაწარმი დაბალი ხარისხის არის და მხოლოდ რუსეთის ბაზარზე თუ ეყოლება მომხმარებელი საფუძველშივეა მცდარი, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ღვინოს საზღვარგარეთის იმ ქვეყნებში, რომლებიც არ გვევლინება მის მწარმოებლად და მათ შორის განსაკუთრებით რუსეთში, ძირითადად შეძლებული ხალხი სვამს, ისინი კი, არსად შეიძენენ მდარე პროდუქტს. ზოგიერთი, რუსეთის ბაზრის უპირატესობას იმით ხსნის, რომ იქ ჯერ კიდევ ახსოვთ ქართული პროდუქცია. ქართული ნაწარმის ის ვიწრო ჩამონათვალი, რომელიც რუსეთში ხანში შესულმა ადამიანებმა შეიძლება ჯერ კიდევ თბილად მოიგონონ არის სწორედ ღვინო და ბორჯომი, უმრავლესობა ქართული პროდუქციიდან კი, მაგალითად, ქართული ჩაი, მათ ჯობია არც გაახსენო. გარდა ამისა საინტერესოა ის ფაქტი, რომ საქართველოში ყურძნის და შესაბამისად ღვინის წარმოება 80-იანი წლების პიკთან შედარებით თითქმის სამჯერ არის შემცირებული. ღვინოზე მოთხოვნილება, თუ კვების ფიზიოლოგიურ ნორმებს დავეყრდნობით, რაც ზრდასრული საშუალო 75 კგ ადამიანისათვის წელიწადში 80 ლიტრს შეადგენს და ვივარაუდებთ, რომ ამ სასმელს საქართველოში 2 მილიონი ადამიანი მაინც მოიხმარს შესაბამისი რაოდენობით, არის მინიმუმ 16 მილიონი დეკალიტრი, რის დასამზადებლადაც საჭიროა ბოლო პერიოდში საუკეთესო 2007 წელს საქართველოში დაკრეფილი 227 ათასი ტონა ყურძენი. ამით იმის თქმა მინდა, რომ ადგილობრივი ბაზრის დაცვითი ღონისძიების გატარების შემთხვევაში (მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი მსგავსი ღონისძიებების გატარების საშუალება მაინც არსებობს, თუნდაც ირიბი ფორმით, იმპორტული პროდუქციის ხარისხზე და უსაფრთხოებაზე აქცენტირებით) აქვია შესაძლებელი ორდინარული ღვინოების მთლიანი წლიური წარმოების გასაღება, ხოლო ქართული სამარკო ღვინოებისათვის უცხოური ბაზრის ვერ მოპოვება, ჩვენი ქვეყნის ბიოკლიმატური, ნიადაგური, ჯიშური, ტრადიციული პოტენციალიდან გამომდინარე მეღვინეობის დარგის საწარმოების მენეჯმენტის პრობლემაა და არა რუსეთის ბაზრის დაკარგვის.

რაც შეეხება ჩაის, რომელიც საბჭოურ პერიოდში საქართველოს აგრარული სექტორის მთავარი საექსპორტო პროდუქტი იყო, ამჟამად მისი წარმოება პიკური მაჩვენებლის მეასედს შეადგენს და სრულიად დაკარგა საექსპორტო პოტენციალი. ჩემთვის მიუღებელია ძველი თაობის ბევრი წარმომადგენლის ნოსტალგია ამ კულტურისადმი, მიუხედავად იმისა რომ, კარგად მესმის, მათი ამგვარი განწყობა საბჭოთა პერიოდის გამოძახილია, როდესაც ამ პროდუქციის წარმოება, მართლაც, რომ სასათბურე პირობებში იყო ჩაყენებული. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, იმ დროს სახელმწიფო ერთ კილოგრამ ნედლ ფოთოლს საშუალოდ ერთ მანეთად იბარებდა, ანუ დაახლოებით იმ ფასად, რაც მაშინ მსოფლიო ბაზარზე ნახევარფაბრიკატის ფასი იყო. სადღეისოდ საქართველოში ჩაის წარმოება, როგორც აღვნიშნეთ, მკვეთრად არის შემცირებული და დაახლოებით 5.5-7 ათას ტონას შეადგენს. ამასაც ის ფაქტორი განაპირობებს, რომ ჩვენში კიდევ არის შემორჩენილი ძველი პლანტაციები (რომლის

ლიკვიდაციაც დიდი თანხები ჯდება), რომელსაც ჯერ არ გასვლიათ საექსპლოატაციო ვადა, რის შემდეგაც ძალიან საეჭვოა, რომ ამ კულტურის გაშენება ვინმემ მოინდომოს.

რუსეთის ბაზარზე იყო ორიენტირებული ქართული მეხილეობა და საადრეო მეკარტოფილეობა, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის კვების ბალანსში ადგილობრივი წარმოების პროდუქციის წილის მაჩვენებლებისათვის თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია იმის დასადგენად, რომ აღნიშნული პროდუქტების მიხედვით მოთხოვნილება სანახევროდაც არ არის დაკმაყოფილებული და მნიშვნელოვან საექსპორტო პერსპექტივაზე ლაპარაკი ზედმეტია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეციტრუსეობა უნდა იქნას განხილული საექსპორტო პოტენციალის მქონედ, მაგრამ ბოლო წლებში წარმოების საუკეთესო მაჩვენებელი ამ მხრივ არის დაახლოებით 100 ათასი ტონა, თუ დავუშვებთ, რომ საქართველოს მეციტრუსეობა სტაბილურად შეინარჩუნებს ამ მაჩვენებელს, რაც დიდი მიღწევა იქნება, რადგან ბოლო პერიოდში, ზოგიერთ წლებში 50%-იანი ვარდნაც აღინიშნა, ამ შემთხვევაშიც კი, შესაძლებელია ისეთი ბაზრების მოძებნა ჩვენს სამეზობლოში, რომლებიც რუსეთის მსგავსად ამის გამო პოლიტიკურ ფასს არ მოითხოვენ, მე მხედველობაში მაქვს აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა და მოლდოვა, რაც ჩვენი მეციტრუსეობის პოტენციალიდან გამომდინარე სავსებით საკმარისი იქნება. სხვათა შორის ამგვარი კავშირები უკვე საკმაოდ ინტენსიურია. ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ქართული კვების მრეწველობისა არის მინერალური წყლების წარმოება, აქ რესურსები იმდენად დიდია, რომ, მართლაც, გასაფრთხილებელია ბაზრის ყოველი ნიშა, მაგრამ ამ დარგმაც გადაიტანა რუსეთის ემბარგოსაგან მიყენებული დარტყმა და უკვე იწყებს ადაპტაციას ახალ პირობებთან.

საბჭოურ წლებში საკავშირო მნიშვნელობისა იყო საქართველოს საკურორტო სექტორი, მაგრამ ამჟამად ვითარება რადიკალურად არის შეცვლილი. საქართველო ყოფილ საბჭოთა კავშირში კლიმატის მხრივ მონოპოლისტურ მდგომარეობაში იყო, ამავე დროს საბჭოთა მოქალაქეებს არ უშვებდნენ ზღვაზე სხვაგან დასასვენებლად და მათ არჩევანი მხოლოდ აჭარასა და აფხაზეთს შორის უნდა გაეკეთებინათ. ვინაიდან წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება უახლოესი პერიოდში საქართველოს განვითარების მიმართულებებს, აფხაზეთს ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის შემადგენლად ვერ განვიხილავთ, ხოლო რაც შეეხება აჭარას, მისი ტურისტული პერსპექტივები, მიუხედავად ბოლო წლებში გამართული კამპანიისა, ვერ არის იმ დონისა, რომ რუსი მოსახლეობა მოიზიდოს, რადგან ისინი უკვე შეეჩვივნენ თურქეთის და სხვა ქვეყნების პლაჟებს, სადაც დასვენება უფრო იაფია და კლიმატური პირობები უკეთესი. ჩვენი საზღვაო ტურისტული რეგიონების სიძვირეს რაც შეეხება, ამას არა კომფორტი და მაღალი დონის სერვისი განაპირობებს, არამედ ადგილმდებარეობა და კლიმატი. ჩვენში საზღვაო ტურიზმის სეზონი მაქსიმუმ ორ თვეს გრძელდება, აჭარაში ამაზე ნაკლებსაც – ჭარბად ტენიანი კლიმატის გამო, მაშინ როდესაც თურქეთის ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვისპირა რაიონებში, ისევე როგორც საბერძნეთის ბევრ საზღვაო კურორტზე ტურისტული სეზონია 6-7 თვის განმავლობაში, რომ არაფერი ვთქვათ იმ ტროპიკულ რეგიონებზე, სადაც სეზონი მთელი წლის განმავლობაშია. ეს კი არაეფექტურს ხდის საქართველოს საზღვაო კურორტებზე ძირითადი ფონდების გამოყენებას, რადგან სასტუმროები წელიწადში 10 თვის



განმავლობაში ცარიელია. აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი დამაფიქრებელი ფაქტის შესახებაც: თურქეთში, (რომელსაც შავ ზღვაზე ტურისტული თვალსაზრისით ჩვენზე გაცილებით უკეთესი მდებარეობა აქვს, იგი უფრო სამხრეთით არის და სანაპირო ზოლი საქართველოსაზე გაცილებით მეტია) შავ ზღვაზე არ არის არცერთი, ხაზს ვუსვამ, არცერთი საერთაშორისო მნიშვნელობის საზღვაო კლიმატური კურორტი, იქ მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა ისვენებს იმის გამო, რომ შედარებით სიწყნარეა. საერთაშორისო საზღვაო ტურისტული ინდუსტრია თურქეთში ვითარდება ეგეოსის და ხმელთაშუა ზღვების სანაპირო ზოლში, სადაც ამ ქვეყანას უზარმაზარი რესურსები აქვს ამ მიმართულებით. საქართველოს აქვს სამთო-სათხილამურო, ბალნეოლოგიური და კლიმატური ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი. ეს კი ტურიზმის ელიტური სახეა და ორიენტაცია თავისთავად უნდა გაკეთდეს ევროკავშირზე, თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანი იქნება სტუმრები მეზობელი ქვეყნებიდანაც. რაც შეეხება რუსეთს ამ მიმართულებით ის უფრო ჩვენი კონკურენტია ვიდრე ტურისტების წყარო. აქ არგუმენტად ჩრდილოეთ კავკასიის უნიკალური კურორტები და სოჭის ოლიმპიადაც საკმარისი იქნებოდა, რომ არაფერი ვთქვათ ისეთ ახალ პროექტებზე როგორც არის ალაგირის სამთოსათხილამურო კომპლექსი, რომელიც ჩვენს მახლობლად შენდება.

უახლოესი წლების საქართველოს ეკონომიკის განვითარების მთავარი ფაქტორია ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალი. ცალსახად უნდა ითქვას, რომ რუსეთთან ნებისმიერი ალიანსის შემთხვევაში ჩვენ სრულად გამოვემშვიდობებით ამ შესაძლებლობას, რადგან მისთვის საქართველოს ამგვარი როლი მსოფლიო შრომის დანაწილებაში, კატეგორიულად არის მიუღებელი რამდენიმე მომენტის გამო. პირველ ყოვლისა, ეს განპირობებულია ჩვენი მეზობლის ენერგეტიკული ამბიციებით. მას ასევე აშინებს შუა აზიისაკენ დასავლეთის გავლენის ზრდა და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია რუსეთი ამ მხრივ საქართველოს უშუალო კონკურენტია. ისტორიულ აბრეშუმის გზას, რომლის აღდგენაც დღის წესრიგში დადგა სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნოლოგიების განვითარებისა და კასპიის ზღვისპირა ქვეყნების ენერგეტიკული და სხვა სახის სიმდიდრის გამო, რამდენიმე მიმართულება გააჩნდა. პირობითად შეიძლება საუბარი სამ განშტოებაზე, რომელთაგან სამხრეთული გადიოდა ირანის, ცენტრალური – ამიერკავკასიის და ჩრდილოური – რუსეთის ტერიტორიაზე. რუსეთი ყველა ძალებით ცდილობს დატვირთოს «თავისი» აბრეშუმის გზა, რაც აუცილებლად მოიაზრებს ამიერკავკასიურის დაბლოკვას. ირანული ვარიანტი თავისთავად არ დგას დღის წესრიგში ამ ქვეყნის და დასავლეთის პოლიტიკური პრობლემების გამო.

რაც შეეხება ეკონომიკის სხვა დარგებს, რომელთა დეტალური განხილვა ძნელია ერთ სტატიაში, ცხადია, რომ მათი განვითარებისათვის გაცილებით უკეთესი პირობები იქნება ევროპულ სივრცეში, ვიდრე რუსეთში. რომ არაფერი ვთქვათ თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ, რაც რუსეთშიც დეფიციტია და რის მოპოვებასაც ესოდენ ცდილობს დასავლეთში რუსეთის მთავრობა, თვით ეკონომიკური პოტენციალიც ცალსახად მეტყველებს ევროპული არჩევანის სასარგებლოდ. მაგალითად, რუსეთის სამომხმარებლო ბაზრის ტევადობის სხვადასხვა მონაცემი არსებობს, მაგრამ ყველა ეს მაჩვენებელი დაახლოებით 10-ჯერ ნაკლებია ევროკავშირის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით. პროდუქციის ხარისხის მიხედვით მოთხოვნების მხრივ კი დიდი განსხვავება არ იქნება, რადგან რუსეთის ბაზარს უკვე აქტიურად ითვისებენ მსოფლიოს

ცნობილი ბრენდები, ხოლო კარგი პროდუქტი ევროპის ბაზარზეც შეძლებს თავის დამკვიდრებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ბოლო-ბოლო დავაკმაყოფილებთ ევროპელი მეგობრების მოთხოვნებს და მივიღებთ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს, რასაც, ცხადია, გარკვეული და საკმაოდ მკაცრი პირობებიც ახლავს თან. ხარისხის კუთხით მოთხოვნების გამკაცრება კი გრძელვადიან პერსპექტივაში მხოლოდ წაადგება ჩვენს ეკონომიკას.

დასკვნის სახით კი დავსძენთ, რომ საქართველოს განვითარების უმთავრესი და უალტერნატივო მიმართულება უნდა იყოს დასავლურ სტრუქტურებთან და პირველ რიგში ევროკავშირთან ინტეგრირება. უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით ომის შემდეგ, ხშირად გამოითქმის აზრი რომ ევროპამ მიგვატოვა, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის მართალი. მათ დამოუკიდებლობის წლებშიც და განსაკუთრებით ომის შემდეგ გაგვიწიეს უზარმაზარი ეკონომიკური დახმარება და ამის არ დანახვა უმადურობაა. ამას გარდა ევროკავშირმა შემოგვთავაზა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შესახებ მოლაპარაკებების დაწყება. ვინც ევროპულ ეკონომიკურ პოლიტიკას იცნობს, მისთვის სადავო არ არის ის ფაქტი, რომ ეს არის ყველაზე ძვირფასი რაც ამ გაერთიანებას ჩვენთვის შეიძლებოდა გაეკეთებინა.

*ბადრი რამიშვილი, პროფესორი*

### საქართველოს სტრატეგიული განვითარების მიმართულებები

საქართველოს ეკონომიკური განვითარება პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე არის დამოკიდებული, რადგან მსხვილ ბაზართან ინტეგრაციის გარეშე არამარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს ნებისმიერი ეკონომიკის ზრდის პერსპექტივა ძალიან პრობლემატურია. სადღეისოდ ორიენტაციის საკითხი თითქოს გარკვეულია, მაგრამ ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის გაჭიანურებამ კვლავ გააქტიურა რუსეთის მიმართულების მომხრეები. წარმოდგენილ ნაშრომში ავტორი ცდილობს დაასაბუთოს რუსულ ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის უპერსპექტივობა და ამ მხრივ განვითარების სტრატეგიულ მიმართულებად ევროპული არჩევანის აშკარა უპირატესობა.

*Бадри Рамишвили, Профессор*

### Направления стратегического развития Грузии

Экономическое развитие современной Грузии в первую очередь зависит от политических решений. В мире подошел к пику процесс регионализации что подразумевает создание единых крупных рынков, без которого уже не представляется возможным экономический рост особенно средних и малых государств. Без интеграции нашей страны в какой то крупномасштабный рынок ее экономические перспективы очень туманны, а такая возможность только две – или интеграция в Евросоюз или сближение с Россией. Автор считает что единственным оправданным направлением является интеграция в евро структурах и критикует тех которые до сих пор являются апологетами Грузино-Российских тесных отношений.

*Badri Ramishvili, Professor*

### Directions of Strategic Development of Georgia

In the contemporary world there are evident two processes of confluence with each other of such defining fields of public life, such as politics and economics. Economic development of Georgia exactly depends on political decisions, as without integration with a large market not only Georgian, but the perspective of any World economic growth is too problematic. At present orientation problems have been almost defined, but procrastination of integration in the European structures again activated Russian supporters. In the presented work the Author tries to ground hopelessness of the Georgian integration in the Russian economic sphere and from this viewpoint it is evident the preference of the European choice as a strategic direction for development. The article provides consideration about Georgian phased development, whereas all those political and economic problems of our country should be settled.

ლ ო ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. [www.worldbank.org](http://www.worldbank.org)
2. [https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/;](https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/)
3. [http://www.gks.ru/.](http://www.gks.ru/)

*მეტონიძე ლია, დოქტორანტი*

## სახელმწიფო მარკეტინგის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

თანამედროვე საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური პროცესები მიმდინარეობს საკმაოდ რთულად და ურთიერთგამომრიცხავად. გადაწყვეტილებები, რომლებსაც იღებენ სახელმწიფო მმართველობითი ორგანოები არასაკმარისი და არაობიექტური ინფორმაციის ხარჯზე, ხშირად იწვევს ძლიერ უარყოფით რეზონანსს და უკმაყოფილებას საზოგადოების გარკვეულ სოციალურ ფენებში. ამაზე მიუთითებს არაერთი ფაქტი ქვეყნის უახლესი ისტორიიდან. ამიტომ სახელმწიფო მმართველობის ეფექტიანობის ამაღლება მარკეტინგის აქტიური გამოყენების გარეშე, ჩვენი აზრით, ფაქტიურად შეუძლებელია. საბაზრო ურთიერთობების სირთულე და ამ პროცესში სახელმწიფოს აქტიური ჩართულობა მოითხოვს, მარკეტინგის მთლიანი სისტემისაგან მის ერთ-ერთ სახეობად სახელმწიფო მარკეტინგის გამოყოფას.

სახელმწიფო, როგორც მარკეტინგის მესამე ელემენტი, გამყიდველთან და მომხმარებელთან ერთად ბაზარზე ასრულებს სპეციფიურ როლს. მომხმარებელთა მოთხოვნილების უშუალოდ დაკმაყოფილების გარეშე, სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს ეს პროცესი, შეეცადოს ინტერესების ეფექტიანი კომპრომისის მიღწევას საზოგადოების მხრიდან მინიმალური დანახარჯებით. ეს ყოველივე ეფუძნება ეკონომიკური და სოციალური პროცესების განხილვის აუცილებლობას ცალ-ცალკე და ურთიერთკავშირში, მეორე მხრივ, სახელმწიფო შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოქალაქეებისათვის უმნიშვნელოვანესი სოციალური მომსახურებების სახეების მიმწოდებელი (უსაფრთხოება, გარე სამყაროს დაცვა და ა.შ.), ე.ი. ის აწარმოებს საკმაოდ სპეციფიკური პროდუქტის ფართო სპექტრს და აწვდის მას თავის მოქალაქეებს.

ყოველივე ზემოთთქმული მიუთითებს იმის აუცილებლობაზე, რომ საჭიროა ჩამოყალიბდეს მარკეტინგული მიდგომები მთლიანად სახელმწიფო მმართველობისათვის და ასევე მისი ცალკეული სტრუქტურული დანაყოფისთვის. აქედან გამომდინარე აუცილებელია განისაზღვროს სახელმწიფო მარკეტინგის ძირეული მიზნები და ამოცანები.

სახელმწიფო მარკეტინგის მიზანი პირველ რიგში უნდა იყოს მომხმარებლის მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიღწევა (მატერიალური და სულიერი) იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რომელიც მას გააჩნია. სახელმწიფო მარკეტინგმა უნდა შეისწავლოს საზოგადოების მოთხოვნილებები და ინტერესები, განსაზღვროს მათი სტრუქტურა და პრიორიტეტულობა, დასახული მიზნის განხორციელება უნდა მოხდეს ეტაპობრივად კონკრეტული ამოცანების გადაჭრის გზით, ასევე მომხმარებლების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება კი მათი აუცილებლობის და პრიორიტეტულობის მიხედვით.

სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოყენებულ მარკეტინგს ახასიათებს გარკვეული თავისებურებები. იმის გამო, რომ ეს ორგანოები ხშირად არ ახდენენ მომხმარებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას უშუალოდ თვითონ, დაუსწრებლად მონაწილეობენ

ამ პროცესში. იმ ამოცანებთან შედარებით, რომლებსაც მარკეტინგი წყვეტს დამოუკიდებელი წარმოების დონეზე, სახელმწიფო მარკეტინგის ამოცანები გაცილებით მასშტაბური და რთულია. თუ წარმოების დონეზე მარკეტინგი უზრუნველყოფს შეზღუდული ასორტიმენტის პროდუქციის წინაწევას, სახელმწიფო დონეზე ის მრავალვექტორულია, მოითხოვს მომხმარებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის კომპლექსურ და დაბალანსებულ მიდგომას. ეს უნდა მოხდეს შესაბამისი ლოჯისტიკური სისტემების ფორმირებისა და განვითარების საფუძველზე, როგორც ცალკეული რეგიონების, ასევე სახელმწიფოებრივ დონეზე. ამასთან ერთად აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ისეთი ფაქტორები, როგორცაა: ეკოლოგიური, პოლიტიკური და ა.შ. დროის ხანგრძლივობის მიხედვით სახელმწიფო მარკეტინგული ღონისძიებები გათვლილია დროის საკმაოდ გრძელვადიან პერსპექტივაზე.

სახელმწიფო მარკეტინგის გამოყენების აუცილებლობის მეორე მიზეზი დაკავშირებულია ფირმებსა და კომპანიებზე აქტიური ზეგავლენის მოხდენის აუცილებლობასთან. პროდუქციის ხარისხზე და უსაფრთხოებაზე კონტროლი, შესაბამისი პარამეტრების რეგლამენტირება, რომლებიც პასუხობენ საერთაშორისო სტანდარტებს, ფალსიფიცირებულ პროდუქტთან ბრძოლა და მომხმარებლის ინფორმირება მსგავსს ფაქტებზე – ეს ასევე არის სახელმწიფო მარკეტინგის აუცილებელი ამოცანა. ერთი მხრივ, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ზეგავლენა სწორი სამომხარებლო ქცევის არსებობაზე მომხმარებლის მხრიდან, მეორე მხრივ, უნდა მისცეს სტიმული და გამოუცხადოს მხარდაჭერა წარმოების განვითარებას. ეს ყოველივე მიიღწევა სახელმწიფო მარკეტინგის ინსტრუმენტების აქტიური გამოყენების ხარჯზე. აღნიშნული ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო მარკეტინგი უნდა იყოს სოციალურად ორიენტირებული.

მარკეტინგის გამოყენების აუცილებლობა სახელისუფლო ორგანოების მიერ განპირობებულია ქვეყნის შიგნით რთული ეკონომიკური მდგომარეობით და მსოფლიო გლობალიზაციის პროცესით. სახელმწიფო მარკეტინგი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს თანამედროვე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესებში ოპტიმალური ჩართვის უზრუნველსაყოფად. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურად დგას განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის ჩვენი ქვეყნის წინაშე, რომელთაც მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში სრულფასოვანი ჩართვისათვის ჯერ კიდევ წარმოსაჩენი აქვთ მსოფლიოსათვის საკუთარი პოტენციალი და შესაძლებლობები. ეს კი მიიღწევა მაღალი დონის სახელმწიფო მარკეტინგის გამოყენების შემთხვევაში, რომლის დროსაც ქვეყანა შესძლებს პასუხი გასცეს იმ გლობალურ ცვლილებებსა და გამოწვევებს, რომელსაც მის წინაშე აყენებს თანამედროვე ეპოქა.

სახელმწიფო მარკეტინგის მიზანი პირველ რიგში უნდა იყოს პრიორიტეტული ეროვნული დარგების განვითარების აქტიური მხარდაჭერა და მათი საერთაშორისო ბაზარზე გასვლის უზრუნველყოფა, იქედან გამომდინარე, რომ ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო ჩარევის გარეშე საკუთარი შესაძლებლობებით კომპანიებისთვის ამგვარი მიზნის განხორციელება უბრალოდ შეუძლებელია. სახელმწიფო მარკეტინგის მნიშვნელოვანი ამოცანა უნდა იყოს ქვეყნის დადებითი საერთაშორისო იმიჯის ფორმირება.

ასევე სახელმწიფო მარკეტინგმა უნდა განახორციელოს რეგიონალური წარმოებების განვითარება-მხარდაჭერა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის დარგებისა, რომლებიც დამოკიდებულია ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე და საჭიროებს სწორ სპეციალიზაციას.

სახელმწიფო მარკეტინგის ერთ-ერთი ფუნქცია შეიძლება იყოს მარკეტინგული პროცესების საკანონმდებლო რეგულირება, იმისათვის რომ არ დაიშვას მომხმარებელზე უარყოფითი ზეგავლენა, ბაზარზე შენარჩუნდეს კონკურენციული წონასწორობა (ანტიმონოპოლიური სამსახურები).

საჭიროა სახელმწიფოს მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენება სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღების ყველა ეტაპზე, მათ შორის, მოქმედი კანონების მიღების პროცესში. საბოლოოდ აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ მარკეტინგული კომუნიკაციის ინსტრუმენტების გამოყენების აუცილებლობას, რომელიც საშუალებას გვაძლევს შეიქმნას უფრო გამჭვირვალე და დემოკრატიული სახელმწიფო მმართველობა.

როგორც ვხედავთ, სახელმწიფო მარკეტინგის გამოყენება უნდა მოხდეს სახელმწიფო მმართველობის ყველა ინსტრუმენტთან ურთიერთკავშირში. სახელმწიფო მარკეტინგმა ასევე უნდა უზრუნველყოს ბაზარზე მომხდარ ნებისმიერ ცვლილებაზე ოპერატიული და ეფექტური რეაგირება, უფრო მეტად გაითვალისწინოს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები.

სასარგებლო მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად, ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის სახელმწიფოს სჭირდება არა მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია სასაქონლო ბაზრების მდგომარეობის შესახებ, არამედ კონკრეტული მონაცემები რეგიონალურ ბაზრების და ცალკეული წარმოებების შესახებ, რომლებიც შეიძლება მიიღოს, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კვლევითი სტრუქტურების მიერ. მარკეტინგულმა კვლევებმა უნდა გამოყოს სამომავლო პრიორიტეტები, რომლებიც საშუალებას იძლევა მოხდეს სახელმწიფო პოლიტიკის პერსპექტიული სოციალური და ეკონომიკური ამოცანებისა ფორმულირება.

ასეთი ინფორმაცია უზრუნველყოფს სწორი და ობიექტური სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღებას სიტუაციის ნებისმიერი ფორმით განვითარების გათვალისწინებით; იგი შესაძლებლობას იძლევა აღმოიფხვრას ან შემცირდეს ეკონომიკური და სოციალური კრიზისის შემდგომი მოვლენები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლს, რადგანაც სოციალური კვლევები აჩვენებს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სარგებლობენ საკმაოდ მაღალი ნდობით მოსახლეობაში. ინფორმაციული საზოგადოების პირობებში ისინი ხდებიან აქტიური მონაწილეები მოსახლეობის ცნობიერებაზე და ბაზარზე არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენის პროცესში. მათში გაჟღერებულ ინფორმაციას რეზონანსი მოჰყვება მყისვე, ფაქტიურად გასვლიდან მეორე დღეს, რის შედეგადაც ხშირად მივდივართ სოციალურ დამაბულობამდე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაცია, რომელიც ჟურნალისტებს ხელთ უვარდებათ ზოგჯერ არის არაობიექტური და ცალმხრივი.

კრიზისული მდგომარეობის დროს სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება იგვიანებს (მათ შორის ინფორმირების კუთხითაც). ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს სახელმწიფოს მართვის პროცესში მარკეტინგული მეთოდების გამოყენების არასრულყოფილებაზე ან საერთოდ იგნორირებაზე. სახელმწიფო რეაგირების თითქოსდა უმნიშვნელო დაგვიანება კერძო კომპანიებისათვის იწვევს დანახარჯების მნიშვნელოვან ზრდას, რეალიზაციის მოცულობის შემცირებას და შედეგად ფასების მომატებას.

აქედან გამომდინარე სახელმწიფო მარკეტინგი უნდა გახდეს ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის სახელმწიფოებრივი მართვის პროცესის განუყოფელი ნაწილი და მის ძირეულ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს მომხმარებლის მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება. ეს კი შესაძლებელია ადგილობრივი მწარმოებლების ხარჯზე, რომელთათვისაც სახელმწიფომ უნდა შექმნას განვითარების აუცილებელი პირობები.

დღესდღეობით სახელმწიფო მარკეტინგის ელემენტების არსებობა უკვე ფიქსირდება მმართველობითი ორგანოების მუშაობს პროცესში, მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ ისინი ჯერ კიდევ არ ხასიათდებიან კომპლექსურობით და მიზანდასახულობით.

რა თქმა უნდა, შეიძლება მივიღოთ შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ეს პრობლემები წყდება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში და სულაც არ არის აუცილებლობა სახელმწიფო მარკეტინგის ცალკე სფეროდ გამოყოფა. რეალურად კომმარკეტინგი არის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების აუცილებელი ნაწილი და მისი ცალკე დარგად გამოყოფა განპირობებულია სოციალური და ეკონომიკური კვლევების სრულყოფის პროცესში არსებული მეთოდოლოგიური და პრაქტიკული პრობლემებით

სახელმწიფო მარკეტინგმა, ერთი მხრივ, უნდა განსაზღვროს კონკრეტული ორიენტირები სოციალურ-ეკონომიკური გეგმის განხორციელებისათვის, მეორე მხრივ, სახელმწიფო მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენებით უნდა მოხდეს გეგმის კიდევ უფრო წარმატებული რეალიზაცია, ბაზარზე მომხდარი ცვლილებების პროგნოზირება და მათზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება.

## **ლია მეტონიძე, დოქტორანტი**

### **სახელმწიფო მარკეტინგის განვითარების პერსპექტივები საქართველოში**

სახელმწიფოს მართვის ეფექტიანობის ამაღლების გზებისა და მექანიზმების ძიების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო მარკეტინგის ბერკეტების გამოყენებას. სახელმწიფო მარკეტინგი უნდა გახდეს ქვეყნის შიგნით სოციალური და ეკონომიკური პროცესების დარეგულირების ამოსავალი წერტილი და ამავდროულად, საერთაშორისო ბაზარზე ქვეყნის ღირსეული ადგილის დამკვიდრების აუცილებელი პირობა. მაღალგანვითარებული ქვეყნების წარმატებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და ადგილობრივი სპეციფიური თავისებურებების გათვალისწინებით, აუცილებელია განისაზღვროს სახელმწიფო მარკეტინგის განვითარების პერსპექტივები საქართველოში.

ნაშრომში განხილულია სახელმწიფო მარკეტინგის ცალკეული ასპექტები და მიმართულებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების პროცესს.

*ლია მეთონიძე, Докторант*

### **Перспективы развития государственного маркетинга в Грузии**

В процессе возвышения эффективности путей правления государством и в поиске механизма огромное значение придается применению рычагов государственного маркетинга. Государственный маркетинг должен стать отправной точкой урегулирования социальных и экономических процессов внутри страны, в это же время обязательным условием для занятия достойного места на международном рынке.

Опираясь на опыт высокоразвитых стран и соблюдением местной специфической своеобразности, обязательно определение развития перспектив государственного маркетинга направлений государственного маркетинга, осуществление которых поддержит процесс социально-экономического развития.

*Metonidze Lia, PHD student*

### **Outlooks of development of State Marketing in Georgia**

Using of levers of State marketing bears the great importance in the process of searching of the ways and mechanisms of improvement of effectiveness of State governance. State marketing should become the main point for regulating of economic and social processes inside the country and besides, the inevitable condition of strengthening of the suitable place in international market. According to the successful experience of highly developed countries and taking into consideration the domestic specifications, outlooks of development of State marketing in Georgia should be determined. The some aspects and areas of State marketing are discussed in the thesis, realization of which will highly support the process of socio-economic development of the country.

ლითონიძე ლია

1. Панкрусин А.П. Маркетинг территорий. 2-е изд. – СПб.: 2006;
2. Котлер Ф., амстронг Г., Сондерс Дж., Вонг В., Основы маркетинга, М., 2006;
3. Котлер Ф. Маркетинг менеджмент СПб., 2007;
4. Панкрусин А. Маркетинг. Учебник, М., 2005;
5. Беляева В. Маркетинг: основы теории и практики: учебник, М., 2005;
6. [www./marketing.spb.ru](http://www./marketing.spb.ru);
7. [www./servicemarketing.ru](http://www./servicemarketing.ru);
8. [www./marketing.com](http://www./marketing.com).



## ეკონომიკური დიპლომატიის არსი

ტერმინი ეკონომიკური დიპლომატია დამკვირდდა მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან და დღეისათვის აქტიურად გამოიყენება სპეციალიზირებულ ლიტერატურაში, მიჩნეულია, რომ ეკონომიკური დიპლომატიის ჩამოყალიბება რამოდენიმე ათწლეულის განმავლობაში საერთაშორისო ეკონომიკასა და დიპლომატიის ფარგლებში მიმდინარეობდა, მსოფლიო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში დიპლომატიის როლის ზრდის ფონზე. თანამედროვე დიპლომატიის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხია დიპლომატიაში ეკონომიკის შემნადგენელი ერთეულების – ბიზნესის, ფინანსების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ენერჯეტიკის, ტრანსპორტისა და ინოვაციური ტექნოლოგიების როლი და მნიშვნელობა.

არასწორედ მიგვაჩნია, როდესაც ამტკიცებენ, რომ გლობალიზაცია არის მე-20 საუკუნის მეორე ნახევრისა და 21-ე საუკუნის შედეგი. ვინაიდან, რომ არა ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტის პერიოდიდან მოყოლებული, როდესაც გლობალიზაციის პირველი ნაბიჯები იდგმოდა, ჩვენ ვერ მივაღწევდით დღევანდელ პროგრესსა და ცვილიზაციის იმ ხარისხს, რომელსაც ვფლობთ დღეს, როდესაც ყველა სიკეთე ხელმისაწვდომი ხდება თითოეული ადამიანისათვის, მისი განათლების, განვითარების, კულტურული მემკვიდრეობისა და მოთხოვნილებებიდან გამომდინარე. ალბათ ზუსტად ფართო არჩევნის არსებობა

არის გლობალიზაციის ყველაზე დიდი სიკეთე და მანკიერებაც. გლობალიზაციისათვის მსოფლიო ხალხების მისწრაფების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო დასტურად გვესახება ისტორიული «აბრეშუმის გზის» არსებობა, ვინაიდან ამ გზის მეშვეობით, სხვადასხვა მწრამსის, კულტურისა და ეთიკის ხალხი ახორციელებდნენ ურთიერთქმედებასა და გებულობდნენ სხვა ერებისა, თუ ხალხების შესახებ. ურთიერთდამოკიდებულების ზრდასთან (ბაზრებისა და ფინანსური ნაკადების) და საერთაშორისო მოთამაშეების რაოდენობის რიცხვის მატებასთან ერთად სახელმწიფოს წინაშე დგება საკითხი, მისი როლის ამ უფრო და უფრო ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში, ხოლო დიპლომატიური სამსახურის წინაშე, როგორც სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის აღსრულების ერთ-ერთ მთავარ ორგანოსა და ინსტრუმენტის წინაშე დგება ახალი, უფრო ზუსტი ვიქნებით თუ ვიტყვით, ერთ-ერთი ყველაზე ძველი მისი ფუნქციის, ახლებული მოთხოვნა, რომელზეც აუცილებელია ახალი რეალობების გათვალისწინებით შესაბამისი პასუხის გაცემა.

ყველა მკვლევარი აღიარებს ე.წ. ისტორიული, კლასიკური დიპლომატიის როლს საერთაშორისო სავაჭრო (კომერციული) და საფინანსო ურთიერთობების დამყარებასა და განვითარებაში. ვინაიდან ძველი დროიდან მრავალ ხელშეკრულებაში, შეთანხმებასა თუ ტრაქტატში შეგვიძლია ვიპოვოთ მუხლი, სადაც აღწერილია ვაჭრების უფლება და მოვალეობანი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავად ვაჭრობის არსებობა ხელს უწყობდა დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ვფიქრობთ, მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ სახელმწიფოს ჩამოყალიბების შედეგად, განისაზღვრა მისი უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვისა და

უზრუნველყოფისა და მათთან დაკავშირებული რისკების მართვის აუცილებლობა, რამაც ხელი შეუწყო კლასიკური დიპლომატიის განვითარებას.

ეკონომიკური დიპლომატიის (ედ) ახლებული ფორმირება ხორციელდებოდა რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, მსოფლიო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში ეკონომიკისა და დიპლომატიის მნიშვნელობის მზარდი როლის ზრდის კვალობაზე. დღეისათვის თანამედროვე დიპლომატიის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ეკონომიკური საკითხების მნიშვნელობა, კერძოდ, ბიზნესის, ვაჭრობის, ფინანსების, ტრანსპორტის, სამუშაო ძალის მიგრაციის, ენერჯეტიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების პრობლემები. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ეკონომიკური სამყაროს გლობალიზაციის ხარისხის ზრდასთან ერთად (გაცვლის, წარმოების, ბაზრების, ფინანსური ნაკადების) სახელმწიფოების წინაშე დგება საკითხი, განვსაზღვროს მათი როლი ამ ახალ, უფრო მეტად ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში, ხოლო დიპლომატიური სამსახურების წინაშე, შესაბამისად - ადეკვატურად უპასუხოს ამ გამოწვევებს. როგორც უკვე ითქვა, ისტორიულად კლასიკური დიპლომატია ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებში და პირიქით.

«ეკონომიკური დიპლომატია», როგორც სამეცნიერო მიმართულება თანდათან კარგავდა მისთვის დამახასიათებელ ძირითად თვისებებს, რაც მისი საზღვრებს ძალიან ბუნდოვანს ხდიდა და კვეთდა წმინდა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, დიპლომატიურ, სტრატეგიული და სხვა დისციპლინებს. თუმცა მცდელობები, რათა განსაზღვრულიყო ედ ბევრმა მკვლევარმა განახორციელა. ზოგიერთი მათგანი მიიჩნევდა, რომ ედ-ის კვლევის სფეროს განეკუთვნება ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები და დიპლომატიის კომპლექსი, ასევე სხვა ფაქტორები, რომლებიც ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან და აქვთ დიდი გავლენა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაზე.

ზოგიერთ სამეცნიერო ლიტერატურაში «ედ» განისაზღვრება, როგორც: «თანამედროვე დიპლომატიური საქმიანობის სპეციფიკური მიმართულება, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკური პრობლემების გამოყენებასთან, როგორც ობიექტის, ასევე ბრძოლისა და თანამშრომლობის საშუალებად საერთაშორისო ურთიერთობებში. ეკონომიკური დიპლომატია, როგორც დიპლომატია ზოგადად, არის საგარეო პოლიტიკის, სახელმწიფოს საგარეო საქმიანობის განუყოფელი ნაწილი, სწორედაც საგარეო პოლიტიკა განსაზღვრავს ეკონომიკური დიპლომატიის მიზნებსა და ამოცანებს, რომელიც წარმოადგენს პრაქტიკული ღონისძიებების, ფორმების, მეთოდებისა და საშუალებების კრებულს, რომლებიც გამოიყენება საგარეო პოლიტიკის განხორციელებისთვის». ხშირ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება ედ მხოლოდ ზოგიერთ ასპექტზე, როგორცაა «დოლარის დიპლომატია», «საფეიქრო დიპლომატი» და ა.შ.

თავად ედ ცნების არ არსებობა არ ნიშნავდა, რომ ეკონომიკური მიმართულება საერთაშორისო ურთიერთობებში, საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიაში, არ იქცევდა მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ყურადღებას. როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკური მიმართულება საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის არსებობდა. ეს ეხება როგორც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიას ზოგად, ასევე საგარეო პოლიტიკას და დიპლომატიის ისტორიას., მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ფართოდ გავრცელდა ცნება «სურსათის დიპლომატია» და «ენერჯო დიპლომატია». ედ-

ში უფრო ვიწრო დარგობრივი კომპონენტების დანერგვის მთავარი ამოცანა იყო, არა ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოება, არამედ საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ეროვნული რესურსების გამოყენება, ან სავაჭრო პარტნიორის ხარჯზე უპირატესობის მოპოვების მცდელობა.

ედ ერთ-ერთი მკვლევარი გი კარონ დე ლა კარრიერმა ედ-ს მისცა შემდეგი განმარტება: «ეკონომიკური დიპლომატია არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობებში ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება. დათმობები ან სანქციები, ეკონომიკურად უფრო ხელსაყრელი პოზიციების გამოყენება არის ზეწოლის საშუალება და დიდად არ განსხვავდება სამხედრო ძალის დემონსტრირებისაგან, განსაკუთრებით პოლიტიკური მიზნების მიღწევის მცდელობისას და, როგორც წესი, ამგვარი მიზნების მიღწევას ითვალისწინებს სანქციების დაწესება... ეკონომიკური დიპლომატია არის დიპლომატიის მეშვეობით ეკონომიკური მიზნების მიღწევის საშუალება, მიუხედავად იმისა, იყენებს ის თუ არა ეკონომიკური ბერკეტებს მათ მისაღწევად.

პროფესორი ვ. შიტინინი იძლევა შემდეგ განსაზღვრებას: «ეკონომიკური დიპლომატია არის ეკონომიკისა და პოლიტიკის შენადნობი, რომელიც უზრუნველყოფს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებასა და რეალიზაციას, რომლის დახმარებითა და მეშვეობითაც ხორციელდება თანამშრომლობა და მეტოქეობა თანამედროვე მსოფლიოში, განსაზღვრავს საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა და გაუმჯობესების ფორმებსა და მეთოდებს, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება საზოგადოების სოციალური განვითარებისა და ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესის საკვანძო პრობლემების გადაჭრისას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური დიპლომატია წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოებისა და ეკონომიკური სუბიექტების ერთობლივ საქმიანობას, თანამედროვე ეკონომიკის, პოლიტიკის, სამართლის, თანამედროვე დიპლომატიის ინსტრუმენტების, მეთოდებისა და ფორმების, მრავალმხრივი და ორმხრივი ინსტიტუტების, გეოპოლიტიკური უპირატესობების პოტენციალის გამოყენებით, საერთაშორისო ასპარეზზე ეროვნული ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის მიზნით, რომლებიც მიმართულია სახელმწიფოს უსაფრთხოების, მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფისთვის.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკური დიპლომატია ითვალისწინებს რისკების (პოლიტიკური და ეკონომიკური) მართვასა და საქმიანობას, რომელიც მიმართულია საერთაშორისო არენაზე დიპლომატიური მეთოდების გამოყენებით, სახელმწიფოს უპირატესობების მაქსიმალურად ეფექტური ტრანსფორმაციისთვის, მისი უსაფრთხოების, მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაცვისა და უზრუნველყოფისათვის.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საერთაშორისო ეკონომიკურ სფეროში დიპლომატიის ფუნქციების გაფართოება იყო მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურის მოდერნიზაციის ლოგიკური განვითარება ყველა (ეროვნულ, რეგიონალურ და გლობალურ) დონეზე. ქვემოთ ავლნიშნავთ ზოგიერთი ამ ცვლილებას:

1. გლობალური მოდერნიზაციის პროცესში მონაწილე ქვეყნების და აქტორების (ტრანსნაციონალური კორპორაციები, მსხვილი ინვესტორები და სხვა) გაზრდილმა რაოდენობამ და მსოფლიო ბაზარის განვითარებამ ხელი შეუწყო ეკონომიკური დიპლომატიის ამოცანათა საერთო დონის ზარდას, კერძოდ დაისახა ახალი ტენდენცია, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნების პრობლემების გადაჭრას, არამედ მოიცავს გლობალური დონის საკითხების დარეგულირებას;

2. საგარეო ვაჭრობისათვის დიპლომატიური დახმარების აღმოჩენა გულისხმობს საზღვარგარეთ ეროვნული ინტერესების ხელშეწყობას ყველა ეტაპზე: უცხოურ ეკონომიკაში შესვლა, გარანტიების უზრუნველყოფა, ეროვნული ეკონომიკის ინტერესების საგარეო პოზიციების განვითარებასა და განმტკიცების ღონისძიებებში ეროვნული კომპანიებისთვის და კერძო პირებისათვის მხარდაჭერის ორგანიზება.

ეროვნულ ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების დაცვა ეკონომიკური დიპლომატიისათვის გახდა პრიორიტეტული. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური დიპლომატიის უნარს იმუშაოს წინსწრების რეჟიმში, რათა უზრუნველყოს პოლიტიკური საფუძვლი ეკონომიკური ინტერესების გატარებისთვის;

3. საერთაშორისო ბაზარი ცდილობს «დაეპატრონოს» ეროვნულ ეკონომიკას. ეს კი, თავის მხრივ, სერიოზულ ამოცანას უსახავს ეკონომიკურ დიპლომატიას, რათა განავითაროს და შეათანხმოს «თამამის საერთო წესები» მსოფლიო ბაზარზე, საზოგადოებრივი საქმიანობისა და ეკონომიკურ სფეროებში ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. ამავე დროს ეკონომიკური დიპლომატია არ ცდილობს შეცვლოს საბაზრო მექანიზმები, არამედ ეყრდნობა და ითვალისწინებს მათ;

4. საერთაშორისო ეკონომიკურ-სამართლებრივი სივრცის ფორმირების გათვალისწინებით ეკონომიკურ დიპლომატიას ეკისრება შიდა და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკაში ეროვნულ ინტერესების გათვალისწინება. ეს საკითხი გლობალიზაციის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელობას იძენს;

5. ეკონომიკური დიპლომატიის ახალი ამოცანას განეკუთვნება სოციალური ხასიათის უნივერსალური პრობლემები. ამგვარი საკითხები მწვავეა და ხშირად გაიჟღერებს, როგორც ორმხრივი შეხვედრებზე, აგრეთვე მრავალმხრივ დიპლომატიას ფარგლებშიც;

6. გლობალურ ეკონომიკაში იზრდება საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციის პროცესის როლი და მნიშვნელობა. ამან გამოიწვია სხვადასხვა ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროებსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს შორის საქმიანობის კოორდინაციის მნიშვნელობის ზრდა, ზემოხსენებული მიუთითებს, რომ თანამედროვე ეკონომიკურ დიპლომატიის მიზნებია:

ა) პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების მართვის (შეფასების) ხელშეწყობა;

ბ) მსოფლიო ბაზარზე ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვა და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

გ) საგარეო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა;

დ) საერთაშორისო ბაზრებზე არსებული მოთხოვნებისა და ტენდენციების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება;

ე) საერთაშორისო ეკონომიკაში ეროვნული კომპანიების მონაწილეობის მხარდაჭერა სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების გამოყენების გზით;

ვ) საელჩოების, სამინისტროების და ა.შ. შორის გამართული კონსულტაციების დროს ეკონომიკურ საკითხების მნიშვნელობის პრიორიტეტულობა;

ზ) საერთაშორისო ასპარეზზე სავაჭრო, საფინანსო და სხვა ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის წესების ჰარმონიზაცია და შეთანხმება;

თ) საერთაშორისო პროექტების შემუშავება და განხორციელება;

ი) ახალი მდგრადი საერთაშორისო სავალუტო და საგადასახადო სისტემის ფორმირება (ამ უკანასკნელის აქტუალურობა ცხადყო მიმდინარე ე.წ. სავალუტო ომებმა და მსოფლიო ეკონომიკურმა რეცესიამ, რომლის შედეგები ჯერ კიდევ საგრძნობია მსოფლიო ეკონომიკაში).

ამდენად, ეკონომიკური დიპლომატია საშუალებას იძლევა არა მხოლოდ გადავჭრათ მიმდინარე და ახლო მომავალზე ორიენტირებული საგარეო ეკონომიკურ ამოცანები, არამედ გავლენას ახდენს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზეც.

თანამედროვე ეკონომიკურ დიპლომატიის ფორმირებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა გლობალურმა ეკონომიკურმა ცვლილებებმა თანამედროვე მსოფლიოში, კერძოდ:

– მსოფლიო ბაზარზე სავაჭრო ურთიერთობებს დაემატა, კაპიტალის მოძრაობის გაზარდილი როლი და მნიშვნელობა;

– «ღია» ეკონომიკის ზეგავლენით მიმდინარეობს ერთიანი მსოფლიო ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბების ინტენსიური პროცესი, რომელშიც საწარმოო ძალების გეოგრაფიული განთავსება, ინვესტიციების დარგობრივი სტრუქტურა, წარმოება და გასაღება სულ უფრო მეტად განისაზღვრება გლობალური საბაზრო კონიუნქტურით.

– გაიზარდა ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიოში ინდუსტრიული წარმოების კონტროლის, საერთაშორისო ვაჭრობის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განხორციელების საკითხებში.

– გაიზარდა სახელმწიფოთაშორისი ინტეგრაციული ორგანიზაციების მნიშვნელობა, რეგიონულ, სუბრეგიონალურ და რეგიონთაშორის დონეებზე.

– გამოიკვეთა ძალზე სერიოზული დისბალანსი ცალკეული საბაზრო კომპონენტების განვითარებაში (კერძოდ: საერთაშორისო გაყიდვების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ვაჭრობა ტრანსნაციონალურ კომპანიების ფარგლებში; საერთაშორისო ვაჭრობის ტემპი აჭარბებს მსოფლიო წარმოების სიმძლავრეების ზრდას და ა.შ.).

გლობალური ეკონომიკა სულ უფრო მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეროვნული ეკონომიკის პროპორციებს, ურთიერთქმედების მექანიზმებს, ფუნქციონირების ნორმებსა და სტანდარტებს. ამ პროცესის ფარგლებში ხდება კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია, კომპანიებისა და ბანკების საერთაშორისო შერწყმა და შექმნა.

ზოგადად ზემოხსენებული საბაზრო პროცესები გვთავაზობს ახალ შესაძლებლობებს და ახალ ამოცანებს უყენებს ეკონომიკურ დიპლომატიას და სძენს საერთაშორისო საქმიანობის ამ მიმართულებას განსაკუთრებულ აქტუალობას.

### **ეკონომიკური დიპლომატიის თანამედროვე სისტემა**

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში ეკონომიკური დიპლომატიის როლის ზრდა განაპირობა ბევრმა კონკრეტულმა ფაქტორმა.

პირველ რიგში, ამას ხელი შეუწყო მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ინტერნაციონალიზაციამ და ურთიერთდამოკიდებულების ხარისხის ზრდამ, აღნიშნული სისტემა ორი მიმართულებით ვითარდება – გლობალური და რეგიონული ინტეგრაციის სიბრტყეში. თეორიულად, რეგიონული ინტეგრაციამ შესაძლოა ხელი შეუწყოს რეგიონთაშორის მეტოქეობას. მაგრამ დღეს ეს საფრთხე შეზღუდულია მსოფლიო ეკონომიკურ სისტემის ახალი თვისებებით. უპირველეს ყოვლისა, ახალი რეგიონული გაერთიანებების გახსნილობით. გარდა ამისა ტრანსნაციონალური კომპანიების უმრავლესობა მუშაობას ერთდროულად ყველა არსებული რეგიონული ორგანიზაციების (ეკონომიკური გაერთიანებების) ტერიტორიებზე.

მეორე, სახეზეა გლობალური ეკონომიკური სისტემის ახალი რეალობა – საბაზრო ეკონომიკის სწრაფი გაფართოება, ეროვნული ეკონომიკების ლიბერალიზაცია და მათი ურთიერთქმედების ზრდა ვაჭრობისა და საერთაშორისო საინვესტიციების საშუალებით.

მსოფლიო ეკონომიკაში «მოთამაშეთა» რაოდენობის მკვერთი ზრდა თანამედროვე ეტაპის დამახასიათებელი თავისებურებაა, ტრანსნაციონალური კომპანიები, ბანკები, საინვესტიციო ჯგუფები დიდ ზემოქმედებას ახდენენ მსოფლიო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებზე. მსოფლიო ეკონომიკა იმდენად ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ხდება, რომ მისი ყველა მონაწილეს ინტერესები მოითხოვს სტაბილურობის შენარჩუნებას არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით.

მესამე, ტრანსნაციონალური კორპორაციები ცდილობენ დაუქვემდებარონ გლობალიზაციის პროცესი თავიანთ მიზანებს, რათა გააძლიერონ დომინანტური პოზიცია გლობალურ ბაზარზე. ეს კი მნიშვნელოვნად ამაღლებს ეკონომიკური დიპლომატიის როლს.

ეკონომიკური დიპლომატიის მნიშვნელობის გაზრდას საფუძვლად უდევს, აგრეთვე ის ძირეული ცვლილებები, რომლებიც მიმდინარეობს თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში: მიმდინარეობს გლობალურ ეკონომიკაში იმ ქვეყნებისა და ტერიტორიების ჩართვა, რომლებიც ადრე ნაკლებად მონაწილეობდნენ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში.

იზრდება სხვადასხვა რეგიონში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მრავალფეროვნება. სამეცნიერო – ტექნოლოგიური პროგრესი აფართოებს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროებს, იწვევს ახალი საწარმოო დარგების შექმნას, რომელთა ნაწარმი ჩართულია მსოფლიო ვაჭრობაში.

მატულობს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების რიცხვი, რის შედეგადაც სულ უფრო ჩვეული ხდება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების გამოყენება. ჩვეულებრივ საქმედ იქცა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მუშაობა, განათლების მიღება და მკურნალობა;

გამოიყენება ტექნიკურად უფრო დახვეწილი სატრანსპორტო, სატელეკომუნიკაციო, ფინანსური ურთიერთგადახდის საშუალებები.

გლობალური ფინანსური ინფრასტრუქტურის (ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების, საფონდო და სავალუტო ბაზრების) ფორმირება კაპიტალის მასობრივი და სწრაფი მოძრაობის შესაძლებლობას ქმნის.

დასასრულს უმდა ავლნიშნოთ, რომ XXI საუკუნეში ეკონომიკური დიპლომატია გლობალურ ბაზარზე ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაძლიერებისა და კონკურენტული უპირატესობის მიღების ძალზე მნიშვნელოვანი ბერკეტია.

ამიტომ, ბოლო წლებში ფართო გავრცელება ჰპოვა ეკონომიკურმა დიპლომატიამ, მათ შორის, პოლიტიკურ-დიპლომატიურმა მხარდაჭერამ და ეროვნული ექსპორტის ლობირებამ. ეკონომიკური დიპლომატია XXI საუკუნეში იძენს არა მხოლოდ ეროვნული ფენომენის თვისებებს მაკრო და მიკრო დონეზე, არამედ გეოპოლიტიკურ პარამეტრებსაც.

### ***ზურაბ კოზმავა, დოქტორანტი***

#### **ეკონომიკური დიპლომატიის არსი**

სტატიაში „ეკონომიკური დიპლომატიის არსი“ მიმოხილულია ეკონომიკური დიპლომატიის, როგორც დამოუკიდებელი კვლევის ობიექტის ჩამოყალიბებისა და განვითარების ასპექტები. მოცემულია ეკონომიკური დიპლომატიის ცნების განსზაღვრება, ასევე ეკონომიკური დიპლომატიის კლასიკური დიპლომატიის ცალკე დარგად ჩამოყალიბების მიზეზები.

განხილულია XXI საუკუნეში ეკონომიკური დიპლომატიის მიზნები და ამოცანები, რაც მოიცავს: ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას, სარგებლისა და კონკურენტული უპირატესობის მიღებას გლობალურ ბაზარზე. ბოლო წლებში ფართო გავრცელება ჰპოვა პოლიტიკურ-დიპლომატიურმა მხარდაჭერამ და ეროვნული ექსპორტის ლობირებამ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეკონომიკური დიპლომატია XXI საუკუნეში იძენს არა მხოლოდ ეროვნული ფენომენის თვისებებს მაკრო და მიკრო დონეზე, არამედ გეოპოლიტიკურ პარამეტრებსაც.

### ***Зураб Козмава, Докторант***

#### **Сущность Экономической Дипломатии**

В статье «Экономическая Дипломатия» рассмотрены некоторые аспекты формирования и развития экономической дипломатии как отдельного объекта для исследований. Дается дефиниция самого понятия экономической дипломатии.

По мнению автора, увеличение числа стран-участниц и актеров (транснациональные корпорации, крупные инвесторы и др.) в общемировом процессе модернизации и развития мирового рынка способствовало увеличению числа задач для экономической дипломатии – в частности новых задач, которые предусматривают решение проблем не отдельных стран, а предусматривает урегулирования проблем общемирового уровня.

Также рассмотрены цели и задачи стоящие перед Экономическая дипломатия в XXI, что предусматривает укрепления международной конкурентоспособности страны, получения выгод и конкурентных преимуществ на мировом рынке.

Учетом вышесказанного экономическая дипломатия приобретает в XXI в. не только черты национального явления на макро- и микроуровне, но также геополитические параметры.

*Zyrab Kozmava, PHD student*

### **Economic Diplomacy**

In this article “Economic Diplomacy” consideration some aspects of the formation and development of economic diplomacy as a separate object for research. We give a definition of the concept of economic diplomacy, the author believes that most accurately reflects the meaning of economic diplomacy.

The author believes that increasing the number of participating countries and the actors (multinational corporations, large investors, and others) in the global process of modernization and development of the world market has contributed to the number of tasks for economic diplomacy - in particular the new challenges that involve solving problems than individual countries, and provides solutions to the problems of the global level.

Also reviewed the goals and objectives facing economic diplomacy in XXI, which provides for the strengthening of international competitiveness, reap the benefits and competitive advantages in the global market. Therefore, in recent years become the most widely active forms of ED, including political and diplomatic support and lobbying of domestic exports, numerous interrelated measures to improve the access of domestic companies on foreign markets (especially trade policy measures). The use of multilateral and regional organizations to advance their own interests, a focused impact on the partners with financial, resource and other means of exerting pressure.

Having said this economic diplomacy gets in the XXI century. not only features a national phenomenon at the macro and micro level, but also geopolitical options.

### **ლიტერატურა**

1. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, «სამეცნიერო შრომების კრებული», თბ., 2008;



2. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, «სამეცნიერო შრომების კრებული», თბ., 2009;
3. Краткий внешнеэкономический словарь. - М.: Междунар. отношения, 1984;
4. Дипломатический словарь: в трех томах. Том. I-III, 4-е издание. - М.: «Наука», 1984;
5. Щетинин В.Д. Экономическая дипломатия: Учебное пособие. - М.: Междунар. отношения, 2001;
6. Попов В.И. Современная дипломатия: теория и практика. Дипломатия - наука и искусство: Курс лекций. 2-е изд., - М.: Междунар. отношения, 2004;
7. Зонова Т.В. Современная модель дипломатии: истоки становления и перспективы развития. - М.: РОССПЭН, 2003;
8. Ги Каррон де ла Каррьер. Экономическая дипломатия. Дипломат и рынок. - М.: МГИМО, РОССПЭН, 2003;
9. Berridge G.R. Diplomacy: Theory and Practice. Third Edition. Palgrave, New York. 2005;
10. Nicholson M. International Relation: A Concise Introduction. Second Edition. New York. Palgrave Macmillan. 2002;
11. Morgenthau Hans J. Politics among Nations: The Struggle for Power and Peace. Brief ed. McGraw-Hill. New York. 1993;
12. Иванов И.Д. Хозяйственные интересы России и ее экономическая дипломатия. - М.: РОССПЭН, 2001;
13. Лихачев А.Е. Экономическая дипломатия России. Новые вызовы и возможности в условиях глобализации. - М.: ЗАО «Изд-во «Экономика», 2006;
14. Мавланов И. Экономическая дипломатия. Т. 1. - Т.: УМЭД, ПРООН, 2007;
15. Современные международные отношения. Под ред. А.В.Торкунова. - М.: РОССПЭН, 1999;
16. Stiglitz Joseph E. Globalization And Its Discontents. W.W. Norton & Company, New York, London. 2002;
17. Международные экономические отношения. Под ред. В.И.Рыбалкина. - М.: ЮНИТИ-ДАНА, 2006;
18. Портер Е.Майкл. Конкурентная стратегия: методика анализа отраслей и конкурентов. Пер. с англ. - 2-е изд. - М.: Альпина Бизнес Букс, 2006;
19. Pearson Charles S. Economics and The Global Environment. Cambridge University Press. Cambridge. 2000;
20. Markandya Anil, Harou Patrice, Bellu Lorenzo Giovanni and Cistulli Vito. Environmental Economics for Sustainable Growth: A Handbook for Practitioners. Edward Elgar Publishing Limited. Cheltenham, UK. 2002;
21. Мавланов И.Р. - заведующий кафедрой практической дипломатии Университета мировой экономики и дипломатии, Узбекистан. Статья "Экономическая дипломатия в начале XXI вызовы и тенденции развития" опубликована в журнале «Казахстан в глобальных процессах», №1-2008.

*ზვიად ელიზბარაშვილი, დოქტორანტი*

## დანაშაულთა ერთობლიობის პრობლემა ბანდიტიზმის კვალიფიკაციისას

სისხლის სამართლის რეფორმა ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისაკენ. ამასთან განსაკუთრებით აქტუალურია იმ ნორმათა დეფინიციის საკითხი, რომლებიც ქმნიან სიძნელეებს დანაშაულთა სწორი კვალიფიკაციის საქმეში. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ბანდიტური თავდასხმის ცნება, რომელიც იწვევს საკმაოდ სერიოზულ სიძნელეებს დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციისას.

უნდა აღინიშნოს, რომ ბანდიტური თავდასხმის ცნების პრობლემა დგება მხოლოდ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სადაც შენარჩუნებულია ნორმა ბანდიტიზმის შესახებ. სხვა ქვეყნების უმრავლესობაში ასეთი ნორმა არ არსებობს, ამიტომ იქ ბანდიტური თავდასხმა გაგებულია როგორც დანაშაული, ჩადენილი დანაშაულებრივი ორგანიზაციის ან დაჯგუფების (сообщества) მიერ. მეორეს მხრივ, მაგალითად, გერმანიაში, ესპანეთში, საფრანგეთში შენარჩუნებულია ტერმინი ბანდა, მაგრამ ამ ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსები ბანდის ცნების განმარტებას არ იძლევიან, რადგან მას განიხილავენ, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაციის ნაირსახეობას. ამასთან იურიდიულ-ტექნიკური თვალსაზრისით ზემოთ მითითებული ქვეყნების კოდექსები გვთავაზობენ მეტად საინტერესო მიდგომას, რომელიც საშუალებას იძლევა კონსტრუქციულად გადაიჭრას პრობლემატიკა, დაკავშირებული ბანდიტური თავდასხმის ცნების დაზუსტებასთან, რაზეც უფრო დაწვრილებით ჩვენ ვისაუბრებთ ქვემოთ.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების პრაქტიკასა და მეცნიერებაში ბანდიტური თავდასხმის ცნებასთან დაკავშირებით არსებობს ორი მიდგომა. გარდა ლატვიის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკები იმეორებენ რუსული კანონმდებლობის მოდელს, არ წარმოადგენს გამონაკლისს არც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. სსკ 224-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება ბანდის მიერ ორგანიზებულ თავდასხმაში მონაწილეობისთვის. ნორმის ეს მოდელი პირველად გამოჩნდა საბჭოთა რესპუბლიკების 60-იანი წლების სისხლის სამართლის კოდექსებში და ჯერაც შენარჩუნებულია პირველადი სახით.

უპირველეს ყოვლისა განვიხილოთ პრობლემები წარმოშობილი რუსეთის სასამართლო პრაქტიკასა და მეცნიერებაში, რადგან იქ ბანდიტიზმის ცნებისათვის გაბატონებული მიდგომას ფეხი მოიკიდას პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების კანონმდებლობაშიც. აქვე აღნიშნავთ, რომ საქართველოში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში არ არსებობს არც სასამართლო პრაქტიკა და არც მონოგრაფიული გამოკვლევები.

ბანდიტიზმის საქმეებთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკის განზოგადებისას, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი 1993 წელს შეეცადა სასამართლოებისათვის შეეთავაზებინა ბანდიტური თავდასხმის უნიფიცირებული გაგება. დადგენილების მე-8 პუნქტში მითითებული იყო, რომ თავდასხმის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ქმედებები, მიმართული დანაშაულებრივი შედეგის მიღწევისკენ დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენების ან მისი დაუყოვნებლივ გამოყენების რეალური საშიშროების შექმნის გზით, ანუ საუბარია ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობაზე.

ბანდიტიზმის აღნიშნულმა განმარტებამ პრაქტიკაში გამოიწვია გარკვეული სიძნელეები და შესაბამისად რუსეთის მეცნიერთა კრიტიკული დამოკიდებულება. მეცნიერთა მიერ აღნიშნებოდა, რომ ძალადობა და თავდასხმა – ეს არაა მსგავსი ცნებები. თავდასხმა – აგრესიული, მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა, მიმართული რომელიმე მართლსაწინააღმდეგო მიზნის მიღწევისკენ. თავდასხმა შეიძლება გამოიხატოს სამი ფორმით: ფიზიკურ თავდასხმაში, ფსიქოლოგიურ თავდასხმაში (რეალურ და უშუალო მუქარაში) და დაუყოვნებელი თავდასხმის საშიშროებაში (სუბიექტური და ობიექტური მზადყოფნა). თავდასხმა შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ ძალადობაში, არამედ ქონების, შენობის, ნაგებობის, სატრანსპორტო საშუალების განადგურებაშიც (აფეთქებები ოფისში, ბინაში, ავტომობილის დაწვა, სატრანსპორტო საშუალებათა ხელში ჩაგდება და სხვა). ამიტომ ბანდიტიზმის კვალიფიკაცია შესაძლებელია ასევე ბანკზე, საწარმოზე, ბინაზე ბანდიტური თავდასხმის დროსაც, როცა იქ არ აღმოჩნდნენ ადამიანები და მათ მიმართ ძალადობა არ გამოყენებულა (2.19).

აღმოჩნდა რა ბანდიტიზმის კვალიფიკაციის გადაუწყვეტელი პრობლემების წინაშე, უმაღლესი სასამართლოს პლენუმი 90-იანი წლების ბოლოს კვლავ დაუბრუნდა ბანდიტური თავდასხმის ცნების დაზუსტებას. როგორც მითითებული იყო 1997 წლის 17 იანვრის დადგენილებაში, ბანდიტური თავდასხმა არ ითვალისწინებს ბანდის წევრთა მიერ ჩადენილ დანაშაულს. ასეთ შემთხვევებში სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ დანაშაულთა ერთობლიობის დადგენის წესით (9). მოყვანილ დადგენილებამ კვლავ წარმოშვა მთელი რიგი სირთულეები.

პირველ რიგში, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ «თავდასხმის» ცნებაში უნდა მოხვედრილიყო მხოლოდ სამართალდარღვევები, რადგან თავდასხმის ცნებაში დადგენილება არ გულისხმობდა ბანდის მიერ ჩადენილ დანაშაულს.

მეორე, დაშვებული იყო ორმაგი პასუხისმგებლობა. მაგალითად, მკვლელობა ჩადენილი ბანდის მიერ ან ორგანიზებული დაჯგუფების მიერ (კვალიფიციური შემადგენლობა) უნდა დაკვალიფიცირებულიყო ერთობლიობით.

მესამე, დადგენილებამ ბოლომდე ვერ გადაჭრა დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციის პრობლემა. ერთის მხრივ, დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ ბანდიტური თავდასხმა შეიძლება მოიცავდეს არა მხოლოდ მოქალაქის ან ორგანიზაციის ქონების, ფულის ან სხვა ფასეულობების უშუალო დაუფლებას, არამედ ასევე მკვლელობას, გაუპატიურებას, გამოძალვას, სხვისი ქონების დაზიანებას ან განადგურებას (პუნქტი 12). მეორეს მხრივ, დადგენილების თანახმად პასუხისმგებლობა ბანდიტიზმისათვის არ გულისხმობს თავდასხმის პროცესში ბანდის წევრთა მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს, რომლებიც წარმოშობენ დანაშაულთა

დამოუკიდებელ შემადგენლობას. დადგენილების თანახმად ასეთ შემთხვევებში უნდა ვიხელმძღვანელოთ სისხლის სამართლის კოდექსის იმ ნორმით, რომელთა მიხედვითაც ბანდიტი ყოველი დანაშაულისათვის პასუხს აგებს დანაშაულის ერთობლიობით (4.16; 12.88-89).

რუსეთის ზოგიერთი მეცნიერები შეეცადნენ გადაერჩინათ ბანდიტური თავდასხმის საკანონმდებლო კონსტრუქცია დანაშაულთა ერთობლიობის დასაბუთების სხვადასხვა ურთიერთსაწინააღმდეგო კრიტერიუმების გამოყენების გზით.

ასე მაგალითად, მეცნიერთა ერთი ნაწილი გვთავაზობდა კვალიფიკაციის შემდეგ კონსტრუქციას. როგორც ისინი აღნიშნავდნენ, ბანდიტიზმის შემადგენლობა ატარებს რთულ ხასიათს. სხვადასხვა მართლსაწინააღმდეგო აქტები, რომელთაც სჩადის ბანდა, შეიძლება გათვალისწინებული იყოს ცალკე შემადგენლობებით, თუმცა როგორც ჩადენის საშუალება ისინი კარგავენ თავიანთ დამოუკიდებლობას. ამიტომ ნებისმიერი დანაშაული, რომელიც ხორციელდება თავდასხმით, შედის ამ ცნებაში და არ მოითხოვს დამატებით კვალიფიკაციას (7. 274-280). ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ზოგიერთი ქართველი მეცნიერიც. როგორც აღნიშნავენ, დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით 224-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სანქცია მნიშვნელოვნად მსუბუქია, ამავე მუხლის I ნაწილის სანქციასთან შედარებით (I ნაწილით – თ.ა. თორმეტიდან ოც წლამდე, ხოლო მეორე ნაწილით – თ.ა. შვიდიდან თორმეტ წლამდე). აქედან გამომდინარე, თუ ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმას თან ახლავს ისეთი დანაშაულების ჩადენა, როგორცაა ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება, ძალმომრეობითი სქესობრივი დანაშაული, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ძალმომრეობითი დანაშაული და სხვა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – ბანდიტიზმით და შესაბამისი მუხლით (მაგალითად 224-ე და 179-ე მუხლით ყაჩაღობით). საკითხის ასეთი გადწყვეტა არ უნდა ჩაითვალოს მართებულად, რადგან ბანდის მიერ მოწყობილი თავდასხმა სხვა არაფერია, თუ არა რაიმე ძალმომრეობითი დანაშაულის ჩადენა და მისი სამართლებრივი შეფასება 224-ე მუხლშივე უნდა მოხდეს. თუკი ყოველგვარ ძალმომრეობით დანაშაულს ცალკე მუხლით მივცემთ კვალიფიკაციას, მაშინ საერთოდ რა მიზანი აქვს 224-ე მუხლის არსებობას. ამდენად, ამ მუხლის ორ ნაწილად გაყოფა გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს (1. 478-479).

შევეცადოთ ეს დებულება მოვარგოთ ჩვენს კანონმდებლობას. დავუშვათ, რომ ბანდის წევრმა მიიღო დავალება ნებისმიერი საშუალებით დააშინოს პირი, რომელიც არ იხდის «გადასახადს». ნაცვლად სხეულის მძიმე დაზიანებისა, ბანდიტი კლავს მას. შემოთავაზებული კონსტრუქციის თანახმად, ორივე შემთხვევაში იგი პასუხს აგებს 8-დან 20 წლამდე, ეს იმ დროს, როცა საქ. სსკ 109-ე მუხლის მიხედვით, ჯგუფის მიერ ჩადენილი მკვლელობა ითვალისწინებს სანქციას 10-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას. ნათელია, რომ ასეთი მიდგომა ფაქტიურად ამსუბუქებს სანქციას და გზას უხსნის ბანდიტებს უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენისაკენ. ამრიგად, თუ დანაშაულთა A ერთობლიობის დაშვებას მივყავართ ორმაგ პასუხისმგებლობამდე, ერთობლიობაზე უარის თქმას მივყავართ პასუხისმგებლობის შემსუბუქებამდე. როგორც ვხედავთ, აქ პრობლემა მდგომარეობს არა მხოლოდ თავდასხმის დეფინიციის დაზუსტებაში, არამედ ასევე სანქციის სახისა და ზომის დადგენაშიც.

თანახმად სხვა შეხედულებისა, დანაშაული, როგორც ბანდიტური თავდასხმის განხორციელების საშუალება, უნდა იყოს უფრო მსუბუქი, ვიდრე ბანდიტიზმი (8. 58-59). დავუშვათ, რომ ბანდიტებმა ჩაიდინეს ტერორისტული აქტი, რომელიც ითვალისწინებს სანქციის სახით თავისუფლების აღკვეთას 12-დან 17 წლამდე ვადით. ამ კონსტრუქციის თანხმად, არ არსებობს დანაშაულთა A ერთობლიობა, რადგან ტერორისტული აქტი, ჩადენილი ჯგუფის მიერ, ბანდიტიზმთან შედარებით წარმოადგენს ნაკლებად მძიმეს. ნამდვილად. ნებისმიერი დანაშაული შეიძლება იყოს ბანდიტური თავდასხმის საშუალება, მაგრამ შემოთავაზებული მოდელი დანაშაულთა ერთობლიობის გამოყენების ცდის გადალახვისა, არც თუ წარმატებულია, რადგან საქართველოს სსკ მე-16 მუხლი იცნობს მხოლოდ დანაშაულთა ერთობლიობის გამორიცხვის ერთ პირობას – საერთო და სპეციალური ნორმების კოლიზია. დანაშაულის ერთობლიობის გამორიცხვის სხვა პირობებს არც რუდეთისა და არც საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მოსაზრება – მეცნიერის თვალსაზრია და არა საკანონმდებლო კონსტრუქცია.

ბანდიტური თავდასხმის პრობლემის გადასაწყვეტად რიგი მეცნიერები გვთავაზობენ მიზნის კატეგორიას. ისინი თვლიან, რომ ბანდიტური თავდასხმის ჩადენისას მიზანი ერთი უნდა იყოს (16. 125–126). თუ ბანდის წევრი თავს არიდებს ჯარში სამსახურს, მაშინ გვექნება ობიექტთა – ჯარში სამსახურის ინტერესებისა და საზოგადოებრივი უშიშროების განსხვავება. ამიტომ პირი პასუხს აგებს როგორც ბანდიტიზმისა ასევე ჯარში სამსახურისაგან თავის არიდებისათვის. გარკვეული თვალსაზრისით ეს გადაწყვეტილება სწორია, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მიზნის კატეგორია ეწინააღმდეგება თავდასხმის ცნებას. ბანდიტურ დაჯგუფებას ხომ შეუძლია დაისახოს მიზნად ქურდობა, მაგრამ ქურდობა არ არის თავდასხმის საშუალება. აქედან გამომდინარე, ბანდიტიზმის მიზნად თავდასხმის განსაზღვრა არაა სწორი.

არსებობს ასევე განსხვავებული მიდგომა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, თუ ბანდიტიზმის შემადგენლობა ემთხვევა ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე ელემენტს, მაშინ დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს (2.24). მაგალითად, ბანდის მიერ ყაჩაღური თავდასხმისას არ შეიძლება გამოყენებული იქნეს დანაშაულთა ერთობლიობა, რადგან შეიარაღება და თავდასხმა ქონების დაუფლების მიზნით (ყაჩაღობა) – ბანდიტიზმის ელემენტებია. რა თქმა უნდა, თუ შევინარჩუნებთ ცნებას «თავდასხმა», მაშინ მოცემული აზრი სწორია: ნებისმიერი ძალადობრივი ან შეიარაღებული ხელყოფა შეიძლება ჩართულ იქნეს თავდასხმაში, მაგრამ ბევრი საკითხი მაინც რჩება გაურკვეველი. კერძოდ, ბანდიტური დაჯგუფების მიზანი შეიძლება იყოს დანაშაული, რომელიც არაა დაკავშირებული თავდასხმასთან. ამ შემთხვევაში ეს დანაშაული ელემენტის სახით უნდა შევიდეს ბანდიტიზმის შემადგენლობაში, მაგრამ «თავდასხმის» კონსტრუქცია ართულებს ამას. ამიტომ დანაშაული, რომელიც არაა დაკავშირებული თავდასხმასთან, ყოველთვის რჩება ბანდიტიზმის შემადგენლობის გარეთ, თუმცა იგი რეალურად უზრუნველყოფს ბანდიტური ინტერესის შესრულებას.

რუსეთის მეცნიერებაში გვთავაზობენ მიდგომას, რომლის თანახმადაც კვალიფიციური შემადგენლობები (მაგალითად მკვლელობა) ყოველთვის მოითხოვს დამოუკიდებელ კვალიფიკაციას და არცერთ სხვა დანაშაულს არ ეთავსება (13.89).

ბანდიტიზმი განეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, ისევე როგორც კვალიფიციური მკვლელობა. ამიტომ, როგორც ვარაუდობენ, მკვლელობა არ შეიძლება გამოდიოდეს ბანდიტიზმის კომპონენტად. ჩვენ უკვე ავლიშნავდით, რომ ასეთი აკრძალვა არ არსებობს საქართველოს სსკ მე-16 მუხლში. უფრო მეტიც, იგი იწვევს ორმაგ პასუხისმგებლობას: პირი ორჯერ უნდა დაისაჯოს განზრახ მკვლელობისთვის და ბანდიტური თავდასხმისთვის.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს მომზადებისა და მცდელობის საკითხების გადაწყვეტის სირთულეები.

დავუშვათ, რომ პირმა შეიძინა იარაღი, მაგრამ მას ჯერ არ განუსაზღვრია თავდასხმის ობიექტი. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა უნდა დადგეს იარაღის უკანონო შეძენისათვის (საქ. სსკ 236-ე მუხლი) და არა მკვლელობის მომზადებისათვის. ამასთან სხვაგვარადაა საქმე ბანდიტიზმის დროს. როგორც ჩვენ გვარწმუნებენ, ბანდის შექმნა გულისხმობს ნებისმიერი მოქმედების ჩადენას: შეთქმულება, დაფინანსება, იარაღის შეძენა და სხვა (6. 624). ამ შემთხვევაში კონსტრუქცია «ბანდაში მონაწილეობა» – დამთავრებული შემადგენლობაა და შესაბამისად, მომზადების ინსტიტუტის ზოგადი წესის გამოყენება შეუძლებელია. ბანდიტიზმი – ფორმალური შემადგენლობაა და ითვლება დამთავრებულად ბანდის შექმნისა და მასში მონაწილეობის მომენტიდან. მაგრამ კონსტრუქცია «თავდასხმა» მოიცავს გარკვეულ წინააღმდეგობებს. რუსეთში გავრცელებული მოსაზრების თანახმა, ბანდის მიზანს წარმოადგენს მოქალაქეებსა და ორგანიზაციებზე თავდასხმა (5. 87). აქედან გამომდინარე, ღიად რჩება საკითხი იმ შემთხვევაში, როცა ბანდიტმა შეიძინა იარაღი, მაგრამ ჯერ არ განუსაზღვრია მკვლელობის ობიექტი, თუმცა როგორც შესაძლო მიზანი იგი არსებობს.

რიგი რუსი მეცნიერებისა სამართლიანად თვლის, რომ კონკრეტული დანაშაულის მომზადებისათვის ბანდის პასუხისმგებლობა უნდა დადგეს მხოლოდ რუსეთის სსკ 209-ე მუხლით (ბანდიტიზმი), რადგან მოზადებას მთლიანად მოიცავს ბანდიტიზმის შემადგენლობა. შეიარაღება წარმოადგენს ბანდის განუყოფელ ნიშანს. ამიტომ ბანდიტიზმის შემადგენლობა მთლიანად მოიცავს ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებების და მოწყობილობების უკანონო შეძენას, გადაცემას, გასაღებას, შენახვას, გადაზიდვას ან ტარებას და რუსეთის სსკ 222-ე მუხლით (იარაღის უკანონო შეძენა) დამატებითი კვალიფიკაცია საჭირო არაა.

ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა ქ. პოლევსკის სასამართლოს მიერ განხილული საქმე. სვერდლოვსკის ოლქის პროკურატურის მიერ ბანდიტიზმში იმხილებოდა ქ. ეკატერინბურგსა და ქ. პოლევსკში მცხოვრები ხუთი ადრე ნასამართლობის მქონე პირი. მათ მიმართ ინკრინინირებული იყო დანაშაული, გათვალისწინებული რუსეთის სსკ 105-ე მუხლის (მკვლელობა) I ნაწ., რუსეთის სსკ 30-ე და 105-ე მუხლით (მკვლელობის მომზადება), 162-ე მუხლით (ყაჩაღობა), 222-ე მუხლით (იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა ან ტარება), ასევე 209-ე მუხლით (ბანდიტიზმი) (18). მოცემულ შემთხვევაში მომზადების ინსტიტუტის გამოყენების საკითხი წყდება ბანდიტიზმის ფორმალური შემადგენლობის თავისებურებების გათვალისწინების გარეშე. როგორც სამართლიანად აღნიშნავს დ.ვ. იაკუშევი, დანაშაულის მომზადების პროცესს მთლიანად მოიცავს ბანდიტიზმის შემადგენლობა (17.2).

აღნიშნულის გარდა საჭიროა შევხვით იმ პრობლემურ სიტუაციას, რომელიც წარმოიშობა ბანდის მიერ ჩადენილ დანასაუღლთა ერთობლიობით კვალიფიკაციის დროს. ერთის მხრივ, როგორც აღნიშნავენ, ბანდიტიზმში მონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, მაშინ როცა, მაგალითად, მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნას ასევე ევენტუალური განზრახვით, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ მკვლელობა შესაძლებელია გაუფრთხილებლობითაც. ასე მაგალითად, ვ. ბიკოვი წერს, რომ განზრახვა ბანდის მიმართ შესაძლებელია იყოს პირდაპირი, ხოლო თავდასხმის კონკრეტული შედეგების მიმართ, მაგალითად ადამიანთა სიცოცხლის მოსპობის მიმართ, შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი განზრახვით (3.12). როგორც ჩანს, დანაშაულის ერთობლიობის მომხრეები დგანან სერიოზული პრობლემის წინაშე, როგორც კი ჩვენ ვცდილობთ ეს ინსტიტუტი გამოვიყენოთ ბანდიტიზმის კონსტრუქციის მიმართ.

მეტად პრობლემატურია ასევე მცდელობის საკითხი. როგორც აღნიშნავენ, იმ შემთხვევებში, როდესაც გარკვეული გარემოებების გამო პირებმა ვერ შექმნეს შეიარაღებული მყარი ჯგუფი მათი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ბანდის შექმნის მცდელობა (6. 624). ეს მოსაზრება სწორია იმ პირობით, თუ შემოვიფარგლებით მხოლოდ ბანდის შექმნით. მაგრამ გარდა ბანდის «შექმნისა» არის კიდევ სხვა ელემენტი – «მონაწილეობა თავდასხმებში». დავუშვათ, რომ ბანდიტურმა ჯგუფმა ჩამოყალიბდა, მაგრამ მან ვერ შესძლო მკვლელობის ჩადენა. რა ვქნათ ასეთ შემთხვევაში? თუ თავდასხმის ცნება მოიცავს მკვლელობას, მაშინ უნდა ვადიაროთ, რომ თავდასხმის შემადგენლობა უკვე სახეზეა, მიუხედავად იმისა მოკლულ იქნა თუ არა დაზარალებული. აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია ვისაუბროთ მცდელობაზე. ანალოგიურადაა ყაჩაღობის დროსაც (მუხლი 179-ე), რომელიც ითვლება დამთავრებულად თავდასხმის მომენტში, იმისგან დამოუკიდებლად დაეუფლა თუ არა ნივთს დამნაშავე პირი.

ამასთან, რუსეთის სასამართლო პრაქტიკაში ეს საკითხი წყდება სხვაგვარად. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ვორობიოვისა და სხვათა საქმე, განხილული ტიუმენის ოლქის ნიჟნევარტოვსკის რაიონული სასამართლოს მიერ. სხვადასხვა ბინებში ქურდობის მთელი რიგი სერიების ჩადენის შემდეგ ბანდამ გადაწყვიტა ჩაედინა მორიგი ქურდობა, მაგრამ ბინაში აღმოჩნდა გ., რომელიც გამოიქცა კიბისკენ და დაიწყო ყვირილი დახმარებისთვის. ვორობიოვმა მას დანით მიაყენა 11 ჭრილობა, რათა ამ უკანასკნელს ხელი არ შეეშალა მათთვის სხვისი ქონების დაუფლებისათვის.

ვორობიოვის ქმედება რაიონულმა სასამართლომ დააკვალიფიცირა რუსეთის სსკ 77-ე მუხლით (ბანდიტიზმი), ხოლო მე-15 და 102 მუხლი (მკვლელობის მცდელობა) გამორიცხა, რადგან ბანდიტიზმი მოიცავს მკვლელობის მცდელობასაც. რუსეთის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1993 წლის 21 დეკემბრის დადგენილების «ბანდიტიზმის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ» მე-10 პუნქტით რუსეთის სსკ 77 მუხლი არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შეიარაღებული ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების შესაძლო შედეგებისათვის, რის გამოც საჭიროა თავდასხმის დანაშაულებრივი შედეგების დამატებითი კვალიფიკაცია, რომლებიც ქმნიან მძიმე დანაშაულის დამოუკიდებელ შემადგენლობას (რუსეთის სსკ მე-7 მუხლი). ამიტომ სასამართლომ უნდა განიხილოს საკითხი ვორობიოვის ქმედებების

დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციის შესაძლებლობის შესახებ, რაც დაკავშირებულია დ.-ს ბინაზე ბანდიტურ თავდასხმასთან და გ.-ს მკვლელობის მცდელობასთან რუსეთის სსკ 77, 15 და 102-ე მუხლებით (19).

ამავე დროს, თვით რუსეთის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების დებულებები იყო ურთიერთსაწინააღმდეგო. მე-8 პუნქტის პირველ ნაწილში მითითებული იყო, რომ «თავდასხმის ქვეშ უნდა გავიგოთ ქმედებები, მიმართული დანაშაულებრივი შედეგების მიღწევისკენ დაზარალებულზე ძალადობის გამოყენების გზით ან მისი დაუყოვნებელი გამოყენების რეალური მუქარით» (10.). როგორც მოცემული საქმიდან ჩანს, მკვლელობის მცდელობა იყო ქმედება, მიმართული შედეგის მიღწევისკენ – ქონების უკანონო დაუფლებისაკენ. მოცემული პუნქტის მეორე ნაწილში კი ვკითხულობთ საწინააღმდეგო აზრს: «შეიარაღებული ბანდის თავდასხმა უნდა ჩაითვალოს შემდგარად იმ შემთხვევებში, როცა ბანდის წევრების მიერ მათ ხელთ არსებული იარაღის გამოყენება არ მომხდარა, ხოლო დანაშაულის მიზანი მიღწეულ იქნა დაზარალებულის მიმართ გამოთქმული მუქარის ან მისი გამოყენების აშკარა საშიშროებით» (10.). ძნელი არაა დავინახოთ, რომ პლენუმის დადგენილების დებულებები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან.

შემდგომში ეს გაურკვეველი სიტუაცია არ იყო დაძლეული. 1999 წელს რუსეთის უმაღლესმა სასამართლომ სასამართოებს მიუთითა, რომ ბანდიტიზმის დროს განხორციელებული მკვლელობა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულის ერთობლიობით. ასეთ შემთხვევებში მკვლელობა დაკავშირებული ბანდიტიზმთან (რუსეთის სსკ 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ზ» ქვეპუნქტი) ბანდიტიზმთან ერთობლიობით კვალიფიცირდება.

თუმცა უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი დეტალიც. რუსეთის სისხლის სამართლის კდექსის 105-ე მუხლში მაკვალიფიცირებელი ნიშნის სახით შეტანილ იქნა ნიშანი – მკვლელობა, ჩადენილი ბანდის მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს კონსტრუქცია გარკვეულწილად იმეორებს გერმანიის სისხლის სამართლის კდექსის საკანონმდებლო ტექნიკას (14). რუსეთის სისხლის სამართლის 244-ე მუხლში კანონმდებელი ითვალისწინებს ქურდობას, რომელიც ჩადენილია ბანდის მიერ, ანუ ბანდიტიზმს, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ ქმედებასთან. მაგრამ რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსმა 105-ე მუხლში (მკვლელობა) არა მარტო გაიმეორა ეს იურიდიული მეთოდი, არამედ ასევე შეინარჩუნა ბანდიტიზმის საბჭოთა მოდელიც (11). შედეგად ბანდიტიზმის კვალიფიკაცია აღმოჩნდა ორმაგი პასუხისმგებლობის დადგენის პრობლემის წინაშე.

პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებიდან მხოლოდ ლატვიამ გადაწყვიტა პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია «თავდასხმის» ბუნდოვან გაგებასთან. სსკ 224-ე მუხლის პირველ ნაწილში ბანდიტიზმი განსაზღვრულია, როგორც ორი ან მეტი პირის გაერთიანება ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფში (ბანდაში) დანაშაულთა ჩადენის მიზნით. მოცემული ნორმის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ბანდის მიერ ჩადენილ დანაშაულში მონაწილეობისათვის ან მისი ხელმძღვანელობისათვის (15).

ვფიქრობთ, რომ ლატვიის მიერ შემოთავაზებული მოდელი შესაძლებელს ხდის გადაჭრილ იქნას მთელი რიგი პრობლემა, რომელიც წარმოიშვა დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციის დროს. საქართველოს სსკ 224-ე მუხლის



სრულყოფისათვის ლატვიის საკანონმდებლო მოდელი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან გვაძლევს საშუალებას დავძლიოთ ნორმის არსებული ხარვეზი.

***ზვიად ელიზბარაშვილი, დოქტორანტი***

### **დანაშაულთა ერთობლიობის პრობლემა ბანდიტიზმის კვალიფიკაციისას**

სტატიაში განიხილება სხვადასხვა კონცეპტუალური მიდგომები «თავდასხმის» კონსტრუქციასთან მიმართებაში, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის 224-ე მუხლში მოცემული ბანდიტიზმის დეფინიციაში გამოიყენება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ პრობლემებს, რომლებიც «თავდასხმის» ცნების ხარვეზებთან დაკავშირებით წარმოიშობიან. გამოაშკარავებულია ის პრობლემები, რომლებიც დანაშაულთა ერთობლიობის კვალიფიკაციისას წარმოქმნიან მოცემულ ცნებას.

ყურადღებას იპყრობს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლში მოცემული ბანდიტიზმის ძალზედ წარმატებული განსაზღვრება, სადაც ბანდიტიზმი განისაზღვრება როგორც ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფში (ბანდაში) ორზე მეტი პირის გაერთიანება დანაშაულის განხორციელების მიზნით.

***Звиადи Элизбарашвили, докторант***

### **ГНПРОБЛЕМА СОВОКУПНОСТИ ПРЕСТУПЛЕНИЙ ПРИ КВАЛИФИКАЦИИ ПРЕСТУПЛЕНИЙ**

В статье рассмотрены различные концептуальные подходы к конструкции «нападения», которая используется в дефиниции бандитизма, данной в ст. 224 Уголовного кодекса Грузии. Особое внимание уделено тем проблемам, которые возникают в связи погрешностями понятия «нападения». Выявлены проблемы, которые порождает данное понятие при квалификации совокупности преступлений.

Обращается внимание на весьма удачное определение бандитизма в ст. 224 Уголовного кодекса, где бандитизм определяется как объединение более двух лиц в организованную вооруженную оружием группу (банду) в целях совершения преступления.

***Zviad Elizbarashvili, PHD student***

### **Problems of Unification of Crime while Qualification of Banditism**

The essay deals with the various conceptual approaches towards construction of “attack”, which are used in the definition of banditism given in the article 224 of Georgian Criminal Law. The problems are payed special aattention, which appeared in connection with gaps of “attack” conception. Problems are revealed, which form the mentioned conception while qualification of totality of crime.

Successful definition of banditism is payed attention given in the article 224 of Criminal Law, where banditism is defined like unification of more then two persons in organized armed group (gang) for the purpose of carring out the crime.

## ლიტერატურა

1. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი I, «მერინიდან», თბ., 2006;
2. **Андреева А., Овчинникова Г. Квалификация бандитизма.**- Законность. 1996. N 4;
3. В.Быков. Банда - особый вид организованной вооруженной группы - Российская юстиция. 1999;
4. Волженкин Б. В. Вопросы квалификации краж, грабежей и разбоев, совершенных с целью завладения личным имуществом граждан. Л., 1981;
5. Гуторова Н.А. Особенная часть уголовного права, 1999. М.;
6. Комментарий к уголовному кодексу РФ. М. 2000;
7. Кузнецова Н.Ф. Проблемы квалификации преступлений - Лекции по спецкурсу «Основы квалификации преступлений» ( Научная редакция и предисловие академика В.Н. Кудрявцева). М. 2007;
8. Попова О. Квалификация бандитизма.- Российская юстиция. 2003. № 1;
9. Постановление Пленума Верховного Суда РФ от 17 января 1997 г. № 1 ЁО практике применения судами законодательства об ответственности за бандитизм Ё. – Бюллетень. 1997, № 6;
10. Постановление Пленума Верховного Суда Российской Федерации от 21.12.93-  
<http://lawrussia.ru/texts/legal-105/doc10a880>;
11. Постановление Пленума Верховного Суда Российской Федерации № 1 от 27 января 1999 г.- <http://www.suprcourt.ru/vscourt-detale.php>;
12. Симонов В. И., Шумихин В. Г. Преступное насилие: понятие, характеристика и квалификация насильственных посягательств на собственность. Пермь, 1992;
13. Токарчук Р.Е. Насилие как составообразующий признак хищений: вопросы уголовной ответственности. – Омск. 2008;
14. Уголовное уложение (уголовный кодекс) Федеративной республики Германия. Текст и научно-практический комментарий. М. 2010;
15. Уголовный закон Латвийской республики. Рига. 2009;
16. Шишко И.В., Г.Н. Хлюпина. Квалификация составных преступлений в практике Верховного Суда РФ- Современные проблемы уголовного права и процесса: Материалы междунар. науч.-практ. конф.: В 2 т. Т. 1. Красноярск, 2003;
17. Якушев Д.В. Уголовно-правовая борьба с бандитизмом : Дис. ... канд. юрид. наук. Москва, 2002;
18. Saiti: <http://prokuratura.ur.ru/index.php?option=com-content&task>;
19. Saiti: <http://www.innovbusiness.ru/pravo/DocumShow-DocumID-44214.html>.

*მანანა ჭიკაშვილი, პროფესორი*

## სოციალური დაცვის სისტემა საქართველოში რეფორმამდე და რეფორმის შემდგომ

ნებისმიერი ქვეყნის სოციალური დაცვის შინაარსს და მისადმი მიდგომებს განაპირობებენ შემდეგი ფაქტორები: ისტორია, ტრადიციები, ფასეულობათა სისტემა, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, სოციალური დაცვის სისტემის შინაარსი ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესაბამისად მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის.

ზოგადად, სოციალური დაცვის სისტემები არ არის მიმართული ცხოვრების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად. იგი გამიზნულია მხოლოდ გარანტირებული მინიმუმის შესაქმნელად. ცხოვრების მაღალი ხარისხი ინდივიდუალური ზრუნვის საგანია, რომლის პირობებსაც სახელმწიფო ქმნის. მაგალითად, საგადასახადო სტიმულებით, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობით და სხვ. სოციალური დაცვის სისტემის დანიშნულება კი ისაა, რომ შექმნას სოციალური რისკების მართვის მექანიზმები და დაიცვას მოსახლეობა სიღარიბისგან.

ხშირად, ტერმინები *სოციალური უსაფრთხოება*, *მაშველი სოციალური ბადა* და *სოციალური დაცვა* იხმარება სინონიმებად, როგორც ურთიერთშემცვლელი. სინამდვილეში, თავიანთი დატვირთვით ისინი იდენტურ ცნებებს არ წარმოადგენენ.

ტერმინი *«სოციალური უსაფრთხოება»* იხმარება განვითარებულ ქვეყნებთან მიმართებ-ბაში და გულისხმობს საზოგადოების მიერ მისი წევრების სოციალური რისკებისაგან დაცვას სოლიდარობის მექანიზმის გამოყენებით.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ *სოციალურ რისკებად* აღიარებულია:

- შრომისუუნარობა (დროებითი ან მუდმივი);
- სიბერე;
- მარჩენალის დაკარგვა;
- ჯანმრთელობის გაურესება/ავადმყოფობა;
- უმუშევრობა;
- საწარმოო ტრამვები/პროფესიული დაავადებები;
- შვილების გაზრდის ხარჯები;
- გაჭირვება (საარსებო მინიმუმის არ არსებობა, სიღარიბეში ჩავარდნის რისკი).

ყველა ზემოთჩამოთვლილი სოციალური რისკები შეგვიძლია დავყოთ ორ ძირითად ჯგუფად:

• *შემოსავლის უქონლობა ეკონომიკური საქმიანობის შეუძლებლობის გამო* (ანაზღაურებადი სამუშაოდან). ამის მიზეზი შეიძლება იყოს ასაკი, შრომის უუნარობა (დროებითი – ავადმყოფობის გამო ან მუდმივი – ინვალიდობის გამო), უმუშევრობა, მარჩენალის დაკარგვა;

• *დამატებითი ხარჯების არსებობა*. ეს შეიძლება იყოს ბავშვების აღზრდასთან, ასევე, სამედიცინო მომსახურების საჭიროებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები.

**მაშველი სოციალური ბადე** მოიაზრება, როგორც სოციალური დაცვის ღონისძიებების ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ემსახურება ადამიანების სიღარიბიდან ამოყვანას ან სიღარიბეში ჩავარდნისაგან დაცვას.

**სოციალური დაცვა** არის ფართო ცნება, რომელიც მოიცავს როგორც სოციალური უსაფრთხოების, ისე მაშველი სოციალური ბადის ღონისძიებებს.

დღევანდელ საქართველოში სოციალური დაცვა მოიაზრება როგორც ყოვლისმომცველი ცნება, რომელიც თავის თავში აერთიანებს:

სოციალურ დაზღვევას;

სოციალურ დახმარებას;

შემწეობებს;

შელავათებს;

სოციალურ სერვისებს;

ბავშვების (ოჯახების) განვითარებას.

**სოციალური დაზღვევა** არის იმ ღონისძიებათა ერთობლიობა (მექანიზმი), რომელიც მიმართულია გარკვეული რისკების სოლიდარობის (ანუ, რისკების გადანაწილების) პრინციპით უარყოფითი შედეგების შერბილებასა და კომპენსაციაზე, განურჩევლად იმისა, სახელმწიფო ახდენს დაფინანსებასა და ადმინისტრირებას, თუ კერძო სექტორი. სოციალური დაზღვევა ფინანსირდება სადაზღვევო შენატანებით.

**სოციალური დახმარება** მოიაზრება, როგორც საზოგადოებრივი რესურსების გადანაწილების სისტემა, რომელიც მიმართულია გაჭირვებაში მყოფი იმ ადამიანების (ოჯახების) ყოფის გაუმჯობესებაზე, რომლებსაც ემუქრებათ სიღარიბეში ყოფნა ან ჩავარდნა ამ ჩარევების გარეშე. სოციალური დახმარების ფულად სარგებელს უწოდებენ შემწეობას, ხოლო არაფულად სარგებელს – შელავათებსა და სოციალურ სერვისს.

**სიღარიბე** – ადამიანის, ან ოჯახის ისეთი მდგომარეობა, რომელშიც ის მოკლებულია თავისი ძირითადი მოთხოვნილების (საკვები, თავშესაფარი, ფიზიკური უსაფრთხოება, საბაზო განათლებისა და პიროვნული ზრდის შესაძლებლობა, ჯანმრთელობა, კომუნიკაცია), დაკმაყოფილების შესაძლებლობას, უსახსრობის, ანდა, დაბალი შემოსავლის გამო.

საქართველოში არსებული სოციალური პრობლემები, და მათ შორის სიღარიბე, საერთო სოციალური მდგომარეობა და ცხოვრების დონე, მნიშვნელოვნად განისაზღვრება ქვეყანაში მოქმედი სოციალური სამსახურების ფუნქციონირების ეფექტიანობით.

რეფორმამდე ქვეყნის სოციალური დაცვის სისტემაში იკვეთებოდა სამი ძირითადი პრობლემა: ა) საგადასახადო ბაზის სიმცირე, გამოწვეული, ერთი მხრივ, შრომის დაბალი ანაზღაურებით და, მეორე მხრივ, ფორმალურ სექტორში დასაქმებულთა სიმცირით; ბ) დემოგრაფიული ცვლილებები – მოსახლეობის დაბერება; გ) სოციალური ტრანსფერტების არასრულყოფილი მისამართულობა.

არანაკლებად მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა სოციალური დაცვის დაბალი ეფექტი. მაგ., 2002 წლის მონაცემებით სახელმწიფო სოციალური ტრანსფერტების ჯამური წილი (პენსია, სტიპენდიები, დახმარებები) ერთი შინამეურნეობის საერთო შემოსავალში 3,8%-ს შეადგენდა, მათზე უფრო დიდი წილი (10%) კი კერძო (ახლობლებისგან მიღებულ) ფულად ტრანსფერტებს ეკავა. გარდა ამისა,

დარიბ შინამეურნეობებში შემომავალი სასურსათო ნაკადის დაახლოებით 10% კერძო წყაროებიდან მიღებული უფასო სურსათი იყო. ანუ, არასახელმწიფო, არაფორმალური სოციალური დაცვის ქსელის როლი მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ.

რეფორმამდე სახელმწიფო სოციალური დახმარებების სისტემა კატეგორიულად დაყოფას ეფუძნებოდა. ანუ, დახმარებები ეძლეოდა ინდივიდებს არა მატერიალური მდგომარეობის – საჭიროების შეფასების საფუძველზე, არამედ გარკვეული ჯგუფის (კატეგორიის) კუთვნილებიდან გამომდინარე (უსინათლოები, იძულებით გადაადგილებული პირები და სხვ.). ამის შედეგად, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, ძალზედ დაბალი იყო დახმარებების მისამართულობა. 2002 წლის მონაცემებით, სახელმწიფო სოციალური დახმარებებით შესაძლებელი იყო სიღარიბის სიღრმის მხოლოდ 3.6%-ით შემცირება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალური დაცვის სფეროში არსებული პრობლემებიდან ძირითადი იყო საგადასახადო ბაზის სიმწირე. მაგ. 2003 წლის მდგომარეობით, სოციალური გადასახადები (სოციალური ანარიცხები) მთლიანი შიდა პროდუქტის 2,7%-ს შეადგენდა, რაც საპენსიო სისტემაში არსებული კრიზისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენდა. ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული პენსიების (თანაც ეს პენსიები მიზერული გახლდათ) დიდი დაგვიანებით გაცემა. საპენსიო დავალიანებებმა 2003 წლისთვის შეადგინა 116 მლნ ლარი, რაც დაახლოებით 6 თვის გაუცემელი პენსიების ტოლი იყო. 2003 წლისთვის ქვეყანაში იყო 864 000 პენსიონერი (სოციალური და სადაზღვევო პენსიის მიმღები). ამას ემატებოდა ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერები – 14 000 და რეგრესიული პენსიონერები – 1 200. მთლიანობაში, პენსიონერთა რაოდენობა 879 200-ს აღწევდა, რაც მოსახლეობის ოფიციალური რაოდენობის 19.5% იყო. მინიმალური პენსიის ოდენობა 14 ლარს შეადგენდა.

იმ დროისათვის არსებული, «სოლიდარულ» პრინციპზე აგებული საპენსიო სისტემის ფარგლებში პენსიების დაფინანსებას ართულებდა ქვეყნის დემოგრაფიული სპეციფიკაც. კერძოდ, ასაკობრივი სტრუქტურით საქართველო უფრო «ხანდაზმული» ქვეყანა იყო შემოსავლის ანალოგიური დონის მქონე ქვეყნებთან შედარებით. მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულის განმავლობაში საპენსიო შენატანის გადამხდელთა რიცხვი ორჯერ და უფრო მეტად შემცირდა. ამიტომ საპენსიო სისტემის უზრუნველყოფის კოეფიციენტი (ანუ დასაქმებულთა შეფარდება პენსიონერებთან) 1990 წლის შესაბამისი 2.8-დან 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის 0.8-მდე დაეცა.

ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდგომ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ქვეყნის მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის თვალსაზრისით. აღნიშნულზე ნათლად მეტყველებს შემდეგი სტატისტიკური ინფორმაცია.

ცხრილი 1

### მთლიანი შიდა პროდუქტი და სოცუზრუნველყოფის მაჩვენებლები საქართველოში 2002-2009 წლებში<sup>1</sup>

<sup>1</sup> წყარო: <http://geostat.ge/?action=page&p-id=118&lang=geo>; <http://www.mof.ge/common/get-doc.aspx?doc-id=7376>

	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
მთლიანი შიდა პროდუქტი (მლნ ლარი)	7456.0	8564.1	9824.3	11620.9	13789.9	16993.8	19074.9	17948.6
მთლიანი შიდა პროდუქტი (მლნ აშშ დოლარი)	3397.8	3990.8	5124.7	6411.0	7761.7	10171.9	12800.5	10744.7
მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე (ლარი)	1705.6	1972.1	2276.7	2689.1	3133.1	3866.9	4352.9	4092.8
მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე (აშშ დოლარი)	777.3	919.0	1187.6	1483.5	1763.5	2314.6	2921.1	2450.1
ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები სოციალურ უზრუნველყოფაზე (მლნ ლარი)	314.8	378.7	547.6	558.1	661.4	933.7	1347.4	1505.9
სოციალური ხარჯების წილი ბიუჯეტის მთლიან ხარჯებში (%)	28.3	30.0	29.8	23.0	22.2	21.3	24.9	27.9
სოციალური ხარჯების წილი მ.შ.პ-ში (%)	4.2	4.4	5.6	4.8	4.8	5.5	7.1	8.4
სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები ერთ სულზე (ლარი)	72.0	87.2	126.9	129.1	150.3	212.5	307.5	343.4
სახელმწიფო ბენსის საშუალო ოდენობა (ლარი)	14.0	14.0	14.0	28.0	38.0	62.5	77.6	87.1

აღსანიშნავია, რომ 1995 წელს საქართველოს მოსახლეობის 23 პროცენტი იყო სახელმწიფო პენსიის მიმღები. ამ მაჩვენებელმა 2009 წელს 19.1 პროცენტი შეადგინა. ეს გარემოება ძირითადად საპენსიო ასაკის გაზრდითაა განპირობებული. ამჟამად პენსიის დანიშვნის საფუძვლებს წარმოადგენს: საპენსიო ასაკის მიღწევა; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა; მარჩენალის გარდაცვალება; პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება.

ცხრილი 2

მოსახლეობის მთლიანი ფულადი შემოსავლები (მლნ. ლარი)



	2004	2005	2006	2007	2008	2009
<i>ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები</i>	193.5	228.6	258.6	300.7	355.2	381.8
დაქირავებული შრომიდან	68.5	89.1	107.9	134.2	151.9	167.8
თვითდასაქმებულნი	37.2	40.2	40.9	42.9	51.2	50.2
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	34.8	32.7	32.4	27.4	28.7	22.8
ქონებიდან (გაქირავებულნი, პროცენტი ანაბრიდან)	2.3	3.3	1.5	4	3.1	3.4
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	16.0	26.0	32.7	41.5	60.5	72.9
უცხოეთიდან მიღებული ზაენილები	12.7	14.1	14.9	17.4	18.3	17.5
ახლობლებისაგან მიღებული ფული	2.19	23.1	28.4	33	41.4	47.2
<i>სხვა ფულადი სახსრები</i>	43.4	44	46.9	50.9	68.9	64.7
ქონების გაყიდვა	9.5	5.4	6.9	5.8	11.5	4.7
ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება	33.9	38.6	40	45.1	57.4	60.0
<i>ფულადი სახსრები, სულ</i>	236.9	272.6	305.5	351.6	424.2	446.5
სოციალური ტრანსფერების წილი ფულად შემოსავლებში და ტრანსფერებში (%)	8.3	11.4	12.6	13.8	17.0	19.1

სახელმწიფო პენსიის მიმღებთა უმრავლესობა ასაკის საფუძვლით დანიშნული პენსიის მიმღებია. 2002 წელს ასაკის საფუძვლით პენსიის მიმღები პენსიონერების 68.6 პროცენტს შეადგენდა, 2009 წელს კი ეს მაჩვენებელი 10 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 78.6 პროცენტი შეადგინა.


ასაკის საფუძვლით პენსიის მიმღებთა რაოდენობის ზრდა გამოიწვია პენსიონერების ამ კატეგორიისათვის პენსიის ოდენობის ცვლილებამ. ქვეყანაში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პენსიონერების ამ ჯგუფისათვის პენსია რამდენჯერმე გაიზარდა. 2009 წელს ასაკის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო პენსიის ოდენობამ 80 ლარი შეადგინა.

### ცხრილი 3

#### პენსიონერთა რაოდენობა და პროცენტული წილი ქვეყნის მთელს მოსახლეობასთან

წლები	მოსახლეობა	პენსიონერი	პენსიონერთა პროცენტული წილი მოსახლეობაში
1995	4 794.2	1 104.7	23.0
1996	4 674.5	1 022.0	21.9
1997	4 558.4	979.4	21.5
1998	4 504.9	967.8	21.5
1999	4 469.8	923.7	20.7
2000	4 435.2	900.5	20.3
2001	4 401.4	896.0	20.4
2002	4 371.5	903.6	20.7
2003	4 342.6	899.8	20.7
2004	4 315.2	895.1	20.7
2005	4 321.5	902.1	20.9
2006	4 401.3	891.5	20.3
2007	4 394.7	836.9	19.0
2008	4 382.1	842.2	19.2
2009	4 385.4	838.5	19.1

ქვემოთმოყვანილი დიაგრამა გვიჩვენებს სახელმწიფო პენსიის ოდენობას წინა წლის ფასებში და პენსიის რეალურ ზრდას 1996<sup>2</sup>



<sup>2</sup> ინდექსებად აღებულია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ წარმოებული სამომხმარებლო ფასების ინდექსი



ასაკით პენსიონერებისათვის 2007 წლიდან შემოღებულ იქნა დანამატი შრომითი სტაჟის მიხედვით. დანამატის ოდენობა ცვალებადობს 2-დან 10 ლარამდე. 10 ლარიანი დანამატი განსაზღვრულია იმ პენსიონერთათვის, რომელთა შრომითი სტაჟის ხანგრძლივობა არანაკლებ 25 წლისაა.

პენსიონერთა კატეგორია კუთვნილი პენსიის ოდენობების მიხედვით იყოფა რამდენიმე ჯგუფად. 2009 წლის ბოლოსათვის პენსიონერების აბსოლუტური უმრავლესობის პენსია 80 ლარს გაუტოლდა.

#### ცხრილი 4

#### პენსიონერთა რაოდენობა და ხვედრითი წილი 2009 წელს

პენსიის ოდენობა (ლარი)	პენსიონერთა რაოდენობა – სულ	%-ულად პენსიონერთა საერთო რაოდენობასთან
55	38 680	4.61
56	342	0.04
63	40	0.00
70	112 829	13.46
73	5	0.00
75	1	0.00
80	683 897	81.56
84	1 308	0.16
129	1 391	0.17
სულ	838 493	100.00

ბოლო ათი წლის მანძილზე სახელმწიფო პენსიებზე წლის განმავლობაში დახარჯული თანხის მაჩვენებელი დაახლოებით 5.5-ჯერ გაიზარდა. მაგალითად, 2003 წელთან შედარებით 2009 წელს პენსიებზე გადარიცხულია თანხის 5-ჯერ გაზრდილი ოდენობა.

2009 წელს სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო პენსიების გასაცემად (წინა პერიოდის დავალიანებების ჩათვლით) გადარიცხული იქნა 810.5 მილიონი ლარი. ასაკით პენსიონერების რაოდენობიდან და მათთვის კუთვნილი პენსიის ოდენობიდან გამომდინარე, ამ თანხის ძირითადი ნაწილი (81.1 პროცენტი) გადაირიცხა ასაკის საფუძვლით დანიშნული პენსიების დასაფარად.

2004 წელს ასაკობრივი პენსია შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის მხოლოდ 16.6 პროცენტს, ხოლო საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის 18.7 პროცენტს შეადგენდა. ამ მაჩვენებელმა 2009 წელს შესაბამისად 67.5 და 76.2 პროცენტი შეადგინა.

შრომითი სტაჟის დანამატის შემოღების შემდეგ ასაკის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო პენსიის მიმღებთა საშუალო შემოსავალი პენსიიდან და მასზე დანამატებიდან შეადგენს 87.1 ლარს. შესაბამისად, „ჩანაცვლების» კოეფიციენტი ქვეყანაში არსებული საშუალო ხელფასის მიმართ (572.5 ლარი) დაახლოებით 15.2 პროცენტს შეადგენს. მე-5 ცხრილში მოცემულია გასული პერიოდის განმავლობაში „ჩანაცვლების» კოეფიციენტის ცვლილება ქვეყანაში საშუალო ხელფასის მიმართ.

## ცხრილი 5

### საშუალო ხელფასი და «ჩანაცვლების» კოეფიციენტი საქართველოში 2004-2009 წლებში<sup>3</sup>

	2004	2005	2006	2007	2008	2009 <sup>ა</sup>
დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი	156.6	204.2	277.9	368.1	534.9	572.5
ასაკის საფუძვლით დანიშნული პენსია	14.0	28.0	38.0	55.0	70.0	80.0
ასაკის საფუძვლით დანიშნული საშუალო პენსია დანამატის გათვალისწინებით	14.0	28.0	38.0	62.5	77.6	87.1
„ჩანაცვლების კოეფიციენტი“ ასაკით პენსიის მიმართ (პროცენტი)	8.9	13.7	13.7	14.9	13.1	14.0
„ჩანაცვლების კოეფიციენტი“ ასაკით პენსიის მიმართ დანამატის გათვალისწინებით (პროცენტი)	8.9	13.7	13.7	17.0	14.5	15.2

ბოლო 5 წლის განმავლობაში ქვეყანაში 4-ჯერ გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ გაწეული ხარჯი მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფაზე. 2008 წლის მონაცემებით ქვეყანაში სოციალური ბიუჯეტის 75 პროცენტზე მეტს განკარგავდა სოციალური მომსახურების სააგენტო. სააგენტოს მიერ სოციალურ პროგრამებზე გაწეული ხარჯების უდიდესი ნაწილი (71.9 პროცენტი) მიმართული იყო სახელმწიფო პენსიის გაცემაზე.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი 2006 წლის იანვრიდან იღებს სახელმწიფო კომპენსაციასა და აკადემიურ სტიპენდიას. 2009 წლის ბოლოსათვის აღნიშნული კატეგორიის პირთა რაოდენობა დაახლოებით 25 000-ს შეადგენს. ბენეფიციართა უმრავლესობას შინაგან საქმეთა

<sup>3</sup> დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასის 2009 წლის მაჩვენებელი ასახავს ცალკეული კვარტალის მიხედვით გამოქვეყნებული მაჩვენებლების საშუალო ოდენობას. წყარო : <http://geostat.ge>

სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები წარმოადგენდნენ, რომელთათვისაც კომპენსაცია-სტიპენდიის დანიშვნის საფუძველი ძირითადად საპენსიო ასაკის მიღწევას.

სახელმწიფო კომპენსაციის თანხა ინდივიდუალურია ცალკეული უწყებების მიხედვით. 2009 წელს სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის საშუალო ოდენობამ 140 ლარი შეადგინა, ცალკეული უწყებების მიხედვით კი იგი მერყეობს 72.7-დან 2990 ლარამდე. კომპენსაციის მაქსიმალური ოდენობა განსაზღვრულია ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირთა ოჯახებისათვის. ქვემოთმოყვანილ ცხრილში მოცემულია ცალკეული უწყებების ყოფილი თანამშრომლების კომპენსაციის საშუალო ოდენობა.

2009 წელს სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის გასაცემად (წინა პერიოდის დავალიანებების ჩათვლით) სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გადარიცხულ იქნა 43.7 მილიონი ლარი.

**ცხრილი 6**

**სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის საშუალო ოდენობა (ლარებში) უწყებების მიხედვით 2006-2009 წლებში**

უწყება	2006	2007	2008	2009
თავდაცვა	105.4	102.4	108.0	110.3
შსს	119.3	118.1	126.6	128.9
უშიშროება	191.7	192.9	198.9	203.5
ბროკურორები	510.1	510.1	511.0	509.8
პარლამენტის ყოფილი წევრები	554.8	556.4	557.7	558.0
პარლამენტის აპარატის ყოფილი მოხელეები	479.6	448.8	459.7	467.3
ყოფილი უმაღლესი თანამდებობის პირთა ოჯახები	2 533.3	2 533.3	2 990.0	2 990.0
ყოფილი უმაღლესი მინისტრების მქონე პირები	270.7	471.1	471.1	491.9
ხაკონტიტუციო ხახმართ-ყოფილი წევრები	1 200.0	1 200.0	1 133.3	1 200.0
უზენაესი ხახმართ-ყოფილი მოხმართლეები	2 121.4	2 195.1	2 802.5	2 376.9
საერთაო სასამართ.ყოფილი მოსამართლეები	363.7	466.7	523.4	507.0
კონტროლის პალატის ყოფილი მოხელეები	-	560.0	560.0	560.0
სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურეები	96.8	92.7	105.8	105.5
მკენიერების/აკადემიური სტიპენდიის	60.6	61.6	72.1	72.7

ქვეყანაში 2005 წლამდე მოსახლეობის გარკვეული კატეგორია მოხმარებულ ელექტროენერგიაზე არამონეტარული შეღავათებით სარგებლობდა. ამ ბენეფიტის მიმღები ოჯახებს ელექტროენერგიის უფასოდ, ლიმიტის გარეშე გამოყენების უფლება გააჩნდა. 2005 წელს, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურების მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შეღავათებით მოსარგებლე მოსახლეობისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემის შესახებ. განსაზღვრულ იქნა ფულადი

კომპენსაციით მოსარგებლე მოსახლეობის კატეგორიები და მათთვის გასაცემი თანხების ოდენობა.

2005 წელს ფულადი კომპენსაციის ოდენობა თბილისის მოსახლეობისათვის 3.5-დან 23 ლარამდე, ხოლო დანარჩენ საქართველოში 2.5-დან 16 ლარამდე მერყეობდა. 2006 წლიდან, სახელმწიფო პენსიის ზრდის პარალელურად, გაიზარდა ფულადი კომპენსაციის თანხაც. ამავე დროს, აღნიშნული ბენეფიტის ოდენობა გათანაბრდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

2007 წლიდან საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება «სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ», რომლის შესაბამისად მოსახლეობის ის კატეგორია, რომლებიც იღებდნენ ფულად კომპენსაციას, გახდნენ ე.წ. „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის“ მიმღები ბენეფიციარები. საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მაქსიმალური ოდენობა ამჟამად 44 ლარს შეადგენს.

ქვეყანაში 2005 წლამდე მოსახლეობის გარკვეული კატეგორია მოხმარებულ ელექტროენერგიაზე არამონეტარული შეღავათებით სარგებლობდა. ამ ბენეფიტის მიმღები ოჯახებს ელექტროენერგიის უფასოდ, ლიმიტის გარეშე გამოყენების უფლება გააჩნდა. 2005 წელს, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურების მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შეღავათებით მოსარგებლე მოსახლეობისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემის შესახებ. განსაზღვრულ იქნა ფულადი კომპენსაციით მოსარგებლე მოსახლეობის კატეგორიები და მათთვის გასაცემი თანხების ოდენობა.

2005 წელს ფულადი კომპენსაციის ოდენობა თბილისის მოსახლეობისათვის 3.5-დან 23 ლარამდე, ხოლო დანარჩენ საქართველოში 2.5-დან 16 ლარამდე მერყეობდა. 2006 წლიდან, სახელმწიფო პენსიის ზრდის პარალელურად, გაიზარდა ფულადი კომპენსაციის თანხაც. ამავე დროს, აღნიშნული ბენეფიტის ოდენობა გათანაბრდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

2007 წლიდან საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება «სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ», რომლის შესაბამისად მოსახლეობის ის კატეგორია, რომლებიც იღებდნენ ფულად კომპენსაციას, გახდნენ ე.წ. „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის“ მიმღები ბენეფიციარები. საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მაქსიმალური ოდენობა ამჟამად 44 ლარს შეადგენს.

ცხრილი 7

საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებთა რაოდენობა  
კატეგორიების მიხედვით



		2007	2008	2009
	სუბსიდიის ოფენობა	პენფიციტების თაღფენობა		
მეოთხე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბჭოლოდ მოქმედებისა და საქართველო ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებებისა და დამოუკიდებლობისათვის საბჭოლოდ მოქმედების ინფორმაციები	44	3 909	3 756	3 431
მეოთხე მსოფლიო ომის მონაწილეები	44	6 638	5 548	4 595
საქართველო ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბჭოლოდ მოქმედებებში დაღუპული თა შვილები 18 წლის ასაკამდე, ბავშვობიდან შესჯილული შენაძლებლობის სტატუსის მქონე შვილები. მუუღლე და შრომისუუნარო მშობლები	44	1 277	1 413	1 439
მეოთხე მსოფლიო ომის მონაწილეებთან ტანადობის პირობები	22	16 978	14 966	12 515
სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბჭოლოდ მოქმედებისა და საქართველო ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბჭოლოდ მოქმედების მონაწილეები	22	20 272	22 282	22 288
მეოთხე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბჭოლოდ მოქმედებების დროს ან შემდგომ პერიოდში დაღუპული, ანტიტევე ტერიტორიული მთლიანობისათვის საბჭოლოდ მოქმედების შემდგომ პერიოდში დაღუპული მემკვიდრის ოჯახების შვილები 18 წლის ასაკამდე, ბავშვობიდან შემ შვილები. მუუღლე და შრომისუუნარო მშობლები	22	11 864	12 777	12 819
სამხედრო ძალების გეოგრაფიული მონაწილეობის ტანადობის საპენიო ასაკის მიღწევისას	22	2 834	3 097	3 456
რეინობილში ბითთველ ობიექტებზე აგარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციისას დაინფორმაციული პირობები	7	804	978	1 072
რეინობილში ბითთველ ობიექტებზე აგარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეები	7	106	120	122
რეინობილის ატომური ელემენტის სადგურის აგარიის შედეგად მათხენლის დაკაბტვისათვის პენიის მიმღები ოჯახები	7	64	112	75
პოლიტიკური ტერორების მსხვერპლად აღიარებული პირობები და მათი ოჯახების შრომისუუნარო წევრები	7	28 568	21 836	20 874
9 აპრილს საქართველო დამოუკიდებლობის მოთხოვნით ტანათული მშვიდობიანი აქციის დაბტვის შედეგად შესჯილული შენაძლებლობების მქონე პირობები	44	199	204	153
9 აპრილს საქართველო დამოუკიდებლობის მოთხოვნით ტანათული მშვიდობიანი აქციის დაბტვის შედეგად დაღუპული თა შრომისუუნარო მშობლები, შრომისუუნარო მუუღლე, ათასთულ წლოგანი შვილი ან/და ნაშვილები	44	11	37	39
9 აპრილს საქართველო დამოუკიდებლობის მოთხოვნით ტანათული მშვიდობიანი აქციის დაბტვის დროს დაზარალებული პირობები	22	531	498	420
<b>სულ</b>		<b>68 970</b>	<b>87 624</b>	<b>83 246</b>

2004 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ქვეყანაში სოციალური დაცვის სისტემის მნიშვნელოვანი რეფორმის შესახებ. რეფორმის მიზანს წარმოადგენდა უკიდურეს სიღარიბეში მყოფი მოსახლეობის დახმარება. სოციალური დახმარება უნდა მიეღო მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომელიც რეალურად საჭიროებდა დახმარებას სახელმწიფოსგან. ამ მიზნით 2005 წელს საქართველოში დაიწყო სოციალურად დაუცველი ოჯახების რეგისტრაცია და მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა.

2009 წლის ბოლოსათვის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული იყო 539 256 შინამეურნეობა, რომელშიც ცხოვრობდა 1 761 191 პიროვნება, რაც ქვეყნის მოსახლეობის ოფიციალური მაჩვენებლის 40.2, ხოლო ოჯახების 53.3 პროცენტს შეადგენდა.

ნიშანდობლივია, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულთა შორის სოფლად მცხოვრები შინამეურნეობების წილი მნიშვნელოვნად მეტია ქალაქთან შედარებით. აღნიშნული ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ სოფლად სუბიექტური სიღარიბე ქალაქთან შედარებით მნიშვნელოვნად მეტია. ამ დასკვნას ამყარებს სხვა გამოკვლევებით მიღებული შედეგებიც.

## ცხრილი 8

### მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების განაწილება

	ქალაქი	სოფელი	სულ ქვეყანა
ლატაკი <sup>4</sup>	32.9	44.4	38.3
ღარიბი	31.9	35.6	33.6
არაღარიბი	35.2	20.0	28.1
	100.0	100.0	100.0

სოციალური დახმარების სისტემის მონიტორინგის და ეფექტურობის შეფასების მიზნით ჩატარებული გამოკვლევით დადგინდა, რომ ამჟამად ქვეყანაში სოციალური დახმარების სისტემის მისამართულობის კოეფიციენტის მნიშვნელობა 4.1-ის ტოლია. ამ და სხვა მსგავსი მაჩვენებლების მიხედვით საქართველოში არსებული სოციალური დახმარების სისტემა მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებულ ანგარიშში შეფასებულია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მსოფლიოში.

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნის მომენტიდან იგი გახდა ქვეყანაში სხვადასხვა სოციალური ბენეფიტების გაცემის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რადგან მონაცემთა ბაზა იძლევა საშუალებას მასში რეგისტრირებული ოჯახები დალაგებული იქნას მათი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით. ყოველ ოჯახს ბაზაში რეგისტრაციისას ენიჭება მისი ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისი პირობითი ერთეული, ე.წ. სარეიტინგო ქულა, რომელიც საშუალებას იძლევა შედარებულ იქნას ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული ბენეფიტისათვის, მიუხედავად იმისა თუ რა ოდენობის ბიუჯეტი აქვს მას, მონაცემთა ბაზა იძლევა საშუალებას ამ ბენეფიტისათვის გამოყოს პოტენციური ბენეფიციარები.

პირველი ბენეფიტი, რომელიც ქვეყანაში გაცემული იქნა მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, იყო ე.წ. „ჯანმრთელობის დაზღვევის ბარათი“. იგი საშუალებას აძლევდა ბარათის მფლობელ მოქალაქეს უფასოდ მიეღო წინასწარ განსაზღვრული სამედიცინო მომსახურება. სამედიცინო დაწესებულებებს მომსახურების საფასურს სახელმწიფო უხდიდა.

2006 წელს აღნიშნული მომსახურებით სარგებლობის უფლება წარმოეშვა ყველა იმ მოქალაქეს, რომლის ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისი სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდა 100 000 პირობით ერთეულს. ბენეფიციართა ეს კატეგორია იმ პერიოდისათვის ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 20 პროცენტს შეადგენდა.

**ცხრილი 9**

**სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის მქონე ბენეფიციართა რაოდენობა საქართველოში 2006-2009 წლებში**

	2006	2007	2008	2009
ოჯახების რაოდენობა (1000)	293.1	234.3	256.8	
მოსახლეობის რაოდენობა (1000)	867.5	675.9	750.8	904.9
პროცენტული წილი ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახებთან	78.6	52.3	51.1	55.2
პროცენტული წილი ბაზაში რეგისტრირებულ მოსახლეობასთან	75.8	47.8	45.9	51.4
პროცენტული წილი ქვეყანაში ოჯახებთან	29.1	23.2	25.5	29.5
პროცენტული წილი ქვეყანაში მოსახლეობასთან	19.7	15.4	17.1	20.6

არსებული მეთოდოლოგიის მიხედვით ბაზაში რეგისტრირებული მოსახლეობიდან 60 წელს გადაცილებულ პირებს უფრო მეტი შანსი აქვთ გახდნენ სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის ბენეფიციარები. ეს ფაქტი ქვეყანაში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მხრივ წინგადადგმული მნიშვნელოვანი შედეგია, რადგან მოსახლეობის ამ კატეგორიას ყველაზე მეტად აწუხებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. განსაკუთრებით ეს ეხება მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ფენას.

აღსანიშნავია, რომ 2006 წლის სექტემბრის თვიდან მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ იმ ოჯახებს, რომელთა ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისი სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდა 52000 პირობით ერთეულს, სახელმწიფომ დაუნიშნა ყოველთვიური ფულადი ბენეფიტი „საარსებო შემწეობა«. იმ მიზნით, რომ უკიდურეს სიღარიბეში მყოფი ოჯახების უფრო დიდი ნაწილი ყოფილიყო მოცული საარსებო შემწეობის პროგრამით, 2007 წლის მეორე ნახევრიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა საარსებო შემწეობის ბიუჯეტი. ამის შედეგად აღნიშნული ბენეფიტის მიღებისათვის აუცილებელი ზღვრული ქულა 57000–მდე ამაღლდა.

ქვეყანაში საარსებო შემწეობის ოდენობა ერთსულიან ოჯახზე 30 ლარის ოდენობით განისაზღვრა, ოჯახის ყოველი მომდევნო წევრისათვის კი ბენეფიციარ ოჯახს თავდაპირველად 12 ლარი ემატებოდა. 2009 წლის დასაწყისიდან კი ოჯახის ყოველი მომდევნო წევრისათვის საარსებო შემწეობა 24 ლარამდე გაიზარდა.



2009 წლის ბოლოსთვის საარსებო შემწეობას ქვეყანაში იღებდა 153 ათასზე მეტი ოჯახი. ბენეფიციარი ოჯახების მესამედზე მეტი ერთწევრიანი ოჯახები იყო. ოჯახების ამ კატეგორიას ძირითადად შეადგენდა მარტოხელა პენსიონერები, ანუ, მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც უკიდურეს სიღარიბეში ყოფნის ყველაზე მაღალი რისკი გააჩნია.

### ცხრილი 10

#### საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა 2006-2009 წლებში (ათასი ოჯახი)

	2006	2007	2008	2009
ერთ წევრიანი	32.5	44.2	42.9	52.7
ორ წევრიანი	23.9	29.9	30.2	35.6
სამ წევრიანი	9.9	13.8	15.6	18.0
ოთხ წევრიანი	8.9	13.5	16.7	18.9
ხუთ წევრიანი	6.5	9.7	12.2	13.6
ექვს წევრიანი	4.0	5.7	7.4	8.1
შვიდი და მეტ წევრიანი	3.3	4.8	6.3	6.5
<b>სულ</b>	<b>89.0</b>	<b>121.6</b>	<b>131.2</b>	<b>153.4</b>

სიღარიბის დაძლევის მიზნით ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად საქართველოში ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლები. ზემოაღნიშნულს ნათლად ადასტურებს მე-11 ცხრილის მონაცემები.

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების სოციალური დაცვის მიმართულებით გატარებული რეფორმებიც. მაგ., 2009 წლიდან ქვეყანაში სოციალური პოლიტიკის განმახორციელებელი ძირითადი სახელმწიფო ორგანო - სოციალური მომსახურების სააგენტო ადმინისტრირებას უწევს პროგრამას „ბავშვზე ზრუნვა“. პროგრამის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის ქვეპროგრამა, რომელიც შემდეგი ფორმებით ხორციელდება:

ა) სააღმზრდელო დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნება ან სააღმზრდელო დაწესებულებაში მოხვედრის რისკის აცილების ხელშეწყობა (პრევენცია-რეინტეგრაცია);



ბ) სააღმზრდელო დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვების მიმღებ ოჯახებში შვილობილად განთავსება (მინდობით აღზრდა).

მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დენისტიტუციონალიზაციის პროგრამაში მონაწილე ბავშვების მაქსიმალური ასაკი 17 წლით განისაზღვრება.

ცხრილი 11

სიღარიბის მაჩვენებლები რეგიონულ კრილში 2007-2009 წლებში

	2007		2007		2008		2009	
	უცხოეთის სოციალური მხარდაჭერის წილი	სოციალური მხარდაჭერის წილი	საარსებო უწყვეტობის მიმდევრული წილი	სამეცნიერო და ბავშვებს მიმდევრული წილი	საარსებო უწყვეტობის მიმდევრული წილი	სამეცნიერო და ბავშვებს მიმდევრული წილი	საარსებო უწყვეტობის მიმდევრული წილი	სამეცნიერო და ბავშვებს მიმდევრული წილი
ქობილისი	4.8	12.9	5.2	8.6	5.3	10.4	6.3	12.0
გურია	12.4	33.2	16.6	28.9	15.0	30.7	17.4	35.9
კახეთი	20.8	46.3	15.6	28.9	16.5	31.7	17.5	36.8
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	7.5	19.1	13.8	25.6	16.6	28.2	19.9	32.6
მცხეთა-მთიანეთი	18.5	40.6	19.7	33.8	22.6	35.0	25.1	39.8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2.9	14.4	11.9	25.9	11.7	27.3	12.7	31.4
სამცხე-ჯავახეთი	5.8	18.1	8.1	17.4	6.3	18.4	8.6	20.6
ქვემო ქართლი	4.8	17.3	6.5	14.9	7.5	16.2	9.4	19.3
შიდა ქართლი	32.2	57.4	13.4	25.7	13.7	28.4	17.0	32.6
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	7.5	27.4	8.5	19.5	10.2	21.1	11.8	25.3
სულ	9.3	23.6	10.3	19.9	11.2	21.8	13.1	25.3

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში როგორც ბიოლოგიურ, ასევე მიმღებ ოჯახებს ბავშვების მოვლა-აღზრდისათვის სახელმწიფოსაგან ენიშნებათ გარკვეული ფულადი ბენეფიტი. ბენეფიტის სიდიდე დიფერენცირებულია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად. პრევენცია-რეინტეგრაციის შემთხვევაში ბავშვის ბიოლოგიური ოჯახისათვის ბენეფიტი განისაზღვრება 90 ლარის ოდენობით ჯანმრთელი ბავშვის, ხოლო 130 ლარით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მოვლისათვის. მინდობით აღზრდისას კი მიმღები ოჯახის ანაზღაურება შეადგენს 200 და 300 ლარს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ როგორც პრევენცია-რეინტეგრაციის, ასევე მინდობით აღზრდის შემთხვევაში ოჯახთა გარკვეული კატეგორია ერთდროულად მზრუნველობას უწევს როგორც ჯანმრთელ, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს. 2009 წლის დეკემბრის მონაცემებით მინდობით აღზრდის პროგრამაში მონაწილე ოჯახის მიერ თვეში მიღებული თანხის მაქსიმალურმა ოდენობამ 1100 ლარი შეადგინა.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულის განზოგადებით შეიძლება დავასკვნათ, რომ განხორციელებული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა საქართველოს მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის ეფექტურობა. ცენტრალური ბიუჯეტიდან სოციალური მიზნით გახარჯული თანხის მნიშვნელოვანი ზრდა და მისი სტრუქტურული შემადგენლობის სრულყოფა ბუნებრივია განაპირობებს ქვეყანაში სიღარიბის დონის შემცირებას. ამ მიზნის მისაღწევად უპირველეს ყოვლისა აუცილებელია რომ სოციალური ტრანსფერი მიიღოს მოსახლეობის ყველაზე დაბალშემოსავლიანმა ნაწილმა.

## ს ა მ ა რ თ ა ლ ი

*დავით ძამუკაშვილი, პროფესორი*

### დაცვის ობიექტი ქართული და ევროპული დიზაინის სამართლის მიხედვით

#### I. საქართველოსა და ევროპაში დიზაინის დაცვის მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა

დიზაინის არსობრივი (მატერიალურ-სამართლებრივი) ნორმები თანამედროვე მსოფლიოში სრული შეთანაწყობით არ ხასიათდება, თუმცა საერთო ბევრი აქვს. 2002 წლიდან, მას შემდეგ, რაც ევროპაში ამოქმედდა გაერთიანებული ევროპის (ევროპის თანამეგობრობის) კანონმდებლობა დიზაინის დაცვის შესახებ, კონტინენტზე, კუნძულებზე არსებული სახელმწიფოების ჩათვლით, დამკვიდრდა დიზაინის დაცვის ერთგვაროვანი რეჟიმი და ერთნაირი არსობრივი ნორმები დაწესდა დაცვის ობიექტის, განსაზღვრებისა და კრიტერიუმების მიმართ. სადღეისოდ, ევროკავშირის ქვეყნებში დიზაინის დაცვის არსობრივი მხარე უკვე სრული შეთანხმებულობით გამოირჩევა. ანალოგიური სამართლებრივი შეთანაწყობა დანარჩენ მსოფლიოში ჯერ არ მომხდარა და შექმნილი ვითარება გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება ზოგიერთი სახის დიზაინის დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მაგალითად, იაპონიაში, თუ დიზაინი ერთდროულად არ ატარებს მორთულობით და ტექნოლოგიურ ხასიათს, ის ვერ იქნება დაცული, განსხვავებით ევროპისაგან, რომლის კანონმდებლობაც ნებისმიერი დიზაინის დაცვას ერთიან სამართლებრივ წესრიგს უქვემდებარებს.

დიზაინის არსობრივი გაგების ერთგვაროვანება მიღწეულია ევროპაში ამოქმედებული ერთიანი კანონმდებლობით, რომელიც წარმოდგენილია: 1998 წელს

ევროპარლამენტისა და საბჭოს მიერ მიღებული დიზაინის დაცვის დირექტივით №98/71/EC, რომელსაც შემოკლებისათვის «დიზაინდირექტივად» მოვიხსენიებთ {Directive 98/71/EC of the European Parliament and of the Council of October 13, 1998 on the Legal Protection of Designs} და 2001 წელს ევროპის საბჭოს მიერ მიღებული დანაწესით თანამეგობრობის დიზაინის შესახებ (E.C.) №6/2002, რომელსაც ტერმინით «დიზაინდანაწესი» მოვიხსენიებთ {Council Regulation (E.C.) No.6/2002 of December 12, 2001 on Community Designs}.

დიზაინდირექტივამ განაპირობა ევროპის თანამეგობრობის ყველა ქვეყნის ეროვნული კანონის შექცევა მის არსობრივ მოთხოვნებთან, პროცედურული ნორმები კი სავალდებულო ერთგავროვანობის მოთხოვნას არ დაუკავშირა.

დიზაინდირექტივის არსობრივი ნორმები სრულად აისახა დიზაინდანაწესში, რომელმაც ევროპის თანამეგობრობის სივრცეში შემოიტანა ერთიანი სამართლებრივი უფლება, რომლის ობიექტსაც «თანამეგობრობის დიზაინი» უწოდა. ეს უფლება მოიცავს რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ დიზაინს.

ევროპის დიზაინსამართალმა ეროვნული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობაც არ უკუაგდო და დიზაინერს ან მის უფლებამონაცვლეს შეუძლიათ უფლება მხოლოდ მოცემული ქვეყნის ეროვნული კანონით მოიპოვონ, რომელიც მხოლოდ მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე იმოქმედებს და იმავე ქვეყნის ეროვნულ სამართალს შეუძლიათ დაეყრდნონ საკუთარი ინტერესების დასაცავად.

საქართველოში დიზაინის დაცვას 2010 წლის ივნისამდე უზრუნველყოფდა საქართველოს საპატენტო კანონი, რომელიც მე-14 მუხლით აყალიბებდა დიზაინის განსაზღვრებას და ადგენდა დაცვის უზარიაზობის არსობრივ კრიტერიუმებს. 2010 წლის 24 ივნისიდან ამოქმედდა დამოუკიდებელი კანონი, რომლითაც დიდად გაფართოვდა საქართველოში დიზაინად დაცვის ობიექტის ფარგლები. ეს ვითარება სხვანაირი ვერც იქნებოდა, რადგან საქართველოში ახლად ამოქმედებული კანონი დიზაინის დაცვის თანამედროვე სამართლებრივ კონცეფციაზე აიგო, ხოლო მისი არსობრივი ნორმები შექცერდა ევროპის დიზაინსამართალთან.

ახალი კანონის შემოღებით საქართველომ ძირითადად შეასრულა ინტელექტუალური საკუთრების სამართლის მოცემულ სფეროში ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის ვალდებულება. ამ ნაშრომის მიზანია დიზაინის ცნების გააზრება და გარკვევა რამდენად არის მიღწეული საქართველოში ახლად შემოღებული და კანონის ნორმაში ასახული დიზაინის ცნების ერთგვაროვანება ევროპის დიზაინსამართალთან.

დასაცავი დიზაინის არსობრივი ფარგლების დადგენისათვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა განსაზღვრებას აქვს. ეროვნული კულტურა და მსოფლმხედველობა განაპირობებს დიზაინის ზოგადფილოსოფიური განსაზღვრების მრავალფეროვანებას. ადამიანთა წარმოდგენები ამ მიმართებით თავისებურია და, ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთის მსგავსი არ არის, რამაც განაპირობა ეროვნულ კანონებში განსხვავებული განსაზღვრებების არსებობა, მათ შორის, ევროპის ქვეყნებშიც. მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი დიზაინსამართლის შემოღების შემდეგ ვითარება გამოსწორებულია ადრინდელ წარმოდგენებს თავისი გავლენა მაინც აქვს, რაც მნიშვნელობას იძენს სადაო საკითხების გადაწყვეტისას.

დიზაინის შესახებ საქართველოს კანონით დაცვა მიენიჭა რეგისტრირებულ დიზაინს. ამ კუთხით საქართველოს დიზაინის სამართალი არ შეესაბამისება ევროპულს, რომელიც არარეგისტრირებული დიზაინის დაცვასაც უზრუნველყოფს. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ არარეგისტრირებული დიზაინის დაცვა საერთოდ ვერ მოხერხდება ჩვენ ქვეყანაში. ინტელექტუალური საკუთრების ამ ობიექტის ნაირსახეობების დიდი ნაწილი დაიცვება საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მეშვეობით, თუმცა მრავალი დიზაინი, განსაკუთრებით ტექნიკური ხასიათისა და ფუნქციის უზრუნველყოფელი გარეგანობის მქონე, ვერ დააკმაყოფილებს საავტორო სამართლით დადგენილ მოთხოვნებს და დაცული ვერ იქნება. აქედან გამომდინარე, ევროპის სამართალთან სრულ-ყოფილი ჰარმონიზაციის მიღწევისათვის საჭიროა შემუშავდეს და საქართველოში ამოქმედდეს არარეგისტრირებული დიზაინის დაცვისათვის განკუთვნილი სპეციალური კანონი. არარეგისტრირებულ დიზაინთან დაკავშირებული პრობლემების დაწვრილებითი განხილვა ამ ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს და ანალიზს რეგისტრირებული დიზაინის სამართლებრივი ნორმების გააზრების საფუძველზე გავაგრძელებთ.

## II. დიზაინის ცნება

დასაცავი დიზაინის ცნება ყველაზე მნიშვნელოვანია არამართო დაცვის ობიექტის საგნობრივი ფარგლების დასადგენად, არამედ არსობრივი მოთხოვნების დასაწესებლადაც. ამასთან, დიზაინის ცნება იმდენად მრავალი ასპექტის მომცველია, რომ ძალზე სასარგებლოა განსაზღვრების მომცველი ნორმის არსებობა, მითუმეტეს როდესაც მას პირდაპირი მოქმედების ძალა აქვს, როგორც ეს საქართველოშია, სადაც დიზაინად ვერ დარეგისტრირდება ისეთი ობიექტი, რომელიც კანონისეული განსაზღვრების ჩარჩოებში არ ექცევა.

საქართველოს კანონით დადგენილი დიზაინის არსობრივი ფარგლების გააზრების შედეგებს წარმოვადგენთ ევროპის სამართალთანთან შედარებით. საკითხის განხილვისას საქართველოს საპატენტო კანონსაც არ უგულვებელყოფთ. ამასთან, გამოვდივართ რა იქიდან, რომ მხოლოდ ნორმატიული განსაზღვრებების ანალიზი სრულყოფილად ვერ წარმოაჩენს იმ სირთულეებს და სიღრმეებს, რომლებსაც უწევენ ანგარიშს სპეციალისტები და მეცნიერები კანონშემოქმედებითი საქმიანობის დროს, სანამ ნორმატიულ განსაზღვრებებს დავუთმობდეთ ყურადღებას, ლიტერატურიდან ცნობილ განსაზღვრებებს მოვიტანთ, რომელთა მიხედვითაც დიზაინი არის [7.381]:

- პროდუქტის მოწყობა ან გარეგნული გამოხატულება;
- პროდუქტის თვალთ ალსაქმელი გამოხატულება, რომელიც წარმოქმნილია მისთვის საგანგებოდ შერჩეული მოხაზულობა-მოყვანილობით ან ზედაპირის მორთვით, ანდა მათი ერთმთლიანობით;
- მთლიანი ნაწარმის ან მისი ნაწილის შიგნითა თუ გარეშე მოყვანილობის თავისებურების გამოხატულება;
- დიზაინის ქმნის ნაყოფი არის ის, რასაც ის უნდა წარმოადგენდეს დროის მოცემულ იმ მოწვევაში და იმ ადგილას, როდესაც და სადაც ის უნდა წარმოჩინდეს. ის არც გასაოცარი და არც მოსახლეობის სურვილების მლიქვნელობით აღსრულებასა ან

აღნიშნული სურვილების მძევლად ყოფნაზე მიმართული რამაა. იგი სადიზაინო და საინჟინრო ლოგიკური საქმიანობიდან გამოდინარეა;

– პროდუქტის დაწინაურების მიხედვით მიმოქცევის მოცულობის გაზრდის შესაძლებლობა, მისი «დიზაინირებით» (გარეგნული გამოხატულებების ქმნით) გამოწვეული.

წარმოდგენილი განსაზღვრებებიდან ჩანს, რომ პროდუქციის გარეგნულობების ქმნა შეიძლება შედეგი იყოს როგორც ფერთა შეხამებისა, ისე ტექნოლოგიური გაუმჯობესებისა. ეს იმითა არის გამოწვეული, რომ ერთდროულად ან დამოუკიდებლად დიზაინი დაკავშირებულია ხელოვნებასთანაც და ტექნიკურ შემოქმედებასთანაც.

ევროპის თანამეგობრობის სივრცეში ერთიანი საკანონმდებლო აქტის ამოქმედების მოსამზადებელ პერიოდში ევროკომისიას დიდი ძალისხმევა დასჭირდა პრობლემური საკითხების ყოველმხრივი შესწავლისათვის, რათა ასამოქმედებელი ნორმები რაც შეიძლება მეტი იურიდიული სრულყოფით შემუშავებულიყო და ყოფილიყო მეცნიერული ლიტერატურიდან ცნობილი ზოგადი წარმოდგენების შესაბამისი. კომისიამ მუშაობის შედეგები ასახა მრავალ წერილობით საბუთში, რომლებსაც არსობრივი მოთხოვნების გასაზრებლად დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკოსი სპეციალისტებისა და მეცნიერებისთვის. მათი რიცხვიდან გამოსაყოფია 1991 წელს გამოქვეყნებული «მწვანე საბუთი» (Green Paper) და დირექტივის მისაღებად დიზაინის სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებული შეთავაზებანი (რეკომენდაციები). სულ ევროკომისიამ გამოაქვეყნა 19 ანალიზური საბუთი, რომლებიც ემსახურებოდა გაერთიანებული ევროპის საკანონმდებლო ორი აქტის – ზემოთ მითითებული დიზაინდირექტივისა და დიზაინდანაწესისათვის მეცნიერულად დასაბუთებული საფუძვლების ჩამოყალიბებას, აგრეთვე, ნორმათა ერთობლიობის შემუშავებასა და სამოქმედოდ შემოღებას. ამ ორი აქტიდან, ქვემდებარეობით, მთავარი დიზაინდირექტივაა, რომელთანაც შეჯერებული უნდა იყოს გაერთიანებული ევროპის ქვეყნების ეროვნული კანონები და ევროკავშირის მიერ მიღებული ზეეროვნული კანონი – დიზაინდანაწესი.

ანიჭებს რა გადამწყვეტ მნიშვნელობას დიზაინდირექტივა<sup>4</sup> პირველი მუხლის პირველივე პუნქტით იძლევა დიზაინის ცნებისა და მისი ნიშნების საგნობრივ განსაზღვრებას. ამ ნორმის ა) პუნქტის მიხედვით: **«დიზაინი ნიშნავს მთლიანად პროდუქტის ან მისი ნაწილის გარეგნულ სახეს, რომელიც გამომდინარეობს თვით პროდუქტის და/ან მისი მორთულობის ნიშნების, კერძოდ, ხაზების, კონტურების, ფერების, ფორმის, ტექსტურის და/ან მასალების თავისებურებებიდან».**

დიზაინდანაწესის განსაზღვრება სრულად ემთხვევა ამ ტექსტს, რაც დიზაინდირექტივის მიღების მიზნებიდან და იერარქიული დონიდან გამომდინარე, არსობრივი სამართლის ერთგვაროვნების მიღწევის მიზნით, დიზაინ-დირექტივის დეკლარაციული ნაწილის<sup>5</sup> მე-9 და მე-11 პუნქტებით დადგენილი ერთგვაროვნების

<sup>4</sup> დიზაინდირექტივის თარგმანი და არსობრივი მიმოხილვა გამოქვეყნებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის «საქპატენტის» სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალში «ინტელექტუალური საკუთრება», 2007წ., №1(4), გვ. 26 – 38. აღნიშნული თარგმანით ვისარგებლებთ ამ ნაშრომში, თუ დედნის (ინგლისური) ტექსტი სხვაგვარად არ იქნება ჩვენ მიერ გაგებული.

<sup>5</sup> საერთაშორისო აქტების დეკლარაციულ ნაწილს დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ნორმების არსის განმარტებისათვის, რადგან სწორედ აქ გამოხატავენ ხელშემკვრელი მხარეები იმ მიზნებს, რისი მიღწევაცაა დასახული. ამიტომ, არსობრივი ნორმების გააზრებისას დიზაინდირექტივის დეკლარაციულ

მოთხოვნის დაკმაყოფილების ყველაზე მარტივი გზაა. კერძოდ, აღნიშნული პუნქტების მიხედვით:

(9) «იმის გათვალისწინებით, რომ შიგა ბაზრის მიზნების მისაღწევად საჭიროა რეგისტრირებული დიზაინიდან გამომდინარე უფლებების მოპოვებისადმი წაყენებული მოთხოვნები ერთი და იგივე იყოს ყველა წევრ ქვეყანაში; და რომ საბოლოოდ საჭიროა ერთიანი განსაზღვრების ჩამოყალიბება და ერთიანი მოთხოვნების დადგენა დიზაინის არსობრივი მნიშვნელობისათვის, სიახლისა და ინდივიდუალობისათვის, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს რეგისტრირებული დიზაინიდან გამომდინარე უფლებების მოპოვებისა და ძალის შენარჩუნებისათვის»;...

(11) «იმის გათვალისწინებით, რომ მფლობელს უფლებათა რეგისტრაციის გზით დაცვა ვრცელდება მთლიანად პროდუქტის ან მისი ნაწილის დიზაინის ნიშნებზე, რომლებიც თვალნათლივ ნაჩვენებია განაცხადში და საჯაროდ ხელმისაწვდომია გამოქვეყნების ან რეგისტრაციის შესახებ შესაბამისი მონაცემების გავრცელების საფუძველზე».

ციტირებული და დიზაინდირექტივის სადეკლარაციო ნაწილის სხვა პუნქტებიდან შეიძლება შემდეგი უმნიშვნელოვანესი დასკვნები იყოს გამოიტანილი:

1. დიზაინდირექტივით გაერთიანებული ევროპის ქვეყნებს მოეთხოვება ერთგვაროვანი ნორმების ჩამოყალიბება დიზაინის არსის, დაცვის მოპოვებისა და უფლებების ძალაში შენარჩუნებისათვის დასადგენი კრიტერიუმების მიმართ;

2. ქვეყნები ვალდებული არიან რეგისტრაციის გზით უზრუნველყონ ბაზარზე მიმოქცევის საგნად ქცეული და შესაბამისი ეკონომიკური ღირებულების მქონე დიზაინის დაცვა, ხოლო არარეგისტრირებული დიზაინის დაცვის უზრუნველსაყოფის მიმართ არანაირი მოთხოვნები არ არის დაწესებული. თუმცა ერთიანი შიგა ბაზრის სივრცეში მოსაქმე პირთა უფლებების სრულად დასაცავად დიზაინდანაწესი ითვალისწინებს არარეგისტრირებული დიზაინის დაცვის სამართლებრივი წესრიგის არსებობას და შეიცავს კიდევაც შესაბამის ნორმებს. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნული კანონი ვერ უზრუნველყოფს არარეგისტრირებული დიზაინის არსებობას, მაშინ ამ ობიექტის მფლობელის უფლებების დაცვა შესაძლებელი იქნება დიზაინდანაწესით გათვალისწინებული გაერთიანებული ევროპის შიგა ბაზრის მთელ სივრცეში მოქმედი ზეეროვნული ნორმებით;

3. დიზაინდირექტივა არ აწესებს რაიმე სავალდებულო მოთხოვნებს ინტელექტუალური სამართლის სხვა ინსტიტუტებით გასათვალისწინებელი, კერძოდ, საავტორო სამართლებრივი ნორმებით, დიზაინის დაცვის უზრუნველყოფის მიმართ, არც მათი არსებობისა და არც არსობრივი მოთხოვნების ერთგვაროვანების კუთხით;

4. ასევე, დიზაინდირექტივა არ ეხება არაკეთილსინდისიერი კონკურენციით დაცვის უზრუნველყოფას, რომლის სამართლებრივი წესრიგი შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერი სახის დიზაინზე;

---

ნაწილს ნაშრომებში ფართოდ იყენებენ მეცნიერები. ეს გზა ჩვენც ძალზე სასარგებლოდ გვესახება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ნორმები ბუნდოვანი, ორაზროვანი ან ძნელად გასაგებია, ან გასარკვევია მათი დანიშნულება.

<sup>6</sup> მ მხრივ საქართველოს კანონმდებლობა არ შეესაბამება ევროპის მოთხოვნებს, რადგან 2006 წლიდან მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ კანონის გაუქმების შემდეგ აღარ გვაქვს

5. გაერთიანებული ევროპის ქვეყნები თავისუფალნი არიან უფლებების მოპოვების პროცედურული ნორმების საკუთარი შეხედულებით დაწესების, აგრეთვე, უფლებათა უზრუნველყოფისა და სანქციების დადგენის კუთხით;<sup>7</sup>

6. დიზაინის რეგისტრაციისათვის, და ამ ფაქტიდან გამომდინარე უფლებების ძალის შენარჩუნებისათვის, დადგენილია ორი კრიტერიუმის: «სიახლისა» და «ინდივიდუალობის» შემოღების აუცილებლობა;

7. ქვეყნები ვალდებული არიან დაიცვან მთლიანი პროდუქტის ან მისი ნაწილის დიზაინის წარმომჩენი ნიშნების ერთობლიობა;

8. დაცვას ექვემდებარება მხოლოდ პროდუქტის ხილული ნიშნები, რომლებიც წარმოდგენილია სარეგისტრაციოდ მიწოდებულ განაცხადში და რომლების ხილვაც საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დაცვას დაქვემდებარებული დიზაინის განსზღვრების გასააზრებლად თუ გამოვიყენებთ სადეკლარაციო ნაწილის ამ დასკვნებს, ნათლად დავინახავთ, რომ დიზაინი ხილულად წარმოსაჩენი პროდუქტის «სახის» ნიშნებიდან შედგება. ანუ, «პროდუქტის სახე» უნდა გარეგნულად ვლინდებოდეს. მაშასადამე, დაცვას ექვემდებარება პროდუქტის გარეგანობა. ამიტომაცაა, რომ დიზაინდირექტივის პირველი მუხლის განსახილველი პუნქტის საქპატენტისეულ ქართულ თარგმანში სიტყვები “appearance of ... a product” გადმოცემულია როგორც «პროდუქტის გარეგანი სახე». მიუხედავად დიზაინდირექტივის მიზნებთან შესაბამისობისა, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული თარგმანი ნორმატიული დანაწესის ფარგლებს ავიწროებს და დასაცავი დიზაინი დაჰყავს ადამიანის მიერ თვალით აღსაქმელ გარეგანობამდე. კანონის შემუშავებისას ნათელი გახდა, რომ უმჯობესი იყო ნორმის აზრი უფრო ზუსტად გადმოცემულიყო, რაც მომავალში მისი ფართო გაგებით გამოყენებას არ შეეწინააღმდეგებოდა. ამ მიზნებისათვის გადამწყვეტი სიტყის “appearance”-ის არსი იყო. მართალია მისი უპირატესი მნიშვნელობა გარეგანობაა, მაგრამ ისეთ მნიშვნელობებსაც გაეწია ანგარიში როგორცაა «წარმოჩენა», «გამომჟღავნება», «გამოვლინება» «გამოხატულება». საბოლოოდ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი შემდეგი ტექსტით ჩამოყალიბდა:

«დიზაინი არის მთლიანი პროდუქტის ან მისი ნაწილის გამოხატულება, რომელიც გამომდინარეობს თვით პროდუქტის ნიშნებისაგან, მათ შორის, ხაზებისაგან, კონტურებისაგან, ფერებისაგან, ფორმისაგან, ტექსტურისაგან ან/და მასალისაგან, ან პროდუქტის მორთვისაგან».

ამ განსაზღვრების მთავარი ღირსება ის არის, რომ დიზაინი და ის პროდუქტი, რომლის გამოხატულებაცაა იგი ერთმანეთისაგან ცალკე განიხილება და აღარ არის სავალდებულო მათი ერთ მთლიანობაში განხილვა დაცვის ფარგლების დასადგენად. ამ კუთხით საქართველოს კანონი სრულად შეესაბამება ევროპულს, განსხვავებით

---

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღმკვეთი ზოგადი ნორმები, რაც არამარტო არარეგისტრირებული დიზაინის დაცვაზე მოქმედებს უარყოფითად, არამედ ისეთ ობიექტს, როგორც ნოუ-ჰაუ პრაქტიკულად დაუცველს ხდის. ვითარება სასწრაფოდაა გამოსასწორებელი.

<sup>7</sup>დიზაინდირექტივა არ მოითხოვს რეგისტრაციის განხორციელების ერთიან სისტემასაც. სადეკლარაციო ნაწილის ეს «გონი» პირდაპირაა ასახული მე-2 მუხლში, რომლის მე-2 პუნქტის მიხედვით რეგისტრაციას უთანაბრდება დიზაინის დეპონირება უფლებამოსილ ორგანოში და ოფიციალური გამოქვეყნება. ამ ნორმით გაზიარებულია ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, საფრანგეთში დამკვიდრებული პრაქტიკა.



საპატენტო კანონისაგან, რომლის განსაზღვრებაც ძალზე ვიწრო იყო. კერძოდ, საპატენტო კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით პატენტით შეიძლება ყოფილიყო დაცული ისეთი სამრეწველო ნიმუში (დიზაინი)<sup>8</sup>, რომელიც წარმოადგენდა ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციულ გარეგან სახეს. როგორც ვხედავთ, დიზაინის პატენტი ვერ გაიცემოდა (ახალმა კანონმა უარყო პატენტის გაცემა და დაცვა რეგისტრაციას დაუქვემდებარა), თუ ის ნაკეთობის სახე არ იქნებოდა. შესაბამისად, ყველა ორგანოზომილებიანი დიზაინი არ ექვემდებარებოდა დაცვას. ამ აზრს ამყარებს მე-17 მუხლის ბოლო პუნქტი, რომელიც კრძალავდა სამრეწველო ნიმუშის პატენტის გაცემას ნაბეჭდ პროდუქციაზე. გარდა ამისა, «გარეგანი სახე» აუცილებლად მხატვრულ-კონსტრუქციული უნდა ყოფილიყო, ანუ, თუ ის ამას მოკლებული იყო პატენტი არ უნდა გაცემულიყო. კონსტრუქციულობის მოთხოვნა კი საპატენტო კანონისეული «გონით» ტექნიკური კუთხით უნდა ყოფილიყო გაგებული, რაც, ფაქტობრივად, იმას ნიშნავდა, რომ დიზაინი აუცილებლად ფიზიკური აღნაგობის მქონე საგანს – სამრეწველო ნაწარმს უკავშირდებოდა და მხოლოდ მისი მოყვანილობით (ფორმით) შეიძლებოდა ყოფილიყო წარმოდგენილი. სხვა სახის დიზაინები, თუნდაც მორთვით შექმნილი ნაწარმის ახალი გარეგნულობა არ იყო დაცული.

ახალმა კანონმა ტერმინი «ნაწარმი» შეცვალა «პროდუქტით», რომლითაც ნაწარმის მოყვანილობის გარდა მისი მორთვა-შემკობის, კაზმულობისა და სივრცობრივად განვითარებული სტრუქტურის (გაწყობილობის) გამოხატულებაც მოიცვა. ანუ, ახალი ნორმით დაცვას ნებისმიერი შემოქმედებითი პროდუქტი დაექვემდებარა, რომელიც განკუთვნილია რაიმე სამრეწველო ნაწარმისა და სხვა სახის, თუნდაც ელექტრონულ სივრცესთან დაკავშირებული საგნის გარეგანობის წარმოსაჩენად (გამოსახატავად).

ახალი განსაზღვრების ფარგლების დასაზუსტებლად დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის განხილული მუხლის მე-2 პუნქტით მოცემულია პროდუქტის განსაზღვრებაც, კერძოდ: *«პროდუქტი არის ნებისმიერი სამრეწველო ან ხელნაკეთი საგანი, მათ შორის, საფუთავი, გაფორმება, გრაფიკული სიმბოლო, ტიპოგრაფიული შრიფტი, შედგენილ პროდუქტში ჩასართავად განკუთვნილი შემადგენელი ნაწილი, კომპიუტერული პროგრამის გარდა»*. ეს განსაზღვრება ოდნავადაა განსხვავებული დიზაინდირექტივის პირველი მუხლის (ბ) პუნქტით მოცემული, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის «საქპატენტის» მიერ ქართულად ნათარგმნი განსაზღვრებისაგან, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება: *«პროდუქტი» ნიშნავს ნებისმიერ სამრეწველო ან შინამრეწველურ საგანს, მათ შორის, მოიცავს შედგენილ პროდუქტში ჩასართავად განკუთვნილ ნაწილებს, გაფორმებას, გრაფიკულ სიმბოლოებს და ტიპოგრაფიულ შრიფტებს, მაგრამ არ მოიცავს «კომპიუტერულ პროგრამებს» [5.34].*

დიზაინის ცნების უმთავრესი შემადგენელი პროდუქტია და ამიტომ ძალზე კარგია მისი კანონისეული განსაზღვრების დაწესება. დიზაინდირექტივის განსაზღვრებას თუ

---

<sup>8</sup> ახალმა კანონმა ტერმინი «სამრეწველო ნიმუში» შეცვალა «დიზაინით». მართალია, შეცვლილი ტერმინი საკმარისად შეესაბამებოდა დიზაინის არსს, მაგრამ სიტყვა «ნიმუში» ერთგვარ უხერხულობას ქმნიდა და მის წიაღში გარეგანობის გამოხატულება მხოლოდ ნაწარმთან ერთად იგულისხმებოდა.



შევადარებთ შევნიშნავთ, რომ ისინი შესაბამისობაშია ერთმანეთთან, მათ შორის, სიფართოვითაც ემთხვევიან და შემოქმედებით პროდუქტსაც მოიცავს, რაზეც პირდაპირ მიანიშნებს პროდუქტთა რიცხვში «გრაფიკულ სიმბოლოს». მაგრამ ქართული კანონის ნორმას, პროდუქტის დიზაინდირექტივისეულ თარგმანში დაშვებული ერთი შეცდომის გამეორება, მნიშვნელოვნად აშორებს დიზაინდირექტივისეული პროდუქტების ჩამონათვლის მომცველ ნორმას. საქმე ის არის, რომ დირექტივის ნორმაში მოცემული ერთი ტერმინი “Get-up” ქართულად **«გაფორმებად»** ითარგმნა. თუკი გაფორმება იმ პროდუქტად შეიძლება იყოს მოაზრებული, რასაც დირექტივა იგულისხმებდა, მაშინ დიზაინის შემადგენელი ელემენტებისა და პროდუქტების ჩამონათვლის დიდი ნაწილის არსებობა აზრს დაკარგავდა, კერძოდ, აღარ იქნებოდა საჭირო ჩამოთვლილიყო ხაზები, ფერები, ფორმა, გრაფიკული სიმბოლო – ყველაფერი ეს ხომ გაფორმების მიღებას ემსახურება.

ჩვენ თავის დროზე შევეცადეთ არ გაპარულულიყო ეს შეცდომა, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიეთ და კიდევ ერთხელ გვინდა მივუთითოთ, რომ კანონში ტერმინი «გაფორმება» უნდა შეიცვალოს სხვა შესატყვისით. ინგლისური «ეტ-უპ» სასაქონლო ნიშნების სამართლიდანაა მოსული, მისი მნიშვნელობა ჯერ კიდევ 1998 წელს გავაანალიზეთ და კომერციული აღნიშვნების სფეროსათვის სწორად მივიჩნიეთ ქართულად ტერმინი «სავაჭრო კაზმულობა» დაგვემკვიდრებინა [2.36]. თავიდან ეს ტერმინი გამოსადეგად მივიჩნიეთ დიზაინსამართლისათვისაც, მაგრამ შემდგომ დავრწმუნდით, რომ დიზაინის არსს იგი სრულად არ ესადაგებოდა, რაშიც საქპატენტის სპეციალისტების კონსტანტინე თუმანიშვილის, დიანა ჯანიაშვილის, ეთერ მეტრეველისა და ანასტასია ხატიაშვილის მოსაზრებები დაგვხმარა. მრავალი ვარიანტის ერთობლივად განხილვის შემდეგ ყველაზე მეტად ეთერ მეტრეველის მიერ ლექსიკონიდან ამოკითხული სიტყვა «გაწყობა» მივიჩნიე ახალი ტერმინის შექმნის საფუძვლად. ინგლისური ცნება “Get-up” სწორედ რომ პროდუქტის გაწყობას და გაწყობილი პროდუქტის წარმოჩენას გულისხმობს. ამგვარი პროდუქტის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია სამზარეულო ან სამინებელი ოთახის გაწყობა. აქედან გამომდინარე, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ სიტყვის «გაწყობილობა», რომლის ფუძეს «გაწყობა» წარმოადგენს კანონისეულ ტერმინად ქცევა გამოსწორებდა ვითარებას. ამ ნოვაციის უარყოფა გამართლებული ვერ იქნება იმით, რომ სიტყვა «გაწყობილობა» ფართოდ არ გამოიყენება ქართულ მეტყველებაში და აზრის გამოტანა ჭირს – ზუსტად ასეთი მდგომარეობა იყო, ალბათ, იმ დროს, როდესაც ტექნიკურ ტერმინად სიტყვა «მოწყობილობა» შემოდიოდა ქართულ ენაში, მაშინაც მის ფუძედ აღებული «მოწყობა» გამოიყენებოდა მხოლოდ. სამაგიეროდ, დღეს «მოწყობილობა» მყარ ტექნიკურ ტერმინად არის დამკვიდრებული.

*დავით ძამუკაშვილი, პროფესორი*

### **დაცვის ობიექტი ქართული და ევროპული დიზაინის სამართლის მიხედვით**

სტატია ეძღვნება 2010 წლის ივნისს ამოქმედებული დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის ანალიზს, რომელმაც შემოიტანა დიზაინის მკვეთრად განსხვავებული ცნება. შედეგად დიზაინერებმა მიიღეს შესაძლებლობა მოიპოვონ უფლებები და დაიცვან პროდუქციის გარეგანობის გაცილებით უფრო მეტი ნაირსახეობა, ვიდრე ადრე. ამასთან, მრავალი ისეთი დიზაინი შეიძლება იყოს აწი დაცული, რომლებიც ადრე მოკლებული იყო ასეთ შესაძლებლობას. დიზაინის სამართალი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ახალი ინსტიტუტია, რომელიც გამოცალკევდა საპატენტო სამართლიდან. სწორედ დიზაინის სამართლის დაცვის ობიექტების წრის გარკვევაა ანალიზის საგანი. საკითხის გასარკვევად გამოყენებულია შედარებითი სამართალმცოდნეობის მეთოდი და მასზე დაყრდნობითაა გააზრებული დიზაინის შესახებ საქართველოს კანონში მოცემული ცნება «დიზაინი», ამასთან მისი არსი შედარებულია ევროპის გაერთიანების დიზაინის სამართალში მოცემულ ამავე ცნებას.

*Давид Дзамукашвили, профессор*

### **Объект охраны в соответствии с Грузинским и Европейским правом о дизайне**

Статья посвящена анализу нового грузинского Закона о дизайне, введённого в действие с 24 июня 2010 года, который ввёл кардинально новое понятие дизайна и в результате чего дизайнеры получили возможность охранять значительно большее разнообразие дизайнов, чем раньше, в том числе и таких, которые не охранялись. Прояснение круга охраняемых объектов права о дизайне - нового института права интеллектуальной собственности Грузии, выделенного из патентного права и является предметом анализа, который даётся на основе сравнительного исследования понятия “**дизайн**”, отражённого в грузинском законе с таким же понятием единого европейского права о дизайне.

*David Dzamukashvili, professor*

## **Object of protection in accordance with Georgian and European Design Law**

This article is dedicated to analysis of new Georgian Design Law, which is enacted since June 24 2010 and which introduced new definition of design. Due to this fact designers obtained possibility to protect significantly increased bundle of designs in comparison with old Law, including those excluded from protection. Clarification of protective objects of Design Law – new institute of Intellectual Property Law of Georgia separated from Patent Law - is the main task of analysis, which is done on basis of comparative study of definition of “design” given in Georgian and European Design Laws.

### **ლიტერატურა**

1. დავით ძამუკაშვილი. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბ., 2006;
2. დავით ძამუკაშვილი. სამრეწველო საკუთრება. კომერციული აღნიშვნები, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა, თბ., 1998;
3. დავით ძამუკაშვილი, კონსტანტინე თუმანიშვილი, ეთერ მეტრეველი, «სამრეწველო ნიმუში, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი», ჟრნ. «ინტელექტუალური საკუთრება», № 2, 2003;
4. კონსტანტინე თუმანიშვილი, ეთერ მეტრეველი, დიანა ჯანიაშვილი, «სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაცია (ჟენევის აქტი)», ჟრნ. «ინტელექტუალური საკუთრება», № 1, 2004;
5. კონსტანტინე თუმანიშვილი, ეთერ მეტრეველი. «ევროკავშირის დირექტივა სამრეწველო ნიმუშების სამართლებრივი დაცვის შესახებ», ჟრნ. «ინტელექტუალური საკუთრება», №1, 2007;
6. New UK Registered Design Law, Intellectual Property Today by Alex Piesold, London, Sweet&Maxwell, 2002;
7. Intellectual Property in Europe, by Guy Tritton, Richard Davis, Michael Edenborough, Lames Graham, Simon Malinicz, Ashley Roughton, Second edition, Sweet&Maxwell, London, 2002;
8. Design Law in Europe by Uma Suthersanen, London, Sweet&Maxwell, London, 2000;
9. Community Design Law, Principles and Practice by David Musker, Sweet&Maxwell, London, 2002;
10. Intellectual Property in Designs by John Sykes, Reed Elseiver, (UK), 2005;
11. Шестимиров А.А. Промышленные образцы. М., ВНИИПИ, 1996;
12. Правовая охрана промышленных образцов в капиталистических странах. М., ВНИИПИ, 1990.

## სიახლენი ქართულ საარბიტრაჟო კანონმდებლობაში

არბიტრაჟების განვითარების დონე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში განსხვავებულია, რასაც შესაბამის სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური გარემო განაპირობებს.

საქართველოში ეროვნული არბიტრაჟების საკანონმდებლო პროგრესი 1997 წლიდან შეიმჩნევა. ამ წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი «კერძო არბიტრაჟების შესახებ». კანონის მიღებით საქართველოში პირველად გაჩნდა მუდმივმოქმედი არბიტრაჟების შექმნის ლეგალური შესაძლებლობა. ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა, თუმცა არბიტრაჟის განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესაფერისი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება მაინც ვერ მოხერხდა. 1997 წელსვე გაუქმდა საქართველოს სახელმწიფო საარბიტრაჟო სასამართლოები, რაც სამართლიანად იქნა შეფასებული, როგორც საბჭოთა არბიტრაჟების დასასრული ქართულ სამართალში. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონი იზიარებდა კერძო არბიტრაჟისათვის დამახასიათებელ ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, იგი მაინც არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო თანამედროვე მოთხოვნათა დამაკმაყოფილებელ კანონად.

საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციისა და არბიტრაჟის ინსტიტუტის პოპულარიზაციის აუცილებლობამ განაპირობა ის, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტთან ერთად მომზადებულ იქნა «არბიტრაჟის შესახებ» კანონპროექტი, რომელიც დაახლოებული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) მიერ მიღებულ მოდელურ კანონთან «საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ». იგი შეესაბამებოდა «უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ» 1958 წლის 31 დეკემბრის ნიუ-იორკის კონვენციას, რომელიც საქართველოში ძალაშია პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით და ითვალისწინებს ევროპის მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას. აღნიშნული კანონი 2009 წლის 19 ივნისს იქნა მიღებული, 2010 წლის პირველი იანვრიდან შევიდა ძალაში. 1997 წლის 17 აპრილის კანონი «კერძო არბიტრაჟების შესახებ» კი ძალადაკარგულად გამოცხადდა. ეს ფაქტობრივად დიდ წინსვლას წარმოადგენდა ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობისთვის, თუმცა, ჩვენი აზრით, ვერც ახალმა კანონმა მოახერხა სრულად აღმოეფხვრა არსებული ხარვეზები.

შეიძლება პირობითად ჩავთვალოთ, რომ საარბიტრაჟო სასამართლოების საქმიანობის სრულყოფილ საფუძველს საქართველოში არ წარმოადგენს მხოლოდ სამართლებრივ-საკანონმდებლო ბაზა. კანონის ჩარჩოებში საარბიტრაჟო მართლმსაჯულების ერთ-ერთ ძირითად თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ მხარეთა ფართო ავტონომია საქმის წარმოების კუთხით. იგი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მიუთითებს მხარეთა მაქსიმალურ უფლებებზე საქმის წარმოების დროს.

საარბიტრაჟო საქმის წარმოების ძირითად პრინციპებს წარმოადგენს თანასწორობა, შეჯიბრებითობა, თანაბარი მიდგომა მხარეებისადმი, სამართლიანი წარმოება, სამართლებრივი მოსმენის უფლების განხორციელების უზრუნველყოფა.

იმისთვის რომ არბიტრაჟმა საქმე განიხილოს ამ პრინციპების დაცვით, აუცილებელია არსებობდეს გარკვეული წინაპირობები, როგორცაა: საარბიტრაჟო უნარიანობა და წერილობითი საარბიტრაჟო შეთანხმება. საარბიტრაჟო უნარიანობა გულისხმობს, რომ არბიტრაჟი უნდა იყოს უფლებამოსილი კონკრეტული დავის განხილვაზე, ვინაიდან, თუ ამა თუ იმ საკითხზე სახელმწიფო მართლმსაჯულებას გააჩნია მონოპოლია, მაშინ გამოირიცხება საარბიტრაჟო უნარიანობა. ეს საკითხი საარბიტრაჟო სასამართლოს განხილვადაც არ იქნება.

საარბიტრაჟო შეთანხმება ანუ «ხელშეკრულება ხელშეკრულებაში», წარმოადგენს არბიტრაჟების მიერ დავის განხილვის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას. «კერძო არბიტრაჟის შესახებ» 1997 წლის კანონის პირველ მუხლში მითითებული იყო, რომ «შეთანხმება არბიტრაჟის განსახილველად დავის გადაცემის შესახებ იდება წერილობით», ხოლო მე-2 მუხლში გადმოცემული იყო, თუ რა უნდა ყოფილიყო აღნიშნული საარბიტრაჟო შეთანხმებაში. ჩვენი აზრით, აღნიშნული მუხლები არ გვაძლევდა ზუსტ ინფორმაციას საარბიტრაჟო შეთანხმების შესახებ. ამასთანავე არ იყო მოცემული საარბიტრაჟო შეთანხმების ცნება. «არბიტრაჟის შესახებ» დღეს მოქმედ კანონში შევსებულია ეს ხარვეზი. კერძოდ, ამ კანონის მე-8 მუხლში გადმოცემულია საარბიტრაჟო შეთანხმების ცნება და ფორმა:

1. საარბიტრაჟო შეთანხმებით მხარეები თანხმდებიან განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე;

2. საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით;

3. საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით.

ახალ საარბიტრაჟო კანონში ვრცლად არის ჩამოყალიბებული შეთანხმების წერილობითი ფორმით დადების წესები. კერძოდ, კანონის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმების წერილობითი ფორმით დადების შესახებ მოთხოვნა სრულდება ელექტრონული შეტყობინებით, თუ შეტყობინებაში მოცემული ინფორმაცია ხელმისაწვდომია მისი შემდგომი გამოყენებისათვის. საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ იგი გაფორმებულია საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის გაცვლით, როდესაც ერთი მხარე ამტკიცებს, ხოლო მეორე მხარე არ უარყოფს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობას.

საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა იყოს დადებული მოქმედი ნორმების მკაცრი დაცვით, რადგან ხარვეზი საარბიტრაჟო შეთანხმებაში შეიძლება გახდეს საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების (და არა შეცვლის) საფუძველი, ვინაიდან ეს გამორიცხავს განსჯადობას და არის უხეში პროცესუალური დარღვევა.

არბიტრაჟის ფუნქციონირებისა და საარბიტრაჟო წარმოების საყრდენს წარმოადგენს არბიტრ-მოსამართლეთა შერჩევა და დანიშვნა. ეს პროცესი სხადასხვა ქვეყნის

არბიტრაჟების მიერ სხვადასხვაგვარადაა რეგულირებული, თუმცა ყოველ მათგანში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა შეთანხმებას.

ძველი კანონმდებლობით არბიტრაჟის წევრად შეიძლებოდა დანიშნულიყო საქართველოს მოქალაქე. მოქალაქეობის არმქონე პირი, ან უცხო ქვეყნის მოქალაქე. არბიტრაჟის წევრი არ შეიძლებოდა ყოფილიყო: ა) ქმედუნარო, ან შეზღუდულქმედუნარიანი პირი; ბ) პოლიტიკური თანამდებობის პირი ან სახელმწიფო მოსამსახურე; გ) მსჯავრდებული პირი, რომელსაც შეფარდებული ქონდა თავისუფლების აღკვეთა განზრახი დანაშაულისთვის; დ) მხარის ან მისი წარმომადგენლის მეუღლე, შვილი, დედა, მამა, და ან ძმა. პირი არბიტრაჟის წევრად დანიშვნაზე თანხმობას იძლეოდა წერილობით. აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილთაგან «გ» პუნქტში, აშკარად, გაპარული იყო ხარვეზი, ვინაიდან კანონმდებელი საშუალებას იძლეოდა არბიტრაჟის წევრი გამხდარიყო მსჯავრდებული პირი, რომელსაც შეფარდებული ქონდა თავისუფლების აღკვეთა არაგანზრახი დანაშაულისთვის ან მოხსნილი ან გაქარწყლებული არ ქონდა ნასამართლობა ნებისმიერი სახით ჩადენილი დანაშაულისთვის, რაც მიგვაჩნია, რომ სამართლებრივად არ არის სწორი და პრაქტიკაშიც ბევრ პრობლემას შექმნიდა.

არბიტრების შერჩევას, დანიშვნას, აცილებასა და სხვა პროცესუალურ მოქმედებებს არეგულირებს ახალი კანონის მე-3 თავი. აქ გამოსწორებულია ძველ კანონში დაშვებული ხარვეზი და მითითებულია, რომ დაუშვებელია პირი დაინიშნოს არბიტრად იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულია დანაშაულის ჩადენისთვის და მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვს ნასამართლობა.

პირი, რომელიც დაინიშნება არბიტრაჟის წევრად, ვალდებულია აცნობოს მხარეებს და არბიტრაჟს იმ გარემოებების არსებობის შესახებ, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ მის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამგვარი გარემოება და აცილების საფუძველი, მოსამართლემ დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს თვითაცილების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მხარისთვის გახდა ცნობილი ისეთი გარემოების შესახებ, რაც დასაბუთებულ ეჭვს იწვევს არბიტრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში, მას შეუძლია მოითხოვოს არბიტრაჟის წევრის აცილება. მოსამართლის აცილების მოთხოვნა შესაძლებელია აგრეთვე, თუ არბიტრი არ ფლობს საარბიტრაჟო განხილვის ენას ან არ აკმაყოფილებს მხარეთა შეთანხმებით დადგენილ კვალიფიკაციას.

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს საარბიტრაჟო სასამართლოში მონაწილე არბიტრების რაოდენობას: არბიტრაჟი შედგება ერთი ან რამდენიმე არბიტრისაგან; არბიტრთა რაოდენობას და მათი დანიშვნის წესს განსაზღვრავენ მხარეები. მხარეები ნიშნავენ თანაბარი რაოდენობის არბიტრებს; თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრთა რაოდენობა ლუწი რიცხვით განისაზღვრება, მაშინ უკვე დანიშნული არბიტრები ვალდებული არიან, დანიშნიდან 10 დღის ვადაში დანიშნონ კიდევ ერთი არბიტრი, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული; იმ შემთხვევაში, თუ არბიტრთარაოდენობა არ იქნება განსაზღვრული მხარეთა შეთანხმებით, მაშინ არბიტრაჟი უნდა შეიქმნას სამი არბიტრის შემადგენლობით. ბათილია საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც არბიტრაჟის წევრთა დანიშვნისას ერთ-ერთ მხარეს აყენებს უპირატეს მდგომარეობაში.

ძველ კანონში მითითებული იყო, რომ მხარეს შეუძლია არბიტრაჟის წევრის დანიშვნის უფლება გადასცეს სხვა პირს. თუმცა ერთგვარად გაუგებარია რას გულისხმობდა კანონმდებელი. ეს ხარვეზი გამოსწორებულია ახალ კანონში, სადაც ამ შინაარსის ნორმა არ არის გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ ახალი კანონმდებლობის კრიტერიუმები არბიტრთა დანიშვნა-აცილების შესახებ მეტად მიახლოებულია საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებულ პრინციპებთან, რომლებიც თავმოყრილია ე.წ. IBA Rules-ში. მასში წარმოდგენილია «შუქნიშნის პრინციპი». ეს გულისხმობს, რომ გარკვეულ ფაქტებს, რომლებიც თავს იჩენენ საქმის წარმოებისას, შეესაბამება მწვანე, ყვითელი და წითელი ფერები. ეს ფერები აღნიშნავენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მოსამართლის მიუკერძოებლობისთვის ესა თუ ის გარემოება.

არბიტრთა მიმართ არსებული მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლს ანხორციელებენ მხარეები. თუ მხარემ შეამჩნია რაიმე საეჭვო გარემოება, რომლის შესახებაც მოსამართლეს არ განუცხადებია, თავისი ეჭვი შესაბამისად დაასაბუთა და არბიტრი მხილებულ იქნა მიკერძოებაში, მის მიმართ გატარებულ იქნება განსაზღვრული სანქციები. შეიძლება მოხდეს ასეთი მოსამართლის აცილება, სიიდან გარიცხვა, ასევე, შეთანხმების საფუძველზე დაეკისროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მიკერძოებაში მხილებული არბიტრის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად დაეცემა და იგი ვერ შეძლებს სასამართლო პროცესში მონაწილეობას.

არბიტრაჟი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, შესაბამისი კანონმდებლობის, სხვა ნორმატიული აქტებისა და დებულებების საფუძველზე. რაიმე ზემოქმედება არბიტრაჟზე ან ჩარევა მის საქმიანობაში დაუშვებელია. თუ არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, არბიტრაჟი იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი კანონიც არ არსებობს, არბიტრაჟი ემყარება საქართველოს კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია).

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა აღიარებს არბიტრაჟის კონსტიტუციურ პრინციპს, რომელიც გულისხმობს მხარეთა შორის დადებულ საარბიტრაჟო შეთანხმების შედეგად სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარობის გამორიცხვის შესაძლებლობას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, «ქონებრივი დავა მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს», ხოლო ამავე კოდექსის 272-ე მუხლის „ვ« ქვეპუნქტის თანახმად „სასამართლო მხარეთა შეთანხმებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეებს შორის დადებულია ხელშეკრულება, რომ ეს დავა გადასაწყვეტად გადაეცეს კერძო არბიტრაჟს».

საარბიტრაჟო განხილვა სასამართლო პროცესთან შედარებით მარტივ, მოსახერხებელ პროცედურას წარმოადგენს. ამავე დროს არბიტრაჟისათვის დავის განსახილველად გადაცემა და მისი სწრაფი გადაწყვეტა მთლიანად მხარეთა აქტიურობასა და ინიციატივაზეა დამოკიდებული. ასეთ აქტიურობასა და ინიციატივას მხარეები სწორედ მაშინ იჩენენ, როდესაც დარწმუნებულნი არიან, რომ მათ შორის არსებული დავის ყველაზე იაფად, სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტა სასამართლოს შესაძლებლობებს აღემატება. საარბიტრაჟო განხილვის თავისებურებას და სასამართლო

განხილვისაგან მის განმასხვავებელ ნიშანს, სხვათა შორის, ისიც წარმოადგენს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საბოლოოა და ზედა ინსტანციებში გასაჩივრებას არ ექვემდებარება. მხარეთა მომავალი წარმატებული საქმიანობა შეიძლება სწორედ ასეთ გადაწყვეტილებაზე აღმოჩნდეს დამოკიდებული. ამიტომ, აუცილებელია ყველა იმ დადგენილი წესის დაცვა, რომელიც საბოლოოდ საარბიტრაჟო განხილვის კანონიერებასა და მიღებული გადაწყვეტილების იურიდიულ ძალას უზრუნველყოფს.

ახალი კანონმდებლობით საარბიტრაჟო განხილვის ფორმა შემდეგნაირია: თუ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული არ არის საარბიტრაჟო განხილვის ფორმა, არბიტრაჟი უფლებამოსილია ჩაატაროს საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ზეპირი განხილვა ან საქმის განხილვა მხოლოდ საბუთებისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით არბიტრაჟი ვალდებულია ჩაატაროს ზეპირი განხილვა საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეებმა უარი განაცხადეს ზეპირ მოსმენაზე.

ყველა განცხადება, საბუთი თუ სხვა ინფორმაცია, რომელსაც წარუდგენს არბიტრაჟს ერთ-ერთი მხარე, დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოს მეორე მხარეს. მხარეებს უნდა წარედგინოთ ექსპერტის ყველა დასკვნა ან სხვა მტკიცებულებები, რომლებიც არბიტრაჟმა შეიძლება საფუძვლად დაუდოს თავის გადაწყვეტილებას.

როგორც ძველი, ისე ახალი კანონმდებლობით საარბიტრაჟო განხილვის წესს განსაზღვრავენ მხარეები. თუ მხარეებს შორის არ არსებობს შეთანხმება საარბიტრაჟო განხილვის წესის შესახებ, მაშინ დავა განიხილება არბიტრაჟის მიერ დადგენილი წესით. მუდმივმოქმედ არბიტრაჟში დავა განიხილება მისი დებულების შესაბამისად, თუ მხარეები და მუდმივმოქმედი არბიტრაჟი სხვა რამეზე არ შეთანხმებულან. მხარეს უფლება აქვს არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე წარმოდგენილი იყოს დამცველის (ადვოკატის) მეშვეობით.

ახალი კანონით არბიტრაჟი ვალდებულია მხარეს წერილობით აცნობოს არბიტრაჟის ყოველი სხდომის ჩატარების დრო და ადგილი სულ ცოტა 5 დღით ადრე შესაბამისი სხდომის გამართვამდე, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი. წერილობითი შეტყობინება მიღებულად ითვლება, თუ იგი ჩაბარდა ადრესატს პირადად ან მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ანდა იურიდიულ მისამართზე. არბიტრაჟი ვალდებულია მიღებიდან ორი დღის ვადაში მხარეს გაუგზავნოს მეორე მხარისაგან მიღებული ყოველი განცხადების, დოკუმენტის, თხოვნის, ინფორმაციის ასლი, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

ძველი კანონით, არბიტრაჟს შეეძლო მხარის მოთხოვნით დაენიშნა ერთი ან რამდენიმე ექსპერტი რომელიმე კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ იყო დადგენილი. არბიტრაჟის უარი ექსპერტის დანიშვნაზე უნდა დასაბუთებულიყო, არბიტრაჟი ვალდებული იყო დაენიშნა ექსპერტი, თუ მხარეები ამას მოითხოვდნენ. მხარე, არბიტრაჟის შესაბამისი გადაწყვეტილების არსებობისას, ვალდებული იყო წარედგინა ექსპერტისათვის საქმესთან დაკავშირებით მის ხელთ არსებული ინფორმაცია, ნივთი, დოკუმენტი, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ იყო დადგენილი. ამასთანავე, ექსპერტის დასკვნა არ იყო სავალდებულო არბიტრაჟისათვის. არბიტრაჟი საკუთარი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნით მიმართავდა სასამართლოს გამოეტანა დადგენილება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ.



ახალი კანონით არბიტრაჟს უფლება აქვს: დანიშნოს ერთი ან რამდენიმე ექსპერტი არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულ კონკრეტულ საკითხებზე დასკვნების წარმოდგენის მიზნით; მოსთხოვოს მხარეებს, წარუდგინონ ექსპერტს საქმესთან დაკავშირებით მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, გადასცეს ექსპერტს დათვალეიერებისათვის ან მისცეს შესაძლებლობა, დაათვალიეროს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან სხვა ნივთი.

ექსპერტის მიერ ზეპირი ან წერილობითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ არბიტრაჟი მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით სადავო საკითხებზე ჩვენებების მიცემის მიზნით მოიწვევს ექსპერტს საქმის ზეპირ განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. მხარეებს უფლება აქვთ, დაუსვან შეკითხვები ექსპერტს და მოიწვიონ სხვა ექსპერტები სადავო საკითხებზე ჩვენებების მისაცემად. ექსპერტის აცილება და თვითაცილება განხორციელდება არბიტრის აცილებისათვის კანონით განსაზღვრული საფუძვლებითა და წესით.

არბიტრაჟის უფლებამოსილებას განეკუთვნება ნებისმიერი მტკიცებულების დასაშვებობის შემოწმება და მტკიცებულებათა შეფასება.

არბიტრაჟი უფლებამოსილია:

ა) საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსთხოვოს მხარეს წარუდგინოს მეორე მხარეს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან ნივთმტკიცება;

ბ) გამოიძახოს ნებისმიერი მხარის მოწმე ან, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს მისი დაკითხვა საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე და გამოიყენოს მოწმის ჩვენება განხილვის დროს;

გ) საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსთხოვოს მხარეს წარმოადგინოს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან ნივთმტკიცება.

არბიტრაჟს ან მხარეს არბიტრაჟის თანხმობით შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე. აღნიშნული მტკიცებულებანი უნდა წარედგინოს მხარეს (მხარეებს) ან არბიტრაჟს. არბიტრაჟი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მოწმის დასწრების უზრუნველსაყოფად. სასამართლოს მიერ გამოძახებული მოწმის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

ადრინდელი კანონმდებლობით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ვადა ასე წესრიგდებოდა: 1. „არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების (საარბიტრაჟო გადაწყვეტილების) გამოტანის ვადა დგინდება მხარეთა შეთანხმებით; 2. თუ მხარეები არ დაადგენენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ვადას, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში; 3. თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება დადგენილ ვადაში არ იქნება გამოტანილი, არბიტრაჟი უნდა გადადგეს, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი. ამ შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან 10 დღის ვადაში დანიშნონ არბიტრაჟის ახალი წევრები».

ახალმა კანონმა ეს საკითხი შემდეგნაირაგ მოაწესრიგა: საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან 180 დღის ვადაში, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

აუცილებლობის შემთხვევაში აღნიშნული ვადა შეიძლება გააგრძელოს არბიტრმა არა უმეტეს 180 დღით.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სავალდებულოა საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეთათვის. იგი გამოტანილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და მას ხელი უნდა მოაწეროს არბიტრმა (არბიტრებმა). საქმის რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის მიერ განხილვისას გადაწყვეტილებას ხელი უნდა მოაწეროს არბიტრების უმრავლესობამ. თუ არბიტრი უარს აცხადებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ხელმოწერაზე ან/და განსხვავებული აზრი აქვს, უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი და ადგილი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს იმ მოტივებზე მითითებით, რომელთა საფუძველზედაც არბიტრაჟმა გამოიტანა გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმება ითვალისწინებს სამოტივაციო ნაწილის არარსებობას, ან როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია მოქმედი კანონის შესაბამისად.

მეტად საინტერესოა აღსრულების სტადია. ყველაზე მეტი ხარვეზი შეიძლება სწორედ არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში წარმოიშვას. ერთი მხრივ, არბიტრაჟი დამოუკიდებელია სახელმწიფო სასამართლოებისგან, ხოლო, მეორე მხრივ, არ გააჩნია საკუთარი აღსრულების მექანიზმი. ამავდროულად, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად: იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს კანონის დებულებათა გათვალისწინებით. საქართველოში გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით მათი აღსრულების პროცესში წარმოშობილი დავების გადასაწყვეტად უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება სააპელაციო სასამართლოები, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით – საქართველოს უზენაესი სასამართლო. ეს ნიშნავს, რომ არბიტრაჟები ბოლომდე ვერ ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და აღსრულებასთან დაკავშირებული სადაო საკითხების წარმოშობისთანავე განიცდიან სახელმწიფო სასამართლოების ჩარევას.

არბიტრაჟი იდეალური არ იქნება და, ალბათ, მას უარყოფითი მხარეებიც ექნება. მიზანშეწონილი იქნება რამდენიმე მათგანზე ყურადღების გამახვილება: მართალია, საარბიტრო განხილვა უფრო სწრაფია, მაგრამ ზოგჯერ, პრაქტიკაში, როდესაც მხოლოდ რამდენიმე არბიტრია, განრიგთა არათანხვედრამ, შესაძლებელია პროცესთა გადადებები გამოიწვიოს. არბიტრთათვის საზღაურის გადახდა მხარეებს უწევთ, რაც ემატება ოფიციალურად გადასახდელ ბაჟს. აღსანიშნავია, რომ დღეს მოქმედი კანონი «არბიტრაჟის შესახებ» და ასევე ძველი კანონიც, ჩვენი აზრით, სრულყოფილად არ განსაზღვრავენ საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების საკითხებს. ძველი კანონის 37-ე მუხლში მითითებული იყო, რომ საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს არბიტრაჟი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, ხოლო ახალ კანონში ამ საკითხს ეთმობა 34-ე მუხლის მე-4 პუნქტი, სადაც განსაზღვრულია, რომ თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არბიტრაჟი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში

განსაზღვრავს საარბიტრაჟო ხარჯებს გონივრულ ფარგლებში. მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონმდებელმა მეტი ყურადღება მიაქციოს ხარჯების მხარეებზე განაწილების საკითხებს, რადგან ხშირ შემთხვევებში, საარბიტრაჟო პროცესის დროს, ეს მხარეებს საშუალებას მისცემს თავიდან აიცილონ დამატებითი სადაო სიტუაციები.

არბიტრი ვერ დაადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, მას შეუძლია გამოიყენოს ის ან მოახდინოს მტკიცებულებების უზრუნველყოფა, ისიც სასამართლოს მეშვეობით. თუ მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონებს, არბიტრი კანონით შებოჭილი არ არის და, როდესაც გასაჩივრების მექანიზმი არ დათქმულა, ადვილი შესაძლებელია, არბიტრმა გადაწყვეტილება პირადი შეხედულებებიდან გამომდინარე მიიღოს. მომხმარებელთა დავებზე დიდმა კორპორაციებმა შესაძლებელია არბიტრზე გავლენა მოახდინონ, რათა გადაწყვეტილება მათ სასარგებლოდ იქნეს მიღებული. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი შესაძლებელია არბიტრაჟის უარყოფით მხარედ მივიჩნიოთ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ახალი საარბიტრაჟო კანონმდებლობის პროგრესულობისა და არბიტრაჟის მიერ საქმის წარმოების პროცედურების სრულყოფისა, საჭიროა საარბიტრაჟო საქმიანობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების კიდევ უფრო დახვეწა.

## ***ნიკოლოზ ფიცხელაური, დოქტორანტი***

### **სიახლენი ქართულ საარბიტრაჟო კანონმდებლობაში**

საქართველოში ეროვნული არბიტრაჟების საკანონმდებლო პროგრესი 1997 წლიდან შეიმჩნევა. ამ წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი «კერძო არბიტრაჟების შესახებ». კანონის მიღებით საქართველოში პირველად გაჩნდა მუდმივმოქმედი არბიტრაჟების შექმნის ლეგალური შესაძლებლობა. ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა, თუმცა არბიტრაჟის განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესაფერისი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება მაინც ვერ მოხერხდა. 1997 წელსვე გაუქმდა საქართველოს სახელმწიფო საარბიტრაჟო სასამართლოები, რაც სამართლიანად იქნა შეფასებული, როგორც საბჭოთა არბიტრაჟების დასასრული ქართულ სამართალში. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონი იზიარებდა კერძო არბიტრაჟისათვის დამახასიათებელ ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, იგი მაინც არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო თანამედროვე მოთხოვნათა დამაკმაყოფილებელ კანონად.

საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციისა და არბიტრაჟის ინსტიტუტის პოპულარიზაციის აუცილებლობამ განაპირობა ის, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტთან ერთად მომზადებულ იქნა «არბიტრაჟის შესახებ» კანონპროექტი, რომელიც დაახლოებული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) მიერ

მიღებულ მოდელურ კანონთან «საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ». იგი შეესაბამებოდა «უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ» 1958 წლის 31 დეკემბრის ნიუ-იორკის კონვენციას, რომელიც საქართველოში ძალაშია პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით და ითვალისწინებს ევროპის მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას. აღნიშნული კანონი 2009 წლის 19 ივნისს იქნა მიღებული, 2010 წლის პირველი იანვრიდან შევიდა ძალაში. 1997 წლის 17 აპრილის კანონი «კერძო არბიტრაჟების შესახებ» კი ძალადაკარგულად გამოაცხადა. ეს ფაქტობრივად დიდ წინსვლას წარმოადგენდა ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობისთვის, დანერგილ იქნა მრავალი სიახლე, თუმცა, ჩვენი აზრით, ვერც ახალმა კანონმა მოახერხა სრულად აღმოეფხვრა არსებული ხარვეზები.

*Николоз Пицхелаური, Докторант*

### **Новшества в Арбитражном Законодательстве Грузии**

Законодательный прогресс Национального Арбитража Грузии стал заметно проявляться с 1997 года, после того, как был принят Закон Грузии «О частном арбитраже». С принятием этого закона, в Грузии впервые появилась легальная возможность создания постоянно действующих частных арбитражей. Справедливости ради, нужно отметить, что определенные шаги в этом направлении были сделаны, однако создать законодательную базу, соответствующую современным тенденциям развития арбитража, все же не удалось. В том же 1997 года, в Грузии были отменены Государственные Арбитражные Суды Грузии, что справедливо было признано концом эпохи советских судов в области грузинского права.

Несмотря на то, что действующий закон предусматривал основные правовые принципы, характерные для частного арбитража, он все же не мог быть признан удовлетворяющим современным требованиям законом.

Необходимость гармонизации грузинского законодательства с европейским правом и популяризации арбитражного института предопределили то, что Министерством Юстиции Грузии вместе с проектом по содействию развития предпринимательской деятельности в Грузии был подготовлен законопроект «Об арбитраже», который был максимально приближен к модельному закону «О международном коммерческом арбитраже», принятом Комиссией Организации Объединенных Наций по праву международной торговли (UNCITRAL). Он соответствовал Нью-Йоркской Конвенции от 31 декабря 1958 года «О признании и приведении в исполнение иностранных арбитражных решений», которая действительна в Грузии после принятия Парламентом Постановления от 3 февраля 1994 года и предусматривала опыт ведущих европейских государств. Вышеуказанный законопроект был принят 19 июня 2009 года, и с первого января 2010 года вступил в силу, а Закон «О частном арбитраже» от 17 апреля 1997 года был объявлен утратившим силу. Фактически, это являлось значительным прорывом для

грузинского арбитражного законодательства, было внедрено множество новшеств, хотя, с нашей точки зрения, и новому Закону не удалось искоренить существующие недостатки.

*Nikoloz Pitskhelauri, PHD student*

### **Innovations to the Georgian Legislation on Arbitration**

In Georgia, development in national arbitration legislation is observed from 1997, when the Law on “Private arbitration” was enacted. Due to this action, several steps were taken but the forming of a legislative base couldn’t keep up with the modern tendencies of arbitration development. The state arbitration courts were abolished the same year, which was justly estimated as the end of Soviet arbitration in Georgian law.

Despite that the existing legislation takes into consideration basic judicial principles in the arbitration, it still couldn’t be considered as a law, satisfying modern international standards.

In the process of harmonization of legislation of Georgia with European Law standards in the field of arbitration, significant work was done for popularization of the institute of arbitration; simultaneously, in the process of implementation of the Project of the Ministry of Justice of Georgia on Promotion of business activities in Georgia, the draft law “on arbitration” was prepared. In the process of drafting existing standards of the “international commercial arbitration” were taken into account. The draft relies on the model law The United Nations Commission on International Trade Law (UNCITRAL) – the Commission that formulates and regulates international trade in cooperation with the World Trade Organization. The draft was also based on the principles enshrined in Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards (New York, 1958), to which Georgia acceded on the 3<sup>rd</sup> of February 1994 by the parliament’s decision; therefore, the new draft incorporated advanced European experience and best practice. The above mentioned draft adopted on June 19<sup>th</sup>, year 2009, and came into force in January 1<sup>st</sup>, 2010, and subsequently, the 1997 law on “private arbitration” was abolished. This was a big advance in Georgian legislation on arbitration, but in our opinion even the new law could not eradicate all the existing gaps.

### **ლიტერატურა**

1. საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ, 1997;
2. საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ, 2010;
3. გ. ცერცვაძე, საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2008;
4. ზ. გაბისონია, საინვესტიციო დავების მონაწილე იურიდიულ პირთა იურისდიქცია, «მერიდიანი», თბ., 2002;
5. მ.ბინდერი პიტერ, «არბიტრაჟის შესახებ» საქართველოს კანონის კომენტარები, «ქართული სამართლის მიმოხილვა», ტომი 10, 12-3, 2007.

## გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების მონაწილეთა სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა

საბაზრო ეკონომიკის განვითარების პირობებში სულ უფრო მატულობს საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვებზე მოთხოვნა, რაც განპირობებულია სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ზრდის ტენდენციით. საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის უმთავრეს უპირატესობას სხვა სახის გადაზიდვებთან მიმართებაში წარმოადგენს გადაყვანა-გადაზიდვის განხორციელების სისწრაფე. საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ეფექტურად განხორციელება დამოკიდებულია მის საფუძვლიან სამართლებრივ რეგულირებაზე.

ავიაციის სფეროში კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებაში წამყვანი ადგილი უკავია გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულებას, რომელშიც მოიაზრება არა ერთი ხელშეკრულება, არამედ ხელშეკრულებათა მთელი სისტემა (მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადატანის ხელშეკრულება, ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება, ჩარტერი, ხელშეკრულება სატრანსპორტო ორგანიზაციებს შორის გადაყვანა-გადაზიდვის ორგანიზების შესახებ, ხელშეკრულება ტვირთის გადაზიდვის უზრუნველყოფის სამუშაოების ორგანიზების შესახებ და სხვა.). ეს სისტემა მოქმედებს ტრანსპორტის ყველა სახეობისათვის, მაგრამ მასში შემავალ ხელშეკრულებებს გააჩნიათ სხვადასხვა სამართლებრივი ბუნება და შემადგენლობა. წინააღმდეგარე სტატიაში შევეხებით საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულებას და შევეცდებით განვსაზღვროთ მასში მონაწილე სუბიექტების სამართლებრივი სტატუსი.

### **გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეები**

გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების მონაწილეებად პირველ რიგში მოიაზრება **ხელშეკრულების მონაწილე მხარეები**. მხარეებს წარმოადგენენ ის პირები, რომელთა შორისაც უშუალოდ იდება გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულება. გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების სახეობებიდან გამომდინარე იცვლება მხარეთა ვინაობაც. მაგალითად, სამგზავრო ავიაგადაყვანისას გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს განეკუთვნება მგზავრი და ავიაგადამყვანი; ხოლო სატვირთო ავიაგადაზიდვის დროს მხარეებად გვევლინებიან: ტვირთის გამგზავნი და საჰაერო გადამზიდველი.

ა) საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების ძირითად მონაწილე მხარეს წარმოადგენს **გადამყვან-გადამზიდველი**, რადგანაც ყველა სახეობის გადაყვანა-გადაზიდვის განხორციელებისას მისი მონაწილეობა აუცილებელია. საერთოდ, სატრანსპორტო ურთიერთობაში, გადამყვან-გადამზიდველი შეიძლება იყოს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირი, რომელიც კანონით დადგენილ საფუძველზე საკუთრებაში ფლობს სატრანსპორტო საშუალებას და ახორციელებს გადაყვანა-გადაზიდვას. მაგრამ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის განხორციელებისას გადამყვან-გადამზიდველად გვევლინება მხოლოდ იურიდიული პირი – ავიასაწარმო. საბჭოთა პერიოდში გადამყვან-გადამზიდველად მოიაზრებოდა მხოლოდ სოციალისტური სატრანსპორტო ორგანიზაცია. დღესდღეობით გადამყვან-გადამზიდველის ეროვნული

ან უცხოური სტატუსი გადამწყვეტ როლს არ თამაშობს ქართულ ავიაზღაპარზე. ეროვნულ და უცხოური ავიაგადამზიდველები თანაბარ სამართლებრივ პირობებში ფუნქციონირებენ. თუმცა იყო ქართული ავიაკომპანიებისათვის უპირატესი უფლებების მინიჭების გარკვეული მცდელობა, რაც გამოიხატა ფლაგმანის სტატუსის მინიჭებაში ჯერ ავიაკომპანია «საქართველოს ავიაზღაპებისათვის» და მოგვიანებით კი – «აირზენა საქართველოს ავიაზღაპებისათვის».

საქართველოს 1996 წლის საჰაერო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად: **«საჰაერო გადამყვან-გადამზიდველი** არის საავიაციო საწარმო, საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტი, რომელსაც თავის გამგებლობაში საკუთრების უფლებით, იჯარით ან კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძველზე აქვს საჰაერო ხომალდი და რომელიც ფრენას ახორციელებს ექსპლუატანტის სერთიფიკატში მითითებული პირობების შესაბამისად».

საქართველოში რეგისტრირებული ავიასაწარმოების მიერ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების განხორციელება დაუშვებელია საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერთიფიკატის ფლობის გარეშე. აღნიშნული სერთიფიკატის გაცემის უფლება აქვს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტს. სერთიფიცირება ხორციელდება «საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერთიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ» საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 10 თებერვლის ბრძანების საფუძველზე. სერთიფიკატი ადასტურებს მფლობელის შესაძლებლობას უსაფრთხოდ განახორციელოს კომერციული გადაყვანა-გადაზიდვები. სერთიფიკატის გაცემა წარმოებს ერთი წლის ვადით, რათა ადმინისტრაციამ შეძლოს პერიოდულად გადაამოწმოს მოქმედი ავიასაწარმოების დაწესებულ სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხი. აღნიშნულ სტანდარტებს განეკუთვნება: საჰაერო ხომალდის ფლობა, სათანადოდ მომზადებული საავიაციო პერსონალის ყოლა, აუცილებელი ქვედანაყოფებისა და სამსახურების გამგებლობა, ფრენისათვის აუცილებელი აღჭურვილობებისა და სხვადასხვა საშუალებების ფლობა და შესაბამის საავიაციო ორგანიზაციებთან გაფორმებული ფრენის ან საავიაციო სამუშაოების უზრუნველყოფის ხელშეკრულებების არსებობა. აქვე ავღნიშნავთ, რომ სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტი სერთიფიცირებას ახორციელებს მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებულ ავიასაწარმოებზე. უკანასკნელი მონაცემებით, სერთიფიცირებულ ავიაკომპანიებს განეკუთვნება: «ჯორჯიან ეარვეისი», «თუშეთი» «სქაი ჯორჯია», «თამ აირი», «ტრანსავიასერვისი», «საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი», «ავიასერვისი», «სერვის ეირი», «პირველი ჰაეროსნობის კლუბი», «საქავიასერვისი», «ჯორჯიან სტარ ინტერნაციონალი», «ნიუ ჯორჯია» «ეარ ივერია», «კარე ავიაციონ ჯორჯია» «სქაივეი», «ეარ იბერია», «ეურექს აირლაინი», «სან ვეი», «ვისტა ჯორჯია». უცხოური ავიაკომპანიები რეგისტრირდებიან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე სახელმწიფოს შესაბამის საავიაციო დაწესებულებებში.

საჰაერო კოდექსის პირველ მუხლში მოცემულ გადამყვან-გადამზიდველის დეფინიციასთან მიმართებაში ერთი მოკრძელებული შენიშვნა გაგვაჩნია. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მიხედვით, საჰაერო გადამყვან-გადამზიდველად მოიაზრება საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტი, რომელიც საჰაერო ხომალდს ფლობს საკუთრების



ან იჯარის უფლებით. საჰაერო კოდექსის პირველ მუხლში მიზანშეწონილად მიგვაჩნია დამატებით მითითებულ იყოს იმის შესახებ, რომ საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტად შეიძლება გვევლინებოდეს საწარმო, რომელიც ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობს საჰაერო ხომალდით. მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ლიზინგი საჰაერო ხომალდების მიმართ ძალზე ხშირად გამოიყენება. საჰაერო ხომალდების საკმაოდ მაღალი ღირებულებიდან გამომდინარე, ავიაკომპანიებს ურჩევნიათ ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე ხანგრძლივი დროით ისარგებლონ საჰაერო ხომალდებით. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ავიაკომპანია «აირზენა საქართველოს ავიახაზების» მიერ «ბონგ 737» ტიპის თვითმფრინავების ლიზინგის წესით სარგებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ საჰაერო კოდექსის პირველ მუხლში კანონმდებელი იყენებს სიტყვათა კომბინაციას *«კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძველზე»*, რაც გულისხმობს ლიზინგის ხელშეკრულებასაც, მაინც მიზანშეწონილად მიგვაჩნია ავაციამი ლიზინგის ფართოდ გამოყენების აუცილებლობიდან გამომდინარე, აღნიშნულ მუხლში დამატებულ იქნეს სიტყვა «ლიზინგით» და მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: *«საჰაერო გადაყვან-გადაზიდველი არის საავიაციო საწარმო, საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტი, რომელსაც თავის გამგებლობაში საკუთრების უფლებით, იჯარით, ლიზინგით ან კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძველზე აქვს საჰაერო ხომალდი და რომელიც ფრენას ახორციელებს ექსპლუატანტის სერთიფიკატში მითითებული პირობების შესაბამისად»*;

ბ) სატვირთო ავიაგადაზიდვების დროს ხელშეკრულების მონაწილე მხარეს წარმოადგენს *ტვირთის გამგზავნი*. ტვირთის გამგზავნი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. პრაქტიკაში ხშირად ტვირთის გამგზავნად გვევლინებიან კომერციული ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ტვირთის გაგზავნას ნასყიდობის ან სხვა სახის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. როგორც წესი, ტვირთის გამგზავნს წარმოადგენს ტვირთის მფლობელი ან მისი წარმომადგენელი – ტვირთის გაგზავნაზე უფლებამოსილი პირი. ამასთან, ტვირთის გამგზავნი და ტვირთის მიმღები შეიძლება იყოს როგორც ერთი და იგივე პირი, ისე სხვადასხვა;

გ) გადაყვან-გადაზიდველის გარდა, სამგზავრო ავიაგადაყვანის დროს, ხელშეკრულების მონაწილე მხარეს წარმოადგენს *მგზავრი*. მგზავრი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, რომელიც ფლობს სამგზავრო ავიაგადაყვანის ბილეთს და არ შედის ეკიპაჟის შემადგენლობაში.

#### ***გადაყვანა-გადაზიდვებში მონაწილე ავიასაწარმოები.***

ცივილისტებს შორის დისკუსიის საგანს წარმოადგენს იმ სატრანსპორტო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა, რომლებიც მონაწილეობას არ იღებენ გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების დადებაში, მაგრამ მონაწილეობენ როგორც პირდაპირ<sup>9</sup>, ისე პირდაპირი შერეული<sup>10</sup> გადაყვანა-გადაზიდვების განხორციელების დროს წარმოშობილ სატრანსპორტო ურთიერთობებში და რომელთა

<sup>9</sup> პირდაპირი გადაზიდვა – გადაზიდვა, რომელიც ხორციელდება ერთი სახეობის ტრანსპორტით, რამდენიმე სატრანსპორტო ორგანიზაციის მიერ, ერთი სატრანსპორტო დოკუმენტის საფუძველზე.

<sup>10</sup> პირდაპირი შერეული გადაზიდვა – გადაზიდვა, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტით, რამდენიმე სატრანსპორტო ორგანიზაციის მიერ, ერთი სატრანსპორტო დოკუმენტის საფუძველზე.

მონაწილეობის გარეშეც ფაქტობრივად გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულება ვერ შესრულდება.

ა) იურიდიულ ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია ორი მოსაზრება ასეთი სატრანსპორტო ორგანიზაციების სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით. **მეცნიერთა ერთი ჯგუფი** ემხრობა «ერთი გადამზიდველის» კონცეფციას, რომლის მიხედვითაც პირდაპირი და პირდაპირი შერეული გადაყვანა-გადაზიდვის განხორციელების დროს, მასში მონაწილე ორი ან მეტი გადამყვან-გადამზიდველი მოიაზრება როგორც ერთი სუბიექტი და ისინი ერთობლივად წარმოადგენენ ხელშეკრულების მონაწილე ერთ მხარეს. ხოლო, **მეცნიერთა მეორე ჯგუფი** მიიჩნევს, რომ «შუალედური» გადამყვან-გადამზიდველები არ წარმოადგენენ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს. მათ პირველი გადამყვან-გადამზიდველისაგან განსხვავებით კონტრაქტის წინაშე არ გააჩნიათ რაიმე უფლებები და მოვალეობები და ასრულებენ თავიანთ წილ ვალდებულებას მხოლოდ პირველადი გადამყვან-გადამზიდველის წინაშე.

არა მარტო თეორიაში, არამედ პრაქტიკაშიც განსხვავებული მიდგომაა გადამყვან-გადამზიდველის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით. აქაც ქვეყნები ორ ჯგუფად იყოფა. პირველნი, აღიარებენ «ერთი გადამზიდველის» კონცეფციას და მეორენი – უარყოფენ მას. მაგალითად, ქართული კანონმდებლობა იზიარებს «ერთი გადამზიდველის» კონცეფციას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 701-ე მუხლის თანახმად, ერთმანეთის მიმდევარი სხვადასხვა გადამზიდველის მიერ განხორციელებული გადაზიდვა ხორციელდება ერთი ხელშეკრულების საფუძველზე და თითოეული გადამზიდველი პასუხს აგებს მთლიანი გადაზიდვის განხორციელებისათვის. კანონმდებელი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ მეორე და ყოველი მომდევნო გადამზიდველი ტვირთისა და ზედნადების მიღების გზით ხდება ხელშეკრულების მხარე.

მეცნიერთა მეორე ჯგუფის მოსაზრებას იზიარებს რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობა. კერძოდ, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 788-ე მუხლის თანახმად, ერთმანეთის მიმდევარი გადაყვანა-გადაზიდვები წესრიგდება მონაწილე სატრანსპორტო ორგანიზაციებს შორის ერთმანეთთან დადებული ხელშეკრულებების შესამაბისად. ამ შემთხვევაში კი იდება ერთი გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულება, მაგრამ «შუალედური» გადამყვან-გადამზიდველები არ წარმოადგენენ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს.

გადამყვან-გადამზიდველის სტატუსისადმი სახელმწიფოების განსხვავებული მიდგომა, პრაქტიკაში წარმოშობს სამართლებრივ ნორმათა კოლიზიას. კერძოდ, ისმის კითხვა: ქართულ და რუსულ ავიაკომპანიას შორის დავის არსებობისას თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს არსებული დავა მაშინ, როდესაც ქართული კანონმდებლობა «შუალედურ» გადამზიდველებს ხელშეკრულების მონაწილე მხარედ მიიჩნევს, ხოლო რუსული კანონმდებლობა კი – არა? ასეთ შემთხვევებში გამოსავალს წარმოადგენს მხარეებს შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებები. გადამწყვეტ როლს თამაშობს აგრეთვე ორმხრივი სამთავრობათაშორისი შეთანხმებანი ავიაციის დარგში, რომლებშიც კონკრეტულად არის გამიჯნული გადამყვან-გადამზიდველების უფლებები და მოვალეობები.

ჩვენის აზრით, გადაყვანა-გადამზიდველის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისას უფრო მართებულია «ერთი გადამზიდველის» კონცეფციის გამოყენება, რომლის მიხედვითაც პირველი გადაყვანა-გადამზიდველი გამოდის სხვა ყველა გადამზიდველის სახელით, როგორც მათი წარმომადგენელი. ამასთან ერთად, პირველ და მომდევნო გადამზიდველებს შორის დამატებით უნდა იყოს დადებული ხელშეკრულებები, რათა დავის არსებობის შემთხვევაში მათ შორის ურთიერთობა შეუფერხებლად მოწესრიგდეს.

ბ) საჭაერო გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების მონაწილედ მიჩნეულ უნდა იქნეს *აეროპორტი*. მიუხედავად იმისა, რომ აეროპორტი არ წადმოადგენს გადაყვანა-გადამზიდველის სტრუქტურულ ერთეულს, ის აქტიურად მონაწილეობს გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების შესრულებაში, რაც გამოიხატება აეროპორტის მიერ მგზავრის ან სხვა დაინტერესებული პირის მომსახურებაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 684-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, როდესაც არსებობს ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა და სახეზეა ტვირთის გადაცემის ხელისშემშლელი გარემოებანი, გადამზიდველს შეუძლია ტვირთი გადმოტვირთოს უფლებამოსილი პირის ხარჯზე და ტვირთის შენახვა მიანდოს მესამე პირს. ასეთ შემთხვევაში საჭაერო გადაზიდვის დროს მესამე პირად ხშირად გვევლინება დანიშნულების აეროპორტი. ასევე, სამგზავრო ავიაგადაზიდვების დროს, როდესაც დანიშნულების პუნქტში მგზავრი ვერ ღებულობს ბარგს, იგი აეროპორტის შესაბამის სამსახურში ავსებს განაცხადს, რათა ამ სამსახურის დახმარებით მოძიებულ იქნეს დაკარგული ბარგი. აღნიშნული სამსახური გადაყვანა-გადამზიდველთან თანამშრომლობის შედეგად, უზრუნველყოფს ბარგის მოძიებას და მგზავრისთვის გადაცემას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დანიშნულების აეროპორტი წარმოადგენს ხელშეკრულების მონაწილეს, რადგანაც ფაქტობრივად, მისი დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ხელშეკრულების შესრულება.

### ***ტვირთის მიმღები.***

ქართული სამოქალაქო კანონმდებლობით *ტვირთის მიმღები* ხელშეკრულების დადებაში მონაწილეობას არ ღებულობს და მამასადამე იგი არ შეიძლება იყოს ხელშეკრულების მონაწილე მხარე. მიუხედავად ამისა, კანონმდებელი აღჭურავს მას მთელი რიგი უფლებებით და მოვალეობებით. საჭაერო გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების თავისებურებიდან გამომდინარე, ტვირთის გამგზავნი და ტვირთის მიმღები შეიძლება ერთი და იგივე პირი იყოს. ამასთან, ტვირთის მიმღებად გვევლინება ის პირი, ვისაც ტვირთის გამგზავნი მოისურვებს.

განსხვავებულ მიდგომას აყალიბებს გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც, ტვირთის მიმღები წარმოადგენს ხელშეკრულების მონაწილე მხარეს, რაც განპირობებულია იმით, რომ სატვირთო ზედღებული განიხილება როგორც სახელობითი და წარმომადგენლობითი ფასიანი ქაღალდი. ამიტომაც, გადამზიდველი, რომელიც დებს გადაზიდვის ხელშეკრულებას, თავიდანვე კისრულობს ვალდებულებას არა ტვირთის გამგზავნის, არამედ ფასიანი ქაღალდის მფლობელის წინაშე.

ცივილურ ლიტერატურაში ტვირთის მიმღების სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსობს. მეცნიერთა მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებანი შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

1. ტვირთის მიმღები წარმოადგენს ხელშეკრულების მონაწილე მხარეს, ხოლო თვითონ ხელშეკრულება კი ატარებს სამხრივ კონსტრუქციულ ხასიათს, რადგანაც გადამზიდველს, ტვირთის გამგზავნს და ტვირთის მიმღებს გააჩნიათ როგორც უფლებები, ისე მოვალეობები;

2. გადაზიდვის ხელშეკრულება მოიცავს ორ მონაწილე მხარეს. ერთ მხარეს მიეკუთვნება ტვირთის გამგზავნი და ტვირთის მიმღები, ხოლო მეორე მხარეს – გადამზიდველი;

3. ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება განეკუთვნება ვალდებულების შესრულების მესამე პირისადმი გადაცემის ხელშეკრულებას;

4. ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება წარმოადგენს განსაკუთრებული ტიპის ხელშეკრულებას, რომელშიც ტვირთის მიმღები არის დამოუკიდებელი სუბიექტი და არა მესამე პირი ან მხარე ტვირთის გამგზავნთან ერთად;

5. და ბოლოს, ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება არის მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ტვირთის მიმღები იძენს გარკვეულ უფლებებებსა და მოვალეობებს, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების დადებაში მონაწილეობა არ მიუღია. ჩვენ ვიზიარებთ უკანასკნელ მოსაზრებას და ვასკვნით, რომ სატვირთო გადაზიდვის ხელშეკრულება მოიცავს ისეთ ნიშან-თვისებებს, რომლებიც მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების-თვის არის დამახასიათებელი. ისინი შემდეგ დებულებებში გამოიხატება:

ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგი დგება იმ პირის (ტვირთის მიმღების) მიმართ, რომელიც არ არის ხელშეკრულების მონაწილე;

მესამე პირის (ტვირთის მიმღების) უფლებები წარმოიშობა მისი აქტიური მონაწილეობისა და დაინტერესების გარეშე;

მესამე პირს (ტვირთის მიმღებს) უფლება აქვს უარი თქვას მისთვის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების გამოყენებაზე;

მესამე პირს (ტვირთის მიმღებს) უფლება არა აქვს ცვლილებები შეიტანოს ხელშეკრულებაში და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სატვირთო ავიაგადაზიდვის ხელშეკრულება არის მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება. ამასთან, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება სახეზე იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ტვირთის გამგზავნი და ტვირთის მიმღები სხვადასხვა პირია.

*თამარ ვეფხვაძე, დოქტორანტი*

### **საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების მონაწილეთა სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა**

საბაზრო ეკონომიკის განვითარების პირობებში სულ უფრო მატულობს საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვებზე მოთხოვნა, რაც განპირობებულია სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ზრდის ტენდენციით. ავიაციის სფეროში, კერძოდ, სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებაში, წამყვანი ადგილი უკავია გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულებას. სტატიაში ავტორი განიხილავს ხელშეკრულების მონაწილე სუბიექტების ძირითად მახასიათებლებს; გამოთქვამს მოსაზრებებს ექსპლუატანტის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით; ანალიზებს «ერთი გადამზიდველის» კონცეფციას და ასაბუთებს მის უპირატესობას «შუალედური გადამზიდველის» კონცეფციასთან მიმართებით. ავტორი ტვირთის მიმღების სამართლებრივი სტატუსის განხილვისას ასკვნის, რომ აღნიშნული სუბიექტები ხელშეკრულებაში მონაწილეობენ როგორც მესამე პირები და ხელშეკრულება კი მესამე პირთა სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებათა რიცხვს განეკუთვნება.

*Вепхვაдзе Тамара, Докторант*

### **Определение правового статуса участников договора авиаперевозки**

В условиях развития рыночной экономики все больше возрастает потребность в авиационных перевозках, что обуславливается тенденцией роста взаимоотношений между государствами.

В авиационной отрасли упорядочение частных правовых взаимоотношений ведущую роль занимают договора авиаперевозки. В статье автор рассматривает основные характеризующие показатели субъектов-участников договоров; выражает свое мнение по поводу правового статуса эксплуатантов, анализирует концепцию «одного перевозчика» и ее преимущество по отношению к концепции «промежуточного перевозчика».

При рассмотрении правового статуса грузополучателя, автор заключает, что указанные субъекты участвуют в договоре как третьи лица, в то же время указанные договора рассматриваются как заключенные договора в пользу третьих лиц.

*Tamar Vepkhvadze, PHD student*

### **The determination of legal status of air carriage agreement participants**

Market development increases the demand on air carriage which is stipulated by the between state relationship increasing tenderly. In the field of aviation, the air carriage agreement has the leading role in the regulation of private law relationship. In the article, the author reviews the main characteristics of the parties to the agreement, expresses the opinion about the law status of the air carrier, analyses the conception of “one carrier” and shows its clear advantage over the conception of “middle carrier”. When reviewing the legal status of the recipient of good, the author summarizes that the above mentioned individuals are the third parties in the agreement and the agreement belongs to the agreements that are profitable to the third party.

### **ლიტერატურა**

1. საქართველოს 1996 წლის საჰაერო კოდექსი;
2. საქართველო 1997 წლის სამოქალაქო კოდექსი;
3. საქართველოს 2005 წლის 10 თებერვლის ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება ‘საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ»;
4. დავით გეფერიძე, საერთაშორისო საჰაერო სამართალი, თბ., 2009;
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი პირველი, თბ., 2001;
6. ზაურ კანდელაკი, საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვების ტექნოლოგია და მენეჯმენტი, თბ., 2009;
7. ნოდარ დუმბაძე, სამოქალაქო ავიაციის ეკონომიკა, თბ., 2008;
8. Бордунов В.Д. Международное воздушное право. М., 2007;
9. Гражданское право. Отв. Ред. Е.А. Суханов. Книга четвертая. М., 2006;
- 10.Гражданское право России. Обязательственное право. Отв. ред. О.Н. Са-диков. М., 1997;
11. Брагинский М.И. Витрянский В.В. Договорное право. Книга четвертая. М., 1997;
12. Правовое положение транспортных организаций при перевозке грузов в прямом и прямом смешанном сообщении. Проблемы советского государства и права. №1,2. Иркутск, 1972;
13. Германское право. Часть II: Торговое уложение и другие законы. М., 1996;
14. [www.uta.gov.ge](http://www.uta.gov.ge).

## **შესატანის განსაზღვრის ზოგადი დებულებანი ამხანაგობაში (ერთობლივ საქმიანობაში)**

კერძო სამართლის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს როგორც ვალდებულებით სამართალს, ასევე საკორპორაციო სამართალსაც. სამართლის ეს ორი დარგი მრავალ ინსტიტუტს მოიცავს. ვალდებულებითი სამართლისგან განსხვავებით, რომელიც არეგულირებს ქონების გადაცემასთან, სამუშაოს შესრულებასთან, მომსახურების გაწევასთან, ზიანის მიყენებასთან, უსაფუძვლო გამდიდრებასთან და სხვ. დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობებს [1.5], საკორპორაციო სამართალი შესაძლოა ორ ძირითად მიმდინარეობად დაიყოს: ამხანაგური (პერსონალური) ტიპის საზოგადოების და კაპიტალური საზოგადოების სამართლად [2.208]. პირველ ჯგუფს ეკუთვნის სოლიდარული (სრული) პასუხისმგებლობის საზოგადოება და კომანდიტური საზოგადოება. მათში პიროვნულ ელემენტებს პრიორიტეტული ადგილი უჭირავს. მეორე ჯგუფს კი ეკუთვნის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი, სადაც პრიორიტეტულია პარტნიორთა მიერ შენატანების (კაპიტალის) განხორციელება [3.52]. წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, გაკეთდეს მსგავსებები და განსხვავებები შენატანებთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (930-ე მუხლი) ამხანაგობასა და სამეწარმეო კანონმდებლობით განსაზღვრულ ამხანაგური ტიპის საზოგადოებებს შორის.

ამხანაგობასა და კაპიტალური ტიპის საზოგადოებებებს აქვთ როგორც მსგავსი, ისე განსხვავებული ნიშნები. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი ტიპის საზოგადოება წარმოადგენს სამეწარმეო ორგანიზაციას, რომელთა მთავარი მიზანია მოგების მიღება და მისი განაწილება პარტნიორთა შორის; ისინი, გვევლინებიან რა კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებად, უფლებამოსილნი არიან განახორციელონ ნებისმიერი მართლზომიერი სამეწარმეო საქმიანობა; მათ გააჩნიათ განკერძოებული ქონება, რომელთა ერთადერთ მესაკუთრედ თავად საწარმოები წარმოადგებიან; და ბოლოს, როგორც ამხანაგობის, ისე კაპიტალური ტიპის საზოგადოებათა შექმნა და დაფუძნება მონაწილეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული [3.52-53].

რაც შეეხება მათ შორის არსებულ განსხვავებას: არც სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ ამხანაგობასა და არც ამხანაგური ტიპის საზოგადოებებთან მიმართებაში მოქმედი კანონმდებლობა არ მოითხოვს საწესდებო კაპიტალის არსებობას, მაშინ, როცა კაპიტალური საზოგადოებისათვის კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით, რაც 2008 წლის 14 მარტს 'მეწარმეთა შესახებ' კანონში შეტანილი ძირეული ცვლილებების შედეგია. ადრე მოქმედი 'მეწარმეთა შესახებ' კანონი კაპიტალური საზოგადოების დაფუძნებისას იმპერატიულად განსაზღვრავდა საწესდებო კაპიტალის მინიმუმს, რაც მძიმე ტვირთად აწევბოდა მეწარმე სუბიექტს «შპს»-ს ან «სს» დაფუძნებისას. ვფიქრობ ზემოთ აღნიშნული ცვლილებები შენატანების ნებისმიერი



ოდენობით განსაზღვრასთან დაკავშირებით წარმოადგენს ერთგვარი ბორკილის მოხსნას თავისუფალი მეწარმეობის განვითარებისათვის.

ერთობლივ საქმიანობაში (ამხანაგობა) მონაწილეთა მიერ შესატანის შეტანა ქმნის ამხანაგობის წინაშე დასახული საერთო მიზნის მიღწევის მატერიალურ წინაპირობას და აქვს მთავარი მნიშვნელობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამხანაგობის მიზნიდან გამომდინარე შეიძლება განსხვავდებოდეს საერთო საქმეში შესატანის სახე. მაგრამ კომერციული მიზნით შექმნილ ამხანაგობაში ანუ მეწარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრული ამხანაგური ტიპის საზოგადოებების მონაწილეთა დასახული მიზნის მიღწევის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ეკონომიკური ღირებულების მქონე შესატანის შეტანა, ანუ კერძოსამართლებრივ ბრუნვაში შესაძლებელი უნდა იყოს მათი რეალური ფასის დადგენა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 932-ე მეორე ნაწილის თანახმად, «შესატანი შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც ქონებით, ასევე მომსახურების გაწევით». თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ იგივე მოთხოვნაა გათვალისწინებული მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3.5 მუხლით, კერძოდ, «საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე და დათქვან კაპიტალში მათი შენატანის ოდენობა. შენატანები შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, სამუშაოს შესრულება ან/და მომსახურების გაწევა» [4]. აღნიშნულმა კანონმდებლობებმა დააკონკრეტა ამხანაგობაში და სამეწარმეო საზოგადოებებში ქონებრივ შესატანთა კატეგორია. კერძოდ, კანონი პირველ შემთხვევაში ხმარობს სიტყვას «ქონებით», მეორეში – «მატერიალურ და არამატერიალურ ქონებრივ ობიექტებზე უთითებს», ანუ იმისათვის, რომ დავადგინოთ, თუ რას მიიჩნევენ საქართველოს ზემოთ აღნიშნული კანონმდებლობები ამხანაგობაში (სამეწარმეო თუ არასამეწარმეო) ქონებრივი შესატანის საგნად, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივმართოთ სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლს, რომლის თანახმად, «ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე», რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შესაძლებელია შეუზღუდავად». მატერიალური ქონებრივი სიკეთე სუბსტანციურად ხელშესახები სიკეთეა, მაგალითად, ავტომანქანა, მიწის ნაკვეთი და ა.შ. ამიტომ ამხანაგობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმების დათქმა შესატანებთან დაკავშირებით ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, არანაირ სირთულეს არ მოიცავს. რაც შეეხება არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს, მის განმარტებას გვაძლევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლი, კერძოდ, «არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე».

როგორც დასახელებული მუხლის შინაარსიდან ჩანს, არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს მიეკუთვნება ის უფლებები და მოთხოვნები, რომლებიც შეიძლება სხვას გადაეცეს ან გამიზნულია იმისათვის, რომ უფლების ან მოთხოვნის მფლობელმა მიიღოს რაიმე მატერიალური სარგებელი, ანდა უფლებისა და მოთხოვნის მფლობელს მიენიჭოს უფლება, მოსთხოვოს სხვა პირს რაიმე [5.180], ე.ი. გამოდის, რომ ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნებიც შესაძლოა მივიჩნიოთ შეტანაუნარიან ობიექტად, რამაც

შეიძლება გარკვეული პრობლემებიც შექმნას ამხანაგობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე. მაგალითად, ამხანაგობა, რომელიც შეიქმნა ბინის აშენების მიზნით და გააჩნია სათანადო ნებართვა ვერ გაასხვისებს ამ ნებართვას ე.ი. სხვას ვერ დაუთმობს სახლის აშენების უფლებას, აგრეთვე ამხანაგობიდან თავისი წილის მიღების უფლებას და ა.შ. მოიჯარე ანუ პირი, რომელმაც იჯარით აიღო მიწის ნაკვეთი, იგი სხვა პირს ვერ გადასცემს იჯარის უფლებას თუ ამის შესახებ წინასწარ არ შეუთანხმდა მეიჯარეს ანუ იჯარით აღებული ნივთის მესაკუთრეს. ეს მოსაზრება ემყარება სამოქალაქო კოდექსის 587-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის თანახმად, მოიჯარეს არ აქვს ქვეიჯარის უფლება მეიჯარის თანხმობის გარეშე. ამდენად, ამხანაგობის ხელშეკრულების იურიდიული ბუნებიდანაც გამომდინარეობს ანალოგიური მოთხოვნა ანუ ის უფლებები და მოთხოვნები, რაც გამომდინარეობს ამხანაგობის ხელშეკრულებიდან არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს მონაწილეთა თანხმობის გარეშე.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია შემდეგი სახის შენატანები: ფული, ან სხვა ქონება, სპეციალური ცოდნა და გამოცდილება (1833-ე მუხლი). ამხანაგობის ხელშეკრულების მონაწილეთა შენატანების მიმართ მოქმედებს მხოლოდ ერთი მოთხოვნა, რომ შენატანები არ უნდა იყოს აკრძალული ხასიათის [14.299]. საფრანგეთის სამოქალაქო კანონმდებლობა საქართველოს, რუსეთისა და გერმანიისგან განსხვავებით მონაწილეებს, რომლებმაც იკისრეს ამხანაგობაში შეეტანათ სპეციალური ცოდნა და გამოცდილება ავალდებულებს მოახსენონ ამხანაგობას იმ სარგებლის შესახებ, რომელიც მათ მიუღიათ მისგან იმ დარგში, რაც წარმოადგენს ამხანაგობის ხელშეკრულების საგანს [14.387]. გერმანიის სამოქალაქო კოდექსში მოცემულია სხვა მიმართულება და არ არის ჩამოთვლილი ყველა შესატანის სახეები, აღნიშნულია მხოლოდ, რომ მონაწილის შენატანი შეიძლება მდგომარეობდეს აგრეთვე მომსახურების გაწევაში (§706-ე მესამე ნაწილი). საერთო მიზნის მიღწევა შესაძლებელია ამხანაგობის თითოეული მონაწილის მიერ საკუთარი წვლილის შეტანით [18.227]. შენატანები შეიძლება გაკეთებულ იქნას თანხის, მომსახურების, ქონებრივი შენატანის, უფლების გამოყენების (მაგალითად, საოფისე ფართის), ცესიის და შესაბამისი ქონებრივი ან შესრულებული სამუშაოს სახით (ვალდებულების შეუსრულებლობის ჩათვლით) [19.607]. გერმანიის სავაჭრო სამართლით ამხანაგობის მონაწილეებმა უნდა შეიტანონ შეთანხმებული თანხა. მონაწილე, რომელიც დროულად არ შეიტანს შესატანს ვალდებულია გადაიხადოს პროცენტი იმ დღიდან, რომლიდანაც უნდა განეხორციელებინა გადახდა [15.39]. ე.ი. მას ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის ეკისრება საურავის გადახდა ყოველი გადაცდენილი დღისათვის. აღნიშნული წესი არ არის გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ამხანაგობის მონაწილეთა მიმართ, თუმცა, ვფიქრობთ, საქმიანობის მიზნიდან გამომდინარე აქაც შეიძლება გამოყენებული იქნეს ზოგადი ნორმები. რაც შეეხება სამეწარმეო საზოგადოებებში ანუ, შეიძლება ითქვას, ამხანაგური ტიპის საზოგადოებებში მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3.7-ე მუხლით განსაზღვრულია თითოეული პარტნიორის მიერ შენატანის შეტანის წესი და ვადა. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა,

კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქართველოში ადრე მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, 1964 წლის სამოქალაქო კოდექსის 449-ე მუხლით შენატანის საგანი განისაზღვრებოდა ფულით, ან ქონებით ანდა შრომითი მონაწილეობით საქმეში. აღნიშნული პოზიცია სავსებით მისაღები და გათვალისწინებულია მოქმედ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლში.

ამხანაგობის მონაწილის შენატანად ითვლება ყველაფერი, რაც მას შეაქვს საერთო საქმეში: ფული, ფასიანი ქაღალდები, სხვა ქონება, მათ შორის უძრავი; ქონების სარგებლობის უფლება; ინტელექტუალური შემოქმედების შედეგები, მათზე გამონაკლისი უფლებები (საავტორო, საპატენტო, სალიცენზიო უფლებები, გამოყენების უფლებები, გადაცემადი კონცესია)» [6]. შესატანის სახით შეიძლება შეტანილი იქნეს პროფესიული ან სხვა ცოდნა, გამოცდილება და შესაძლებლობა, მონაწილის საქმიანი რეპუტაცია და საქმიანი კავშირები, აგრეთვე გარკვეული სამუშაოს შესრულება [16.559-560]. ფული და სხვა ქონება შეადგენს მატერიალურ, ხოლო მოქმედებები მათ შეტანაზე, როგორც ხელშეკრულების მონაწილეთა პირადი შრომა, – სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიულ ობიექტს [17.736-737].

შენატანები, როგორც მატერიალური ისე არამატერიალური, ექვემდებარება ფულად შეფასებას, რომელიც უნდა მოხდეს მონაწილეთა ურთიერთშეთანხმებით ან სპეციალისტთა შეფასებით [7.290]. შენატანის სახით მომსახურების გაწევა შეიძლება მდგომარეობდეს, როგორც ამხანაგობის განკარგულებაში პირადი შრომის გადაცემაში, ასევე რომელიმე სახის ცალკეულ მომსახურებაში.

პირველად თვით «სხვა ქონებრივი» (არაფულადი) შესატანის დეფინიცია განსაზღვრა 1884 წ. გერმანელმა კანონმა [8], რომელმაც, პრინციპში, საფუძველი ჩაუყარა ამ საკითხთან დაკავშირებით გაუთავებელ ბჭობას მეცნიერთა და პრაქტიკოსთა შორის. ამ დეფინიციის ქვაკუთხედი იყო ის, რომ კანონი არაფულად შესატანად აღიარებდა ყოველ გადაცემად საგანს [9]. საერთოდ, იურიდიული დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა, როგორც უკვე აღვნიშნე მიიჩნევს, რომ ქონებრივიღირებულების უფლებებიც შეიძლება წარმოადგენდეს სანივთო შესატანის საგანს.

არაფულადი შესატანის სახით – მომსახურების გაწევის, როგორც სანივთო შესატანის შეტანასთან მიმართებაში საინტერესოა ლიტერატურაში გამოთქმული ბატონ ირაკლი ბურდულის მოსაზრებები. იგი თვლის, რომ «საერთოდ, უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ რაიმე მომსახურების გაწევის ვალდებულება არ შეიძლება მივიჩნიოთ შესატანად (2005 წლის 24 ივნისის ცვლილებებმა უფრო დააკონკრეტა ეს საკითხი და, როგორც აღინიშნა, იმპერატიულად დაადგინა, რომ სამუშაოს შესრულება და მომსახურების გაწევა არ შეიძლება მიჩნეულ იყოს შეტანაუნარიან ობიექტად). უფლებები, გამომდინარე ე.წ. მომსახურების ხელშეკრულებიდან, არ შეიძლება ჩაითვალოს შესატანაუნარიან საგნად, ვინაიდან, თავისი სპეციფიკური თვისებებიდან გამომდინარე, იგი არ წარმოადგენს არაფულადი შესატანის სათანადო ობიექტს [10]. საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ არ წარმოადგენს მომსახურების გაწევის ვალდებულება შესატანაუნარიან ობიექტს? საქმე ისაა, რომ მომსახურების გაწევასაც შესაძლოა, რაიმე ღირებულება გააჩნდეს, მაგრამ, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იგი უფრო დაფუძნების ხარჯების კატეგორიას განეკუთვნება და საზოგადოების

რეგისტრაციამდე უკვე მოიხმარება. წარმოვიდგინოთ, რომ საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი პარტნიორი საზოგადოებას შესატანად სთავაზობს რაიმე მომსახურების გაწევას და სარეგისტრაციოდ საჭირო ყველა დოკუმენტის შეგროვებას პირდება. მას, რა თქმა უნდა, შეუძლია ამ მოქმედებათა თავისუფალი განხორციელება, მაგრამ ისინი ჩაითვლებიან კაპიტალური ტიპის საზოგადოების დაფუძნების ხარჯებში, რომელიც მას შემდგომ აუნაზღაურდება. მომსახურების გაწევის ვალდებულება ამ შემთხვევაში განეკუთვნება უფრო საზოგადოების დაფუძნების ხარჯების ანაზღაურების კატეგორიას» [11.133-134].

მომსახურების გაწევის ვალდებულება, ან მისგან წარმოშობილი მოთხოვნები არ შეიძლება ჩაითვალოს შესატანად მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნები გადაცემადია [12]. არაფულადი შესატანის განხორციელებისას გასათვალისწინებელია საზოგადოებისათვის – ამხანაგობისათვის მისი ვარგისიანობა. თუმცა, გაურკვეველია, ვინ უნდა განსაზღვროს ამა თუ იმ შენატანის ვარგისიანობა ამხანაგობის მიზნის მისაღწევად. უპირველეს ყოვლისა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე ასეთი შეთანხმების მონაწილეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ სახელშეკრულებო პირობების შინაარსი, მათ შორის პირობები თითოეული მათგანის შენატანების შემადგენლობაზე, რაც ქმნის ამხანაგობის ქონებრივი ბაზის საფუძველს და წარმოადგენს კრედიტორების უფლებების დაცვის გარანტიას ამხანაგობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე.

უფრო მეტიც, პრაქტიკაში ხშირად გვხვდება ამხანაგობის ხელშეკრულებები, რომლებსაც არ გააჩნიათ არანაირი საერთო ქონება, ვინაიდან მონაწილეთა შენატანებს წარმოადგენენ საქმიანი კავშირები, რეპუტაცია და სხვა სიკეთეები, რომლებსაც არ აქვთ ფულადი შეფასება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა შენატანს გააჩნია ღირებულება. ღირებულება (შენატანების ფულადი შეფასება), როგორც ზემოთ არის აღნიშნული, განისაზღვრება მონაწილეთა ურთიერთშეთანხმებით. მონაწილეებს კი შეუძლიათ განსაზღვრონ შენატანის სახით შეტანილი საქმიანი რეპუტაციის ან სხვა მსგავსი სიკეთის ღირებულება იმ ფასად, რომელიც აშკარად შეესაბამება მის (შენატანის) რეალურ ღირებულებას და ყოველივე ამის შემდეგ შეუდგენენ, მაგალითად, სამეწარმეო საქმიანობას. წარუმატებლობის და საერთო ვალდებულებებზე ამხანაგობის ვალების წარმოშობის შემთხვევაში კრედიტორებს შეექმნებათ პრობლემები მიიღონ ანაზღაურება, ვინაიდან მონაწილეებს ფაქტიურად არ გააჩნიათ საერთო ქონება. მაგრამ, გამოსავალი აღნიშნული მდგომარეობიდან გათვალისწინებულია თვით ამხანაგობის ხელშეკრულებით. საუბარია საერთო ვალდებულებებზე მონაწილეთა სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე პირადი ქონებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ არ არის აუცილებელი მონაწილეთა შენატანების დამატებით შეფასება იმ თვალსაზრისით, ვარგისია ისინი თუ არა ამხანაგობის მიზნების მისაღწევად. ვინაიდან, ამხანაგობა იქმნება კონკრეტული მიზნის მისაღწევად, რომელიც ამხანაგობის წევრთა ინტერესს წარმოადგენს, ამიტომ შენატანების სახეს, ღირებულებას და დანიშნულებას მნიშვნელობა აქვს არა მესამე პირებისთვის (კრედიტორებისთვის) არამედ იმისათვის, თუ ეს შენატანი (შენატანები) რამდენად ვარგისია ამხანაგობის კონკრეტული მიზნის მისაღწევად და მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. განსაკუთრებულად გონივრული იქნება მიეცეს ამხანაგობის მონაწილეებს უფლება თვითონ განსაზღვრონ, თუ რა

შეიძლება თითოეული მათგანის მიერ შეტანილი იქნეს ერთობლივ საქმიანობაში (სამეწარმეო თუ არასამეწარმეო) შენატანის სახით.

*ეკატერინე ნინუა, დოქტორანტი*

**შესატანის განსაზღვრის ზოგადი დებულებანი ამხანაგობაში  
(ერთობლივ საქმიანობაში)**

ამხანაგობაში (ერთობლივ საქმიანობაში) მონაწილეთა მიერ შესატანის შეტანა ქმნის დასახული საერთო მიზნის მიღწევის მატერიალურ წინაპირობას. ამხანაგობის მიზნიდან გამომდინარე შეიძლება განსხვავდებოდეს საერთო საქმეში შესატანის სახე. მაგალითად, კომერციული მიზნით შექმნილ ამხანაგობაში დასახული მიზნის მიღწევის ძირითად საფუძველს წარმოადგენს, ეკონომიკური ღირებულების მქონე შესატანის შეტანა, ანუ კერძოსამართლებრივ ბრუნვაში შესაძლებელი უნდა იყოს მათი რეალური ფასის დადგენა.

ამხანაგობაში (ერთობლივ საქმიანობაში) შესატანის შეტანის განსაზღვრის წესი რეგულირდება სპეციალური ნორმებით, რაც ითვალისწინებს შესატანის შეტანას, როგორც ქონებით, ასევე მომსახურების გაწევით.

*Екатерине Нинуа, Докторант*

**Научная статья выполнена на тему: Общие положения определения вкладов в  
товарищество  
(в совместную деятельность)**

Внесение товарищами вкладов в товарищество (в совместную деятельность) представляет собой одну из материальных предпосылок достижения общих целей. Исходя из целей товарищества виды вкладов вносимые в общее дело могут быть разными. Например, для товарищества созданного с коммерческой целью, главным основанием достижения намеченной цели является внесение вкладов имеющих экономическую стоимость, то есть установление их реальной денежной оценки не должно вызывать трудностей.

Порядок внесения в товарищество (в совместную деятельность) вкладов регулируются специальными нормами, что предусматривает внесение вкладов как имуществом, так и оказанием услуг.

*Ekaterine ninua, PHD student*

**General regulations on the issue of holding introduction into copartnership  
(joint activity)**

The scientific article is dedicated to the following topic: General regulations on the issue of holding introduction into copartnership (joint activity). The copartners' introduction of the holdings into the copartnership (joint activity) represents one of the material preconditions for the common object attainment. Reasoning from the copartnership goal, the type of holdings into the common business may vary. For instance, for a copartnership established out of commercial purpose, the holdings having economic value represent the principal ground for the attainment of the contemplated goal, i.e. the ascertainment of their real evaluation should not cause any difficulties. The order of the holdings introduction into the copartnership (joint activity) is regulated by special standards, which provide for the holdings introduced both by the assets and servicing.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. z.axvlediani. valdebulebiTi samarTali. gamomc., 'samarTali~', Tb., 1999;
2. i.burduli. sawesdebo kapitali da misi funqciebi/Tanamedrove sakorporacio samarTlis Teoriuli da praqtikuli sakiTxebi. gamomc. 'meridiani~', Tb., 2009;
3. q.qoqraSvili. samewarmeo samarTali. gamomc., 'teqniki universiteti~', Tb., 2005;
4. saqarTvelos kanoni mewarmeTa Sesaxeb – 1994w. 28 oqtomberi, 2010 wlis 1 ianvis mdgomareobiT.
5. F: William McCarty, John W. Bagby, The legal environment of business, Bur Ridge, Boston, Sydney; 1993., P. 180. ix. g. liluaSvili. mewarmeTa registraciis arsi da miznebi/Tanamedrove sakorporacio samarTlis Teoriuli da praqtikuli sakiTxebi. gamomc. 'meridiani~', Tb., 2009;
6. e.w.ubertragbare Konzession. mokled rom vTqvaT, gadacemadi koncesia (nebarTva, daTmoba) aris raime warmoebis ganxorcielebis uflebis gamoyenebis garkveuli forma, romlis drosac gaTvaliswinebuli unda iyos garkveuli pirovnuli da obieqturi wina pirobebi, gansakuTrebiT: gamoyenebadoba, saimedooda da a.S./ Greifelds, Rechtworterbuch, 17. Auf.,

Verlag C.H. Beck, Munchen, 2002. S. 807, ix. i. burduli, qonebrivi urTierToba saaqcio sazogadoebaSi, 'Tbilis universitetis gamomcemloba', Tb., 2008;

7. თ.ჩიტოშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, IV წიგნი, II ტომი, გამომც. «სამართალი», თბ., 2000;NMN

8. Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des osterreichischen Aktienrechrs, S. 145-146, ი. ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, «თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა», თბ., 2008, გვ. 127;

9. Barz in Grosses Kommentar zum AktG, (1973), S. 213. ი. ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, «თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა», თბ., 2008, გვ. 128;

10. Barz in Grosses Kommentar zum AKtG, ( 1973 ), S. 214, იხ. ი. ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, «თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა», თბ., 2008, გვ. 133;

11. ი. ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, «თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა», თბ., 2008;

12. Lutter Mareus: GmbH-Gesetz: Kommentar/von Marcus Lutler; Peter Hommelhoff.-15. Aufl. § 5.Rn. 17. იხ. ქ.ქოქრაშვილი. სამეწარმეო სამართალი. გამომც., «ტექნიკური უნივერსიტეტი», თბ., 2005, გვ. 86;

13. Л.Жюлио Де Ла Морандьер. Гражданское право Франции, изд., „Иностранной литературы”, М., 1961;

14. Французский Гражданский Кодекс 1804 г, Перевод И.С, Перетерского, Юридическое изд-во „НКЮ СССР”, М., 1941;

15.А.Ю.Бушев.О.А.Макарова,В.Ф.Попондопуло.Коммерческое право зарубежных стран. изд., „Питер”, М., С-П., Нижний Новгород, Воронеж.Росто-НА-Дону, Екатеринбург и т.д. 2003;

16.Гражданское право в 4-х томах,Т. 4, Обязательственное право, Отв.ред. Е.А.Суханов. изд., „Волтерс Клувер”, М., 2008;

17. Иоффе О.С. Избранные труды в 4-х томах, Т. 3. изд., „Юридический Центр Пресс”, С-П 2004;

18. Dieter Medicus .Schuldrecht II, Besondere Teil, Dr.Dr.h.c.Verlag C.H.Beck, Mьnchen 2004;

19. Wolfgang Fikentscher, Schuldrecht, Walter de Gruyter, Berlin. New York 1992.



*ქეთევან ზაქარეიშვილი, მაგისტრი*

## დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტია. კლასიკურ რომის სამართალში იგი ცნობილი იყო “negatorium gestio”-ს სახელწოდებით. ინსტიტუტის ფორმირება და ახალი დროის სამართლებრივ სისტემებში შემდგომი განვითარება განაპირობა სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებმა და ადამიანთა შორის ურთიერთდახმარებისა და სოლიდარობის იდეამ, რომელიც ამ ინსტიტუტის იდეოლოგიური საფუძველია.

საბჭოური სამოქალაქო კანონმდებლობა აღიარებდა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მხოლოდ კერძო შემთხვევებს – ნაპოვარის შენახვის ხარჯების ანაზღაურებისა და სოციალისტური ქონების გადარჩენისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებებს. ეს უკანასკნელი, სამოქალაქო კანონმდებლობის ისტორიაში, პირველად შემოღებულ იქნა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 95-ე მუხლით, რომლის შინაარსი უცვლელად იქნა გადატანილი მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსებში.

სამოქალაქო კანონმდებლობა არეგულირებს ამ ინსტიტუტს. მოქმედი კოდექსით იგი «დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების» სახელითაა ცნობილი და მოიცავს იმ მუხლებს, რომლებიც არეგულირებენ სამართლებრივ ურთიერთობებს, როცა პირი ნებაყოფლობით ასრულებს სხვა პირის საქმეებს ამ უკანასკნელის დავალების ან სხვაგვარი მითითების გარეშე.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შედეგად წარმოშობილი ვალდებულების იმ მონაწილეს, რომელიც დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე ასრულებს სხვა პირის საქმეებს, უწოდებენ შემსრულებელს (gestor), ხოლო იმ მონაწილეს, რომლის საქმესაც შემსრულებელი ასრულებს - მეპატრონეს (dominius).

სხვა პირის საქმეებში შეიძლება ვიგულისხმოთ მრავალი სახის ცხოვრებისეული სიტუაცია. ძირითადად, აქ ისეთ გარემოებებთან გვაქვს საქმე, რომლითაც ამა თუ იმ პირის ინტერესებს საფრთხე ემუქრება, მაგრამ მას რაიმე მიზეზის გამო არ შეუძლია თავიდან აიცილოს იგი ან სხვას მიანდოს მისი თავიდან აცილება და ამ დროს სხვა პირი თავისი ინიციატივით მოქმედებს მისი ინტერესების დასაცავად. საფრთხე, რომელიც პირს ან ქონებას ემუქრება რეალური, ხოლო მოქმედება ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მოცემულ პირობებში აუცილებელი და მიზანშეწონილი უნდა იყოს. აუცილებელია, რომ გარემოება მოითხოვდეს დაუყოვნებლივ მოქმედებას და დაყოვნება

კი იწვევდეს მეპატრონისათვის დამატებით ქონებრივ დანაკარგებს. თუ მოქმედების შესრულება სასწრაფო არ არის და შემსრულებელს შეეძლო გაეგო მეპატრონის აზრი, მაშინ ვალდებულება არ წარმოიშობა. მაგალითად, რუსეთის სამოქალაქო კანონმდებლობამ დეტალურად გაწერა (სკ 50-ე და 980-ე მუხლები) ის მოთხოვნები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს განხორციელებული მოქმედება, რათა მან დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების სახე მიიღოს. ესენია: 1) მოქმედება უნდა განხორციელდეს ყოველგვარი დავალებისა და შეთანხმების გარეშე; 2) მოქმედება მიმართული უნდა იყოს პიროვნების ან/და მისი ქონების გადარჩენისკენ; 3) მოქმედებამ სარგებელი უნდა მოუტანოს დაინტერესებულ პირს; 4) მოქმედება განპირობებული უნდა იყოს აუცილებელი გარემოებებით.

მთავარი განსხვავება თანამედროვე და ძველ კანონმდებლობას შორის არის ის, რომ მოქმედი კოდექსი ითვალისწინებს საფრთხის არსებობას არა მხოლოდ სახელმწიფო ქონების (როგორც ეს ძველ კოდექსში იყო), არამედ მეპატრონის ქონების, მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მიმართ. ამიტომ იურიდიულ შედეგებს წარმოშობს ისეთი მოქმედებებიც, რომელიც მიმართულია სხვა პირის სიცოცხლის და ჯანმრთელობის გადასარჩენად. მაგალითად, იმ პირის გადასარჩენად, რომელიც წყალში იხრჩობა.

სხვისი საქმეების შესრულების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების საგანს შეიძლება წარმოადგენდეს როგორც ფაქტობრივი, ასევე იურიდიული მოქმედებები (მაგალითად, როცა საქმის შესასრულებლად საჭიროა შემსრულებლის მიერ სხვა პირთან გარიგების დადება).

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას შეიძლება შემსრულებლისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა წარმოიშვას. ამიტომ მიზანშეწონილია ამ საკითხის შედარებით დეტალურად ანალიზი.

შემსრულებელს, რომელსაც მიაღვა ზიანი იმ საფრთხის თავიდან აცილებისას, რომელიც რეალურად ემუქრებოდა სხვა პირს ან ქონებას, უფლება აქვს მოითხოვოს ამ ზიანის ანაზღაურება (მაგალითად, თუ პირმა სხვის სახლში გაჩენილი ხანძრის ჩაქრობისას მიიღო ზიანი). ზიანის ანაზღაურების აღნიშნული წესი არ გამოიყენება, თუ საფრთხის თავიდან აცილება, შემსრულებლის სამართლებრივ მოვალეობას წარმოადგენდა.

ზიანი უნდა აანაზღაუროს იმ პირმა, რომელმაც შექმნა საფრთხე ან იმ პირმა, რომლის სიკეთის გადარჩენასაც შემსრულებელი ცდილობდა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შემსრულებელს შეუძლია მაშინაც, როცა მან საფრთხის აღკვეთა ვერ შეძლო მიუხედავად იმისა, რომ კეთილსინდისიერად მოქმედებდა.

სამოქალაქო კოდექსის 970-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, თუ საქმეების შესრულება მიმართულია იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრება მეპატრონეს, შემსრულებელი პასუხს აგებს განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის.

თუ საფრთხის აცილების საბაბით, შემსრულებელი განზრახ აყენებს ზიანს მეპატრონის ან სხვა პირის ქონებას, შემსრულებელს სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრება დელიქტური ვალდებულების წესებით. იგივე ხდება, როცა შემსრულებლის მოქმედებით მეპატრონეს ან სხვა პირს ზიანი მიაღვა საფრთხის აცილების გაუმართლებელი ხერხების შერჩევის გამო. უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილად

არ შეიძლება ჩაითვალოს ზიანის მომტანი ქმედება, როცა ზიანი შეადგენს საფრთხის აცილების გარდაუვალ ეპიზოდს ან შემსრულებლის მართლზომიერი რისკის შედეგს.

როგორც ვხედავთ, შემსრულებლის პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია ბრალის არსებობა, გარდა დამდგარი ზიანის, არამართლზომიერი ქმედებისა და მიზეზობრივი კავშირისა ამ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. ამასთანავე, კანონი ცალსახად განსაზღვრავს, რომ გესტორი პასუხისმგებელია განზრახი ან უხეში და არა მარტივი გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისათვის.

რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით, მეპატრონის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის გადამწყვეტია, არა განხორციელებული ქმედება, არამედ მისი იურიდიული შემადგენლობა. როდესაც გესტორი მოქმედებს დომინიუსის არ ყოფნის ან/და ქმედუუნარობის დროს, აუცილებელია არსებობდეს სამი გარემოება: 1. გესტორი უნდა მოქმედებდეს დავალების გარეშე; 2. გესტორმა საქმის კურსში უნდა ჩააყენოს დომინიუსი; 3. ამ უკანასკნელმა არ უნდა მოიწონოს განხორციელებული ქმედება, ხოლო თუ შემსრულებელი მოქმედებს დავალების გარეშე მეპატრონის თანდასწრებით, მაშინ აუცილებელია მხოლოდ პირველი და მესამე პირობის არსებობა.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შინაარსის კარგად გააზრებისთვის, ახდენენ მის შედარებას წარმომადგენლობის ინსტიტუტთან. ამ უკანასკნელისაგან მას განასხვავებს ის, რომ წარმომადგენელი პრინციპალის თანხმობითა და სახელით ასრულებს იურიდიულ მოქმედებებს, მაშინ როცა გესტორი მეპატრონის ინტერესებისათვის საკუთარი სახელით ახორციელებს როგორც ფაქტობრივ, ისე იურიდიულ აქტებს.

შემსრულებლის მდგომარეობა განსხვავდება დავალების ხელშეკრულებით გათავლისწინებული რწმუნებულის მდგომარეობისაგან, რადგან რწმუნებული მოქმედებს, თუმცა საკუთარი სახელით, მაგრამ მარწმუნებლის დავალებით მინიჭებული უფლებამოსილებით. შემსრულებლის მდგომარეობა რწმუნებულისას მხოლოდ მას შემდეგ დაემთხვევა, რაც მეპატრონე გაიგებს და მოიწონებს შემსრულებლის დაწყებულ საქმეს. ისიც შესაძლებელია, რომ რწმუნებულის მოქმედებამ სხვისი საქმეების შესრულების ფორმა მიიღოს, თუ რწმუნებული გასცდება მანდატით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს.

როგორც ვხედავთ, სამართლის ეს ორი ინსტიტუტი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ხშირად რთულია იმის განსაზღვრა თუ სად გადის ზღვარი დავალების ხელშეკრულებასა და დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შედეგად დამდგარ შედეგებს შორის. თუმცა, ძირეული განსხვავებაა ამ მოქმედებებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოვალეობის საკითხთან მიმართებაში. კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას შემსრულებლის მოქმედებით გამოწვეული ზიანისათვის აუცილებელია ბრალის (განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა) არსებობა, მაშინ როცა მარწმუნებელი მოვალეა ანაზღაუროს მისი ბრალის გარეშე დამდგარი ზიანიც, რომელიც წარმოიშვა რწმუნებულის დავალებული მოქმედების შესრულებისას (სკ 718-ე მუხლი).

რწმუნებული მინდობილ საქმიანობას ახორციელებს საკუთარი რისკის ფარგლებში, მაგრამ თუ დავალების ხელშეკრულების მიმდინარეობის პერიოდში რწმუნებულს მიადგა რაიმე ზიანი და ეს ზიანი გამოწვეული იყო მარწმუნებლის მითითებების

შესრულების შედეგად, მარწმუნებელს ეკისრება ასეთი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ასევე, მარწმუნებლისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრებას. იმ შემთხვევაშიც, თუ მას ბრალი არ მიუძღვის რწმუნებულისათვის ზიანის მიყენებაში, მაგრამ რწმუნებულს ეს ზიანი მიადგა დავალეული მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საფრთხის შედეგად. თუ ეს ზიანი გამოწვეულია რწმუნებულის მოქმედებით, მაშინ მარწმუნებელი თავისუფლდება ასეთი მოვალეობის შესრულებისგან. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ წარმოიშობა თუ ზიანი გასამრჯელოთი უნდა დაიფაროს. თუ სადავო გახდება შეთანხმების არსებობა ზიანის გასამრჯელოთი დაფარვის შესახებ, მაშინ მტკიცების მოვალეობა ეკისრება რწმუნებულს.

მარწმუნებლისათვის ზიანის მიყენებისათვის რწმუნებული პასუხს აგებს დადგენილი სერთო წესით, ხოლო თუ ის უსასყიდლოდ ასრულებს დავალეულ მოქმედებას, მაშინ მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის (სკ 719-ე მუხლი). როგორც ვხედავთ, დავალების უსასყიდლოდ შესრულებისათვის, კანონმდებელმა რწმუნებულის პასუხისმგებლობისათვის შემოიღო ბრალის არსებობის აუცილებლობის პირობა.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებლის მდგომარეობა განსხვავდება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების კრედიტორის მდგომარეობისგან, თუმცა მათი საბოლოო მიზნები მსგავსია. მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების კრედიტორს სურს ხელშეკრულებიდან შეიძინოს საკუთარი უფლებები, მაშინ როცა გესტორი ასეთ მიზანს არ ისახავს. შესაძლოა ისიც, რომ გესტორი ცდებოდეს მეპატრონის პიროვნების ვინაობაში. ასეთ დროს სახეზე მაინც სხვისი საქმეების შესრულებაა.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება თავისთავად შეიცავს წინააღმდეგობრივ მომენტს. ერთი მხრივ, საქმე გვაქვს გესტორის მიერ მეპატრონის უფლებების სფეროში თვითნებურ ჩარევასთან. მ მეორე მხრივ, ეს ჩარევა ხორციელდება მეპატრონის ინტერესებისათვის. კანონის მიზანია ზოგადი სოციალური ინტერესი დაიცვას ისე, რომ ხელი არ შეუშალოს გესტორის კეთილშობილ საქმიანობას. ამასთან, დაიცვას მეპატრონის პიროვნება და ქონება უცხო პირთა ზიანის მომტანი თვითნებობისგან. ამ ამოცანების განსახორციელებლად კანონი ადგენს სავალდებულო მოთხოვნებს როგორც გესტორის, ისე მეპატრონისათვის. კანონის უპირველესი მოთხოვნაა – სხვისი საქმეების შემსრულებელი მოქმედებდეს კეთილსინდისიერად, ანუ ისე, როგორც მოცემულ საქმეს კარგი მეპატრონე ან მისი დავალებით სხვა პირი წარმართავდა დავალების ხელშეკრულების შემთხვევაში.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების აუცილებელი პირობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის სხვა პირის ინტერესებისათვის ფაქტობრივი და იურიდიული საქმიანობა. შესაძლოა გესტორისათვის უცნობი იყოს პიროვნება, ვისთვისაც მოქმედებს. მაგრამ ეს ხელისშემშლელი გარემოება არ იქნება მისი მოქმედების სხვისი საქმის შესრულებად ჩათვლისათვის. შემსრულებელი გარკვეულ ეტაპზე შესაძლოა მოქმედებდეს ანონიმურადაც. კანონი ითვალისწინებს ისეთ მდგომარეობას, როდესაც შემსრულებელი ვარაუდობდა, რომ საკუთარი ინტერესებისათვის მოქმედებდა,

შესრულებული მოქმედებით კი სხვა პირმა უშუალო სარგებელი მიიღო. ასეთ დროს გამოიყენება უსაფუძვლო გამდიდრების და არა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ვალდებულების წესები.

როგორც ვხედავთ, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, დავალების და მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებები, მიუხედავად მსგავსებისა, სამოქალაქო სამართლის დამოუკიდებელი ინსტიტუტებია. თითოეული მათგანი მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რაც განსაკუთრებულად კარგად ჩანს დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის მომენტში. კანონმდებელმა გამიჯნა და მეტნაკლებად განსაზღვრა ის პირობები, რომლებიც აუცილებლად წინ უნდა უძღოდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას. თუმცა, მხოლოდ კანონზე დაყრდნობით რთულია პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტა. ამიტომ აუცილებელია თითოეული შემთხვევის დრმა ანალიზი, რათა არ მოხდეს მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვა და კანონიერი ინტერესების უგულებელყოფა.

*ქეთევან ზაქარიიშვილი, მაგისტრი*

### **დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება**

სტატიაში განხილულია სამოქალაქო სამართლის უძველესი ინსტიტუტი «დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება», რომლის ფორმირება და ახალი დროის სამართლებრივ სისტემებში შემდგომი განვითარება განაპირობა სამოქალაქო ბრუნვის ინტერესმა და ადამიანთა შორის ურთიერთდახმარებისა და სოლიდარობის იდეამ.

ყურადღება გამახვილებულია დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე. მოქმედი კანონმდებლობით გამიჯნულია და მეტნაკლებად განსაზღვრულია ის პირობები, რომლებიც აუცილებლად წინ უნდა უძღოდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას. თუმცა, მხოლოდ კანონზე დაყრდნობით რთულია პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტა, ამიტომ აუცილებელია თითოეული შემთხვევის დრმა ანალიზი.

*Кетеван Закареишвили, Магистр*

### **Возмещение вреда при исполнении чужих дел без поручения**

В статье рассматривается старейший институт гражданского права “исполнение чужих дел без поручения”, формирование и последующее развитие которого в правовой системе нового времени обусловили интерес гражданского оборота и идея взаимопомощи и солидарности людей.

Внимание сосредоточено на обязанности возмещения вреда при исполнении чужих дел. Действующий закон разделяет и, в некоторой степени, определяет те условия, которые в обязательном порядке должны предшествовать возникновению обязанности возмещения вреда. Однако очень трудно решать практические вопросы лишь опираясь на закон, поэтому необходим глубокий анализ каждого отдельного случая.

*Ketevan Zakareishvili, Master of law*

### **Remuneration for the damage imposed by benevolent intervention in someone else's affairs**

The article deals with the oldest institution of civil law “benevolent intervention in someone else's affairs” formation and further development of which in legal system of recent times was stipulated by the interest to civil circulation and the idea of mutual aid and solidarity among people.

The attention is focused on the liability to remunerate the damage imposed by benevolent intervention in someone else's affairs. The current legislation dissociates and more or less defines those conditions which should by all means precede emergence of liability to remunerate the imposed damage. Although it is difficult to resolve practical issues based on legislation therefore deep analysis of each particular case is essential.

### **ლიტერატურა**

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. თბ., 2010;
2. მ. ცისკაძე, დავალება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი I. თბ., 2001;
3. თ. ნინიძე, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II. თბ., 2001;
4. რ. შენგელია, ქონებრივი ზიანი და მისი ანაზღაურების ვალდებულება. თბ., 1991;
5. ლ. ჩორგოლაშვილი, დელიქტური ვალდებულებების ახლებურად გადაწყვეტის შესახებ. კრ «სამართლის რეფორმა საქართველოში». თბ., 1994;
6. ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი. თბ., 1999;
7. Иоффе О.С. Обязательственное право. М., 2000;
8. Толстой В.С. Исполнение обязательств. М., 2000;
9. Свалова Н. А. Обязательства вследствие действий в чужом интересе без поручения (Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук). М., 2008;
10. <http://www.for-expert.ru/gravo2/60.shtml>;
11. <http://law.edu.ru/book/book.asp?bookID=1285752>;
12. <http://www.gravo.ru/lectures/121>;
13. <http://sir35.narod.ru/Legal-agency/Vred-26032.htm>.

## საქმის წარმოების განახლება აშშ-ის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით

ამერიკის, როგორც ფედერალური სახელმწიფოს ბუნებიდან გამომდინარე, სამოქალაქო პროცესი – სამოქალაქო საქმის წარმოება სასამართლოში — ძირითადად რეგულირდება ფედერალური და შტატის კანონმდებლობით. ფედერალურში ძირითადად მოიაზრება ამერიკის 1787 წლის კონსტიტუცია, კერძოდ მე-3 მუხლი, რომელიც ეხება სასამართლო ხელისუფლებას, სამოქალაქო პროცესის ფედერალური წესები, შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს ფედერალური წესები, მტკიცებულებების შესახებ ფედერალური წესები და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ფედერალური წესების პარალელურად თვითეულ შტატს შეუძლია გამოიყენოს მის მიერ შემუშავებული წესებიც, თუმცა ძირითადად მაინც ეყრდნობიან ფედერალურ წესებს.

მსგავსად ევროპული სამართლისა, ამერიკის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც ითვალისწინებს საქმის წარმოების განახლების წესსა და ფორმას.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება აღარ განიხილება. მაგრამ არსებობს გარკვეული გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც პირმა შეიძლება მიმართოს სასამართლოს საქმის წარმოების განახლების შუამდგომლობით.

სანამ უშუალოდ ამ საკითხს გავანალიზებდე მანამ მოკლედ განვიხილავ გადაწყვეტილების გამოტანის წესს ამერიკის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით.

საერთო წესის თანახმად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, ხოლო ნაფიც მსაჯულებს – ვერდიქტი.

ვერდიქტი მსაჯულებს გამოაქვთ ფაქტის არსებობა-არარსებობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების ცნებას, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე მაკვალიფიცირებელ ნიშნებს, რომელიც განასხვავებდა მას სხვა სახის დადგენილებისგან.

სამოქალაქო პროცესის ფედერალური წესების (შემდგომში «სპფწ») 54-ე მუხლის მიხედვით «გადაწყვეტილება» (Judgment) გულისხმობს მოსამართლის ნებისმიერ დადგენილებას ან ბრძანებას.<sup>11</sup>

მსგავს შინაარსს ითვალისწინებს ცალკეული შტატის საპროცესო კანონმდებლობაც, გარკვეული დამატებების გათვალისწინებით, მაგალითად, მასაჩუსეტის სამოქალაქო საპროცესო წესის 54-ე მუხლით გადაწყვეტილება გულისხმობს ნებისმიერ დადგენილებას და ბრძანებას, რომლითაც დგინდება მხარის უფლებები და მოვალეობები.<sup>12</sup>

<sup>11</sup> Federal rules of Civil Procedure, (as amended to May 1, 2002), West publishing company, St. Paul, Minn. 2002.

<sup>12</sup> <http://www.lawlib.state.ma.us/subject/about/civpro.html>

გადაწყვეტილება არ უნდა შეიცავდეს მითითებას მხარეების მიერ წარმოდგენილ წერილობით დოკუმენტებზე, მაგალითად, სარჩელზე, შესაგებელზე და ა.შ. ასევე არ უნდა შეიცავდეს მითითებას თანაშემწის მოხსენებაზე ან მოსამზადებელი სხდომების ოქმებზე.

როდესაც სარჩელი მოიცავს რამდენიმე მოთხოვნას, მიუხედავად იმისა უკავშირდება თუ არა ის შეგებებულ სარჩელს ან ჯვარედინა სარჩელს ან მესამე პირის მოთხოვნას, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება ერთ-ერთი მოთხოვნის მიმართ.

სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებაც, რომელიც გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ შედის კანონიერ ძალაში.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი ხასიათით არ უნდა განსხვავდებოდეს ჩვეულებრივი გადაწყვეტილებისგან.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძვლებს ადგენს საპროცესო კანონმდებლობა, მაგალითად, ფედერალური სამოქალაქო საპროცესო წესების 55-ე მუხლის მიხედვით თუ მოპასუხე არ შეადგენს შესაგებელს მოსარჩელის სარჩელზე, სასამართლოს კლერკი მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე დააფიქსირებს მის გამოუცხადებლობას. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნით მის სასარგებლოდ სასამართლო კლერკის ან მოსამართლის მიერ შეიძლება გამოტანილი იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ასეთივე წესი გამოიყენება თუ მოსარჩელე არ გასცემს პასუხს მოპასუხის შეგებებულ სარჩელზე.

სასამართლოს კლერკს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება თუ მოპასუხე სრულწლოვანი ან ქმედუნარიანია და მოსარჩელეც სარჩელში იმ ზუსტ თანხას უთითებს რომელიც მოპასუხემ უნდა გადაიხადოს.

მოსამართლეს ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში მოსარჩელის თხოვნის საფუძველზე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მაგრამ მოსამართლე ვერ მიიღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას თუ მოპასუხე არის არასრულწლოვანი ან ქმედუუნარო და მის ინტერესებს არ იცავს მისი კანონიერი წარმომადგენელი.

თუ მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოიტანა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება, სასამართლო პროცესზე წარმოადგენს საპატიო მიზეზს, რის გამოც მან ვერ შესძლო სარჩელზე შესაგებლის წარდგენა, სასამართლო გააუქმებს მის მიერ მიღებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა შეერთებული შტატების ანუ სახელმწიფოს, მისი თანამდებობის პირის ან ორგანოს მიმართ არ შეიძლება თუ მხარე რომელიც ითხოვს ასეთ გადაწყვეტილებას არ წარადგენს თავისი მოთხოვნის საკმაო მტკიცებულებას.

მხარეს სარჩელის აღძვრიდან 20 დღეში შეუძლია მოითხოვოს მოკლე ანუ წინასწარი გადაწყვეტილება. ასეთივე გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნის უფლება აქვს მოპასუხესაც თუ ის წარადგენს საკმაო მტკიცებულებებს თავისი შესაგებლის დასამტკიცებლად.<sup>13</sup>

როგორც ზევით ავღნიშნეთ, მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს საქმის წარმოების განახლების შუამდგომლობით. თავისი შინაარსით ის გავს ქართულ სამართალში საქმის წარმოების განახლების საფუძვლებს. მაგალითად, ამერიკის

<sup>13</sup> Mary Kay Kane – Civil procedure – in a nutshell; West Publishing Co. St. Paul Minn. 1991. P.257.



ფედერალური სამოქალაქო საპროცესო წესების მე-60 მუხლის მიხედვით, საქმე შეიძლება თავიდან იქნეს განხილული:

1. სასამართლოს მხრიდან უყურადღებობის ან დაშვებული შეცდომის გამო;
2. ახლად აღმოჩენილი მტკიცებულების საფუძველზე, რომლის შესახებაც მხარემ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა საქმის განხილვის დროს;
3. გამარჯვებული მხარის მიერ სასამართლოს მოტყუების, შეცდომაში შეყვანის ან სხვა არამართლზომიერი მოქმედების გამო;
4. იმ გადაწყვეტილების გამო, რომელსაც არ აქვს იურიდიული ძალა;
5. როდესაც გადაწყვეტილება ეყრდნობოდა ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას, ხოლო ის გადაწყვეტილება შემდგომში გადასინჯვის ან სხვა გზით გაბათილდა;
6. სასარჩელო მოთხოვნა არაკანონიერია ანდა ფაქტები და მტკიცებულებები დამახინჯებულად არის წარმოდგენილი;
7. სხვა ნებისმიერი მიზეზის გამო, რომელიც ამართლებს წაგებული მხარის მიერ გადაწყვეტილების შეუსრულებლობას.

ამ საფუძვლების გამოყენებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის რომ დასახელებული მუხლის 1-ელ, მე-2 და მე-3 შემთხვევებში სასამართლოს წინაშე შუამდგომლობა შეიძლება დადგეს ერთი წლის განმავლობაში, ხოლო სხვა შემთხვევებში კი გონივრულ ვადაში.<sup>14</sup> სასამართლო პრაქტიკა სხვა შემთხვევებთან მიმართებაში გონივრულ ვადად მიიჩნევს ერთ წელს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან.

თუ სასამართლო დაუშვებს შეცდომას გადაწყვეტილებაში, რომელიც შევიდა კანონიერ ძალაში, მისი გამოსწორება როგორც ავლნიშნეთ, შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია მხარეს, თუმცა კანონი ასეთივე უფლებას აძლევს მოსამართლესაც. მაგალითად, სასამართლოს კლერკმა პროცესის დაწყების შესახებ უწყება გაუგზავნა მხარის ადვოკატს, მაგრამ შეცდომით უწყება გაუგზავნა იგივე სახელის მქონე სხვა ადვოკატს. მხარე და მისი ადვოკატი ვერ გამოცხადდნენ პროცესზე რის გამოც სასამართლომ მათ წინააღმდეგ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტილება გაუგზავნა ადვოკატს რომელმაც მოუცლელიობის გამო ვერ მოახერხა მისი გასაჩივრება. ძალაში შესვლის შემდეგ ადვოკატმა გაიგო კლერკის შეცდომის შესახებ და დააპირა საქმის წარმოების განახლებაზე შუამდგომლობის დაყენება, მაგრამ მოსამართლე თავად გაერკვა შეცდომაში, გააუქმა თავისივე გადაწყვეტილება და დანიშნა საქმე ხელმეორედ განსახილველად.<sup>15</sup>

შეცდომების დაშვება ზოგჯერ ხდება ადვოკატის მხრიდანაც, რაც მხარეს მძიმე მდგომარეობაში აყენებს. სასამართლოები ანტიპატიურად არიან განწყობილი იმ ადვოკატების მიმართ, რომლებიც პროცესზე მოდიან მოუმზადებელნი, ნასვამ მდგომარეობაში.<sup>16</sup>

მეორე საფუძველი არის ახლად აღმოჩენილი მტკიცებულებები. ეს ისეთი მტკიცებულებებია, რომლებიც არსებობდა საქმის განხილვის დროს, მაგრამ უცნობი იყო

<sup>14</sup>James J. Brown, Judgment Enforcement, 2009, p.345

<sup>15</sup> Brandon v. Chicago board of education, 143 F.3d. 293 (7<sup>th</sup>. Cir.1998)

<sup>16</sup> Geoffrey C. Hazard, Michele Taruffo – American civil procedure: an introduction. 1993. New-York. P.109

მხარისათვის. თუნდაც რომ მტკიცებულება უკანონო გზით იქნეს მოპოვებული, მას ვერ მიენიჭება ახლად აღმოჩენილი მტკიცებულების სტატუსი.<sup>17</sup>

მესამე საფუძვლის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მხარის მიერ ფინანსური ანგარიში წარდგენა სასამართლო პროცესზე.<sup>18</sup> ამ ანგარიშის სიყალბე კი გაირკვა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

შემდეგი საფუძველია თუ გადაწყვეტილებას არ ქონდა იურიდიული ძალა. ეს შემთხვევა შეიძლება წარმოიშვას მაშინ თუ სასამართლოს უწყებრივად არ ქონდა უფლება განეხილა საქმე და მიეღო გადაწყვეტილება ანდა არ ქონდა გასჯადობის უფლება.<sup>19</sup>

საქმის წარმოების განახლებაზე შუამდგომლობის შეტანა ხდება იმავე სასამართლოში რომელმაც გამოიტანა საბოლოო დადგენილება.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ იწყება მისი იძულებითი აღსრულება, მაგრამ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, რომელსაც სურს საქმის ხელმეორედ განხილვა, სასამართლოს უფლება აქვს შეაჩეროს აღსრულების პროცესი ახალი გადაწყვეტილების გამოტანამდე.

## **ალექსანდრე ლილუაშვილი, დოქტორანტი**

### **საქმის წარმოების განახლების წესი და ფორმა აშშ-ის სამოქალაქო საპროცესო კანონდებლობით**

სტატიაში განხილულია ამერიკის შეერთებულ შტატებში საქმის წარმოების განახლება.

ამერიკის ფედერალურ სამოქალაქო საპროცესო წესებზე დაყრდნობით, მაგალითების გამოყენებით, გაანალიზებულია საქმის წარმოების განახლების თვითიური საფუძველი.

<sup>17</sup> Jack H. Friedental, Mary Kay Kane, Arthur R. Miller, civil procedure, 2007, p. 610

<sup>18</sup> Venture Industries Corporation v. Autolive ASP, Inc. 457 F.3d. 1322, 1333 (2006)

<sup>19</sup> James J. Brown, Judgment Enforcment, 2009, p. 358

*Александр Лилуашвили, Докторант*

**ФОРМА И ПОРЯДОК ПЕРЕСМОТРА ВСТУПИВШИХ В ЗАКОННУЮ СИЛУ  
СУДЕБНЫХ РЕШЕНИЙ В ГРАЖДАНСКОМ  
ПРОЦЕССУАЛЬНОМ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВЕ США**

В статье рассмотрено форма и порядок пересмотра вступивших в законную силу судебных решений в гражданском процессуальном законодательстве.

*Alexandre Liluashvili, PHD student*

**FORM AND RULE OF REVIEW ENTERED INTO LEGAL FORCE OF  
JUDGMENTS IN CIVIL PROCEDURE  
LAW IN USA**

The article examined the form and procedure of the review entered into legal force of judgments in civil procedure law.

ლ ო ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. Federal rules of Civil Procedure, (as amended to May 1, 2002), West publishing company, St. Paul, Minn. 2002;
2. Mary Kay Kane – Civil procedure – in a nutshell; West Publishing Co. St. Paul Minn. 1991;
3. James J. Brown, Judgment Enforcment, 2009;
4. Brandon v. Chicago board of education, 143 F.3d. 293 (7<sup>th</sup>. Cir.1998);
5. Geoffrey C. Hazard, Michele Taruffo – American civil procedure: an introduction. 1993. New-York;
6. Jack H. Friedental, Mary Kay Kane, Arthur R. Miller, civil procedure, 2007;
7. Venture Industries Corporation v. Autolive ASP, Inc. 457 F.3d. 1322, 1333 (2006);
8. James J. Brown, Judgment Enforcment, 2009.

## გაუპატიურების კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი

გაუპატიურების, როგორც სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა, თანამედროვე იურისპუდენციისა და სასამართლო პრაქტიკისათვის უდაოდ საინტერესო და სასარგებლო საქმედ მიმაჩნია.

განსახილველი საკითხი სქესობრივი თავისუფლებისა და სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ერთ-ერთ სახესხვაობას წარმოადგენს და ხელყოფს სხვის სქესობრივ თავისუფლებას და სქესობრივ ხელშეუხებლობას. სქესობრივი თავისუფლება ესაა სრულწლოვანი პირის უფლება, საკუთარი სურვილით თავისუფლად შეარჩიოს პარტნიორი. გაუპატიურება კი თავისი ბუნებით და ჩადენის ფორმის გამოხატულებით სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედებაა, რაც ყოველთვის გულისხმობს მეორე მხარის (პარტნიორის) წინააღმდეგობის დაძლევას სქესობრივი კავშირის დამყარების დროს. სქესობრივი ხელშეუხებლობა კი გაუპატიურებისას გულისხმობს სქესობრივად მოუმწიფებელ არასრულწლოვანს, რომელსაც თავისი არასრულწლოვნების გამო ჯერ კიდევ არ აქვს სქესობრივი თავისუფლება. აქ იგულისხმევა არასრულწლოვანი 16 წლის ასაკამდე, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (1108-ე მუხლი), მართალია საქორწინო ასაკად დადგენილია 18 წელი, თუმცა გამონაკლის შემთხვევებში, მშობელთა წინასწარი წერილობითი თანხმობით დასაშვებია ქორწინება 16 წლის ასაკიდანაც. ამდენად სქესობრივი ხელშეუხებლობა გულისხმობს იმას, რომ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევების გარდა, ასაკის, ფსიქიკური ან უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირთან მისი თანხმობის შემთხვევაშიც კი დაუშვებელია სქესობრივი კავშირი.

განსახილველი საკითხის იურიდიული ანალიზი უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ საკითხის განხილვას დავიწყებთ გაუპატიურების, როგორც დანაშაულებრივი ქმედების ზოგადი შემადგენლობის ობიექტური მხარის ანალიზით, ვინაიდან გაუპატიურების სპეციალური შემადგენლობის ობიექტური მხარის განხილვა ცალკეულ მსჯელობას მოითხოვს. საკანონმდებლო განმარტების თანახმად, რომელიც გადმოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXII თავის 137-ე მუხლში, გაუპატიურება ესაა «სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით» გაუპატიურება თავისი ბუნებით და ჩადენის ფორმის გამოხატულებით, როგორც უკვე ავლნიშნე, მხოლოდ მოქმედებაში ვლინდება. ხსენებული მუხლის დისპოზიციაში გადმოცემულია გაუპატიურების ჩადენის ის კონკრეტული ხერხები, რომელთა მეშვეობითაც დამნაშავე ამყარებს სქესობრივ აქტს პარტნიორის (ქალის) ნების საწინააღმდეგოდ, მიუხედავად იმისა რა ურთიერთობაში იმყოფება დაზარალებული დამნაშავესთან და როგორია დაზარალებულის მორალური მხარე. სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციის თანახმად, გაუპატიურებისას სქესობრივი კავშირის დაჭერა შესაძლებელია სამი

სხვადასხვა ხერხის გამოყენებით, ესენია: ძალადობა, ძალადობის მუქარა და დაზარალებულის უმწიფობის გამოყენება.

1. ძალადობა – გულისხმობს ფიზიკურ ძალადობას და წარმოდგენს დაზარალებულის წინააღმდეგობის დათრგუნვის საშუალებას გაუპატიურებისას. ძალადობა ადამიანის სიძლიერის დემონსტრირებაა, რომელსაც მოქმედებითი ხასიათი აქვს და მისი სიმძლავრე დამოკიდებულია ქალის ნების წინააღმდეგობის სიძლიერეზე, რაც საბოლოოდ დამოკიდებულია როგორც მსხვერპლის ისე დამნაშავეს ორგანიზმის ფიზიკურ განვითარებაზე. შესაძლოა ცალკეულ შემთხვევებში პარტნიორის წინააღმდეგობის დასაძლევად სულ მცირე ძალისხმევაც კი იყოს საკმარისი დამნაშავეს მიზნის მისაღწევად, მაგალითად, ხელების გადაგრეხა.

ამ მხრივ საყურადღებოა შოთა ს-ს საქმე. 2008 წლის ივნისის თვეში, ღამის საათებში მთვრალ მდგომარეობაში შოთა ს. ფარულად შევიდა დაზარალებულ ოლია მ-ს საცხოვრებელ სახლში, შემდგომ მის საძინებელ ოთახში, თმებში წვდა ხელებით დასაძინებლად დაწოლილ ოლია მ-ს, ერთი ხელი წაუჭირა ყელში, ხოლო მეორე ხელით, ფიზიკური ძალის გამოყენებით შემოახია ქვედა საცვალი და, მიუხედავად დაზარალებულის წინააღმდეგობისა, დამნაშავემ მიაღწია მიზანს – ძალადობის ზემოაღნიშნული ფორმის გამოვლინებით დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი. ეს საქმე სავსებით სწორად დაკვალიფიცირდა გაუპატიურებად.

2. მუქარა თავისი ბუნებით ფსიქიკური ძალადობაა, რომლის გამოყენებასაც დამნაშავე ფიზიკური ძალადობის გამოყენებამდე მიმართავს, საბოლოოდ კი ძლევს მსხვერპლის წინააღმდეგობას და ხშირ შემთხვევაში აღწევს მიზანს. ეს ბუნებრივია, თუკი კონკრეტულ შემთხვევაში ფსიქიკური ძალადობის კონკრეტული ფორმა არაა საკმარისი მხოლოდ ამის შემდგომ დგება ფიზიკური ძალადობის საჭიროება, დამნაშავე ხომ ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები ძალისხმევით მოიყვანოს სისრულეში თავისი განზრახვა.

ზოგჯერ, თუ მუქარა სქესობრივი აქტის ჩადენის საშუალებას წარმოდგენს, ამით დამნაშავე ამზადებს გაუპატიურების პირობებს ან მუქარა წინ უძღვის გაუპატიურების ფაქტს და ამ დანაშაულის ჩადენის მომზადების სტადიას წარმოადგენს. მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილში მოცემულია სიტყვები სქესობრივი კავშირი «ძალადობის მუქარით» და არა «მუქარით». «ძალადობის მუქარის» საკანონმდებლო შინაარსის გარკვევა დამოკიდებულია «ძალადობის» ცნების შინაარსის გარკვევაზე. ძალადობა უფრო ვიწრო ცნებაა ვიდრე «ძალადობის მუქარა.» «ძალადობა», როგორც უკვე ავლნიშნე, ნიშნავს სქესობრივი აქტის დამყარებას ფიზიკური ძალის გამოყენებით ქალის ნების საწინააღმდეგოდ. რაც შეეხება მუქარას, დამნაშავე მსხვერპლს შეიძლება დაემუქროს მოკვლით, სხეულის დაზიანებით ან შვილის მოკვლით, რომელიც ქალს თან ახლავს, იმ შემთხვევაში თუ ქალი წინააღმდეგობას გაუწევს. მთავარი არის ის, რომ ყველა შემთხვევაში დამნაშავესაგან წამოსული მუქარა, მიმართული ქალის ნების წინააღმდეგობის პარალიზებისათვის, უნდა იყოს იმავნეუთიერი, ესე იგი, ქალს უნდა ქონდეს გათვითცნობიერებული და შეგნებული, რომ მუქარა, თუ ის სქესობრივ აქტზე უარს იტყვის აუცილებლად აღსრულდება დაუყოვნებლივ. იმ მომენტს, შემდგომში მოიყვანს თუ არა დამნაშავე სისრულეში თავის მუქარას, კვალიფიკაციისათვის არ აქვს მნიშვნელობა დამნაშავეს მერ სქესობრივი

კავშირის ძალადობით დამყარების შემთხვევაში. ხოლო მაშინ, თუ გაუპატიურების ჩამდენი მუქარის გამოთქმის შემდგომ, არ დაამყარებს სქესობრივ კავშირს დაზარალებულის ნების საწინააღმდეგოდ, ეს გამოთქმული მუქარა, მიმართული მსხვერპლის ნების პარალიზებისათვის, გვადლევს გაუპატიურების მცდელობას, შესაბამისი მუხლის დისპოზიციაში აღწერილი ქმედების მხოლოდ ერთი რომელიმე ელემენტის შესრულების გამო. 3. გაუპატიურების ჩადენის მესამე ხერხის სახესხვაობას წარმოადგენს «დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენება.» ეს ისეთი შემთხვევაა, როცა ქალს არ გააჩნია არანაირი უნარი გაუწიოს წინააღმდეგობა დამნაშავეს და სწორედ პარტნიორის ამ მდგომარეობის გამოყენებით ამყარებს მასთან დამნაშავე სქესობრივ კავშირს ბუნებრივი გზით.

სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ძალადობა და ძალადობის მუქარა, საბოლოოდ მიმართულია ქალის უმწეო მდგომარეობაში ჩასაყენებლად და ქალის ნების დათრგუნვის ხერხებს წარმოადგენენ და საბოლოოდ ქალის უმწეობას შედეგად მოსდევს გაუპატიურება. ქალის ნების წინააღმდეგობის დაძლევა, მისი უმწეო მდგომარეობაში ჩაყენება, სხვაგვარად დამნაშავეს გაუჭირდება პარტნიორთან (ქალთან) წინააღმდეგობის დაძლევა. მაგრამ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციის ტექსტში სიტყვები «დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით» გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა ქალის უმწეობა დამნაშავეს კი არ მომდინარეობს და მისი მოქმედებით კი არაა გამოწვეული, არამედ ქალი, დამნაშავესგან დამოუკიდებლად უკვე იმყოფებოდა უმწეო მდგომარეობაში; ასევე ისეთ შემთხვევას, როცა თვითონ დამნაშავემ მოიყვანა ქალი უმწეო მდგომარეობაში, რაც გამოიყენა შემდგომ მიზნის მიღწევის გაადვილებისათვის.

მეტად საინტერესოა ამსრულებლისა და თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხის სწორად გადაწყვეტა გაუპატიურების ჩადენის დროს, რათა სწორად დადგინდეს კონკრეტულ ფაქტზე თითოეულის მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, მათი ქმედების გავლენა შესაბამისად დამგდარ შედეგთან მიმართებაში. სამართლებრივად რატომ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ქალი გაუპატიურების თანაამსრულებლად და როგორ უნდა მოხდეს თანაამსრულებლისა და დამხმარის გამიჯვნა ერთმანეთისაგან. სწორედ ამ პრაქტიკულად პრობლემატური საკითხების იურიდიულ ანალიზი წარმოადგენს მოცემულ ნაშრომში მსჯელობის მთავარ მიზანს.

იმის გათვალისწინებით, რომ ისტორიულად მამაკაცი, დედაკაცთან შედარებით, სქესობრივი აქტიურობით გამოირჩეოდა, გაუპატიურების ობიექტად ყოველთვის ქალის სქესობრივი თავისუფლება გვევლინება და გაუპატიურების ჩადენის კანონით გათვალისწინებულ ხერხებსაც დამნაშავე სწორედ ქალის ნების საწინააღმდეგოდ მასთან სქესობრივი კავშირის დასამყარებლად იყენებს; გაუპატიურების უშუალო ამსრულებელი ყოველთვის მამაკაცია, რომელმაც დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს მარტოდ-მარტო, მოგვევლინოს ერთპიროვნულ ამსრულებლად ან სხვა ადამიანთან ერთად ან სხვა ადამიანის მეშვეობით განახორციელოს თავისი დანაშაულებრივი განზრახვა. სისხლის სამართლის თეორიაში განასხვავებენ ამსრულებლის სამ სახეს: უშუალო ამსრულებელი, თანაამსრულებელი და შუალობითი ამსრულებელი.

1. უშუალო ამსრულებლად გვევლინება პირი, რომელიც დანაშაულოს შემადგენლობას ასრულებს მარტოდმარტო, სხვა პირთა მონაწილეობის გარეშე;

2. თანამსრულებელია პირი, ვინც სხვასთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში;

3. შუალობითი ამსრულებელია პირი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა სხვა ადამიანის მეშვეობით და თავისი დანაშაულებრივი განზრახვის გასახორციელებლად მეორე ადამიანი გამოიყენა როგორც ბრმა, უნებისყოფო იარაღი. მიუხედავად ამისა შუალობითი ამსრულებელი მაინც პასუხს აგებს ჩვეულებრივ ამსრულებლის მსგავსად და სწორედ ამ «სხვა ადამიანის» მიერ ჩადენილი მას შეერაცხება ისე, თითქოს მას განეხორციელებინოს უშუალოდ დანაშაულის შემადგენლობა.

ამსრულებლობის ამ სამი სახიდან, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის დანიშვნისას, მეტად უფრო ბევრ პრობლემებს ქმნის თანამსრულებლობა და შუალობითი ამსრულებლობა. მაშინ როცა ორი დამნაშავის მოქმედებით ხდება გაუპატიურების ჩადენა, საინტერესოა მათ მიერ ჩადენილი ქმედების სწორად კვალიფიკაცია და მათი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის სწორად გადაწყვეტა მათი როლების გათვალისწინებით; ანუ როგორ უნდა გავარკვიოდ სამართლებრივად საკითხი იმის შესახებ, ხომ არ იყო გაუპატიურების ჩამდენი ამ ორი თანამონაწილიდან ერთ-ერთი მათგანი თანამონაწილე (დამხმარე) ან თანამსრულებელი. აღნიშნულს პასუხობს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის შინაარსი, რომლის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ შეასრულა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის რომელიმე მუხლით აღწერილი ქმედება. ამავე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, თანამსრულებლობის დროს ორივე დამნაშავე უნდა ასრულებდეს ერთი და იმავე მუხლით აღწერილ შემადგენლობას ან თუნდაც ერთ-ერთი ნაწილობრივ მაინც. სქესობრივი კავშირი თავისი ბუნებით სამედიცინო კატეგორიაა და როგორც მოგეხსენებათ, ნორმალურ, ფიზიოლოგიურ აქტს ნიშნავს მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის სასქესო ორგანოების მეშვეობით; სხვაგვარად ფაქტობრივად შეუძლებელია და ყველა სხვა უნდა შეფასდეს არა როგორც სქესობრივი კავშირი, არამედ სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით. მიუხედავად ამისა, თუ ორი თანამონაწილიდან ერთ-ერთი ქალია და მან გააკავა მსვერპლი, ხოლო მეორემ დაამყარა სქესობრივი კავშირი, გამკავებლის მხრიდან საქმე გვაქვს გაუპატიურების თანამსრულებლობასთან, ანუ გამკავებელი ფაქტობრივად ასრულებს გაუპატიურების, როგორც დანაშაულის საკანონმდებლო შემადგენლობას. მართალია, გამკავებელი ქალი არ ამყარებს უშუალოდ სქესობრივ კავშირს დაზარალებულთან, მაგრამ «ძალადობა», «ძალადობის» მუქარა და «უმწეო მდგომარეობაში მოყვანა» სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშნებია და მათგან თუნდაც ერთ-ერთის შესრულება საკმარისია ამ გამკავებელი ქალბატონის ამსრულებლად ჩათვლისათვის და სქესობრივი კავშირის დამყარება ორივე მოქმედი პირის მიერ მათი თანამსრულებლად აღიარებისათვის აუცილებელი არაა. თანამსრულებელია და არა დამხმარე ის, ვინც მხოლოდ იძალადა ან დაემუქრა, ხოლო მეორემ კი სქესობრივი აქტი დაამყარა ქალთან. იმის გათვალისწინებით, რომ თანამსრულებლობისათვის აუცილებელი არ არის სქესობრივი კავშირის დამყარება და საკმარისია მხოლოდ მსხვერპლისადმი ძლადობა, კვალიფიკაციისათვის აღარ აქვს მნიშვნელობა ამ ძლადობას ქალი ჩაიდენს თუ კაცი.

ანალოგიურად წყდება საკითხი იმ შემთხვევაშიც, როცა ქალი აქეზებს და ეხმარება 14 წელს მიუღწეველს ქალის გაუპატიურების დროს. იმ ფაქტს, რომ ქალს არ შეუძლია სქესობრივი კავშირი დაამყაროს ქალთან და იყოს გაუპატიურების უშუალო ამსრულებელი, არ გამოირიცხავს მის პასუხისმგებლობას ამ დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობის ან თანამსრულებლობისათვის. მთავარია, რომ ქალი გაუპატიურებულია და მასთან კავშირი ქონდა 14 წელს მიუღწეველს. დანაშაულის უშუალოდ ჩადენის შეუძლებლობა ფორმალური ნიშანია, რაც თავისთავად ვერ დაედება საფუძლად ამ დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობის შეუძლებლობას.

გაუპატიურების დროს დამხმარეა ის, ვინც სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის არც ერთ ნაწილს არ ახორციელებს: არ ემუქრება მსხვერპლს, არ ავლენს ძალადობას და არ აგდებს უმწეო მდგომარეობაში ქალს და, რა თქმა უნდა, არ ამყარებს სქესობრივ კავშირს. დამხმარე იქნება, მაგალითად, ის, ვინც ბინაში შეიყვანა ქალი იმ მიზნით, რათა იქ ის გააუპატიურონ ან რჩევა-დარიგება მისცა დამანშავეს. ასევე ჩაითვლება გაუპატიურების შუალობით ამსრულებლად დანაშაულის წამქეზებელი და ორგანიზატორი, მიუხედავად იმისა, რომ მათ სქესობრივი აქტი თვითონ, პირადად არ აღუსრულებიათ. ამ შემთხვევაში დამნაშავეს «ცოცხალი იარაღი» შეიძლება იყოს მცირეწლოვანი ან სულით ავადმყოფი, ვინც სისხლის სამართლის წესით პასუხს არ აგებს. შუალობით ამსრულებლად ჩაითვლება აგრეთვე მამაკაცი, რომელსაც სქესობრივი კავშირი ქალთან არ შეუძლია იმპოტენტობის გამო.

ამსრულებლობასთან და თანამონაწილეობასთან დაკავშირებული პრობლემატური სამართლებრივი საკითხები პრაქტიკაში თავს იჩენს მაშინ, როცა გაუპატიურების ჩადენა ხდება ჯგუფურად, ანუ როცა დანაშაულს ჩადის ორი ან მეტი პირი. მართალია გაუპატიურების, როგორც დანაშაულის სპეციალური შემადგენლობის ობიექტური მხარის საკითხი მსჯელობის სხვა საკითხს წარმოადგენს; მაგრამ, იმდენად რამდენადაც განსახილველი საკითხი უშუალოდ კავშირშია სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის ისეთ მაკვალიფიცირებელ გარემოებასთან, როგორიცაა გაუპატიურების ჩადენა «ჯგუფურად», მისი იურიდილი ანალიზიც მოგვიხდება ზემოაღნიშნული საჭიროებიდან გამომდინარე. ჯგუფურ დანაშაულზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლს, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, გაუპატიურება ჯგუფის მიერ ჩადენილად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ამ დანაშაულის ჩადენაში «წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი.» სიტყვები «ორი ან მეტი ამსრულებელი» ყოველგვარ ამსრულებლობას, მათ შორის თანამსრულებლობასაც გულისხმობს. ჯგუფურად გაუპატიურების კვალიფიცირური შემადგენლობის არსებობისათვის, აუცილებელია, რომ დანაშაულის ორი მონაწილე მაინც იყოს ამსრულებელი. სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი გარემოება «ჯგუფურად» გულისხმობს არა ჯგუფური დანაშაულის სამივე სახეს, არამედ მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულს წინასწარ შეუთანხმებელ დანაშაულის ჩამდენ ორ ან მეტ ამსრულებელს, ანუ გაუპატიურება რომ ჯგუფურად ჩადენილად ჩაითვალოს აუცილებელია უშუალოდ გაუპატიურებაში მონაწილეობდეს ორი ამსრულებელი მაინც სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის პირველი



ნაწილის დღეს მოქმედი რედაქციის შინაარსიდან გამომდინარე; ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დამნაშავეთა ჯგუფი წინასწარ უნდა იყვნენ შეთანხმებულები გაუპატიურების ჩასადენად, რა დროსაც ჯგუფის წევრებიდან მხოლოდ ერთი ამსრულებელიც კი საკმარისია და არაა აუცილებელი ყველა მონაწილე დანაშაულის ამსრულებელი იყოს.

ზემოაღნიშნულ მსჯელობას თუ ლოგიკურად გავავრცელებთ მოცემულ მაგალითზე დავინახავთ, რომ ზემოხსენებული პრობლემა ნამდვილად არსებობს დღევანდელ სასამართლო პრაქტიკაში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გორის რაიონული სასამართლოს განაჩენი, რომლის ძალითაც დაზარალებულ თამარ ო-ს ჯგუფურად, ძალადობითა და ძალადობის მუქარით გაუპატიურებაში დამნაშავედ იქნენ ცნობილი დავით ც. და ლევან ლ. დანაშაულისათვის, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-3-ე ნაწილის «გ» ქვეპუნქტით. მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების იურიდიული ანალიზიდან გამომდინარე, განსასჯელთა მიერ ჩადენილი ქმედებები დაკვალიფიცირდა არასწორად. კერძოდ, საქმეზე სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ ღამის საათებში დაზარალებულთან და მის ინვალიდ ქმართან მივიდნენ განსასჯელები. რომლებმაც ჯერ დაზარალებულის ქმარი გაიყვანეს მეორე ოთახში და მასთან დარჩა ერთი განსასჯელი, მეორე განსასჯელმა კი დაამყარა დაზარალებულთან სქესობრივი კავშირი ძალადობით, ხოლო ამის შემდგომ განსასჯელებმა როლები შეცვალეს და ახლა მეორე განსასჯელი დარჩა დაზარალებულის ინვალიდ მეუღლესთან, რომელიც პირველის მსგავსად მას ემუქრებოდა დანით, თუ ხმას ამოიღებდა მოკლავდა, ხოლო შემდგომ მეორე განსასჯელმა დაამყარა სქესობრივი კავშირი დაზარალებულთან. როგორც კაზუსიდან ჩანს, განსასჯელები არ იყვნენ თანაამსრულებლები, ვინაიდან მაშინ როცა ერთი განსასჯელი ახდენდა დაზარალებულის გაუპატიურებას, მეორეს არ შეუსრულებია არც ერთი ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილის შემადგენლობისა, მაშინაც კი როცა მათ როლები გაცვალეს. რაც შეეხება განსასჯელთა მხრიდან გაუპატიურებული ქალბატონის ქმრის მიმართ გამოვლენილ ძალადობას და ძალადობის მუქარას, შესაძლოა ამას მისცემოდა სხვაგვარი კვალიფიკაცია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გვადლევს გაუპატიურების ჯგუფურ შემადგენლობას, ვინაიდან განსასჯელთა მიერ განხორციელებული ძალადობა კონკრეტულ შემთხვევაში მიმართული იყო არა ქალის ნების წინააღმდეგობის დასათრგუნად, არამედ წარმოადგენდა ჩვეულებრივ დახმარებას ერთმანეთის მიმართ, საბოლოოდ მიმართულს დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად, რაც საბოლოოდ გამოვლინდა ჯერ ერთი განსასჯელის მიერ, ხოლო შემდგომ მეორეს მიერ მსხვერპლის გაუპატიურებისას. მითუმეტეს საქმეზე დადგენილი იყო, რომ თითოეულმა განსასჯელმა გაუპატიურება ჩაიდინა ძალადობით და ძალადობის მუქარით. ამიტომ სასამართლოს ისინი დამნაშავედ უნდა ეცნო არა სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მესამე ნაწილის 'გ' ქვეპუნქტით, არამედ თითოეული განსასჯელის მსჯავრდება უნდა მოეხდინა 137-ე მუხლის პირველი ნაწილით, ვინაიდან თითოეულმა დამოუკიდებლად ჩაიდინა სწორედ 137-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება და ამიტომ ეს შემთხვევა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის 24-ე მუხლზე მითითებას აღარ საჭიროებს; იმ შემთხვევაში კი, თუ ერთი განსასჯელის მიერ დაზარალებულის

გაუპატიურების შემდგომ მეორე არ დაამყარებდა კავშირს იმავე ქალთან, მაშინ ქმრის გამკავებელი პასუხს აგებდა როგორც დამხმარე კონკრეტულ დანაშაულებრივ აქტი-გაუპატიურებაში და მისი მსჯავრდება მოხდებოდა 137-ე მუხლის პირველი ნაწილით, ზოგადი ნაწილის 24-ე მუხლზე მითითებით. საყურადღებოა ასევე ის ფაქტი, რომ თითოეული განსასჯელის მიერ დაზარალებულის ქმრის მიმართ განხორციელებულ ძლადობას ადგილი ქონდა კონკრეტული გაუპატიურების აქტის დაწყებამდე და ვერ გახდებოდა გაუპატიურების შემადგენლობის ნაწილი ძლადობის სახით.

ჯგუფური გაუპატიურების თითოეული მონაწილის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლით. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები დაყოფილია ორ ჯგუფად: პირველ რიგს მიეკუთვნება ობიექტური გარემოებები, რომლებიც უმართლობისთვისაა დამახასიათებელი და პერსონალური გარემოებები, რომლებიც ამსრულებლის ან თანამონაწილისათვის არის დამახასიათებელი. თუ აღმოჩნდა ისეთი გარემოება, რომელიც მხოლოდ ერთი თანამონაწილის ქმედებას ახასიათებს, მას ბრალად შეერაცხება მხოლოდ მაშინ მეორე მონაწილესაც, თუ მას ეს გარემოება შეცნობილი ქონდა. ნებისმიერი პიროვნული ნიშანი ამძიმებს მხოლოდ იმ დამნაშავეს პიროვნების პასუხისმგებლობას, რომელსაც იგი გააჩნია და არა ჩადენილ უმართლობას.

ამდენად დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მაშინ როცა გაუპატიურების ამსრულებელი - შუალობითი ამსრულებლისა და თანაამსრულებლის სახით შესაძლოა ქალიც იყოს, სქესობრივი კავშირის ბუნებრივი ბუნება გამორიცხავს ქალის უშუალო ასრულებლობას. თუმცა პირველ ორ სახის ამსრულებლობის შემთხვევაში გაუპატიურების დროს ქალიც ისევე აგებს პასუხს, როგორც მამაკაცი. ხოლო მაშინ როცა, გაუპატიურების მონაწილე ისეთ ქმედებას ჩადის, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობით არ არის გათვალისწინებული, ასეთი მონაწილე ჩითვლება დამხმარედ, მისი მოქმედება დახმარებად და პასუხს აგებს არა როგორც თანაამსრულებელი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს გაუპატიურების დანაშაულებრივი შემადგენლობის განხორციელებაში, არამედ როგორც დამხმარე. ასევე მნიშვნელოვანი თავისებურებით გამოირჩევა ამსრულებლის და თანამონაწილის პასუხისმგებლობის საკითხი, რაზედაც ზემოდ უკვე გვქონდა საუბარი.

### *იოსებ გაბარაევი, დოქტორანტი*

#### **«გაუპატიურების კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი»**

მოცემულ ნაშრომში განხილულია სქესობრივი თავისუფლების (და არა სქესობრივი ხელშეუხებლობის) წინააღმდეგ მიმართული ისეთი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემები, როგორცაა გაუპატიურება, ანუ სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. დღევანდელ სასამართლო პრაქტიკაში მწვავედ დგას როგორც ქმედების

გაუპატიურებად კვალიფიკაციის ისე, გაუპატიურების თანამონაწილეობით ჩადენისას ამსრულებლის და სხვა თანამონაწილის პასუხისმგებლობის საკითი.

სწორედ ამ აქტუალური პრობლემის არსებობამ განაპირობა ჩემს მიერ გაუპატიურების, როგორც დანაშაულის საკანონმდებლო დეფინიციის მიმოხილვა და გაანალიზება. კერძოდ, სისხლის სმართლის კოდექსის 137-ე მუხლის დისპოზიციის შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელია თუ არა, რომ ქალი იყოს გაუპატიურების თანამსრულებელი, მაშინ როცა გაუპატიურების დაზარალებული ყოველთვის ქალია და ამ დანაშაულის ჩამდენ სუბიექტად თითქმის ყოველთვის მიჩნეულია მამაკაცი. საინტერესოა ასევე, თუ როგორ წყდება თანამსრულების ან თანამონაწილის პასუხისმგებლობის საკითხი გაუპატიურებაში თანამონაწილეობისას და რით განსხვავდება დამხმარე თანამსრულებლისაგან გაუპატიურების ჩადენის დროს.

ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში არის არსებული სასამართლო პრაქტიკის სრულყოფა მსგავსი კატეგორიის საქმეებზე შესაბამისი პრობლემური საკითხის მეცნიერული დასაბუთებისა და დღევანდელი სასამართლო პრაქტიკის რეალური მაგალითების გამოყენების გზით, რაც ასევე ხელს შეუწყოფს და დაეხმარება შემდგომ პროფესიულ საქმიანობაში იურტისტებსა და ამ საკითხით დაინტერესებულ სხვა პირებს.

*Иосиф Габараев, Докторант*

#### **«Некоторые вопросы по квалификации изнасилования»**

В данном труде рассмотрены проблемы квалификации таких действия, направленного против половой свободы ( а не половой неприкосновенности), как и есть изнасилование, то есть половое сношение с применением насилия или с угрозой его применения к потерпевшей или к другим лицам либо с использованием беспомощного состояня потерпевшей. В сегодняшней судебной практике остро стоит как вопрос квалификации действия как изнасилование, так и вопрос ответственности исполнителя и других соучастников при изнасиловании с соучастием.

Именно существование этой актуальной проблемы обусловило мое обобщение и анализ изнасилования как законодательной дефиниции преступления. В частности, исходя из содержания диспозиции статьи 137 Уголовного Кодекса Грузии, возможно ли, чтобы женщина была соисполнителем изнасилования, тогда как при изнасиловании потерпевшей является всегда женщина и субъектом совершившим это преступление, признан мужчина. Интересно также, как решается вопрос ответственности соисполнителя или соучастника при изнасиловании с соучастием и чем отличается пособник от соисполнителя во время изнасилования.

В данном случае наша цель – усовершенствование существующей судебной практики по делам подобной категории путем соответствующего научного обоснования проблемного вопроса и применения реальных примеров с сегодняшней судебной практики, что также будет способствовать и поможет в дальнейшем в профессиональной деятельности юристам и другим, заинтересованным этим вопросом, лицам.

*Ioseb Gabaraevy , PHD student*

### “Some of the questions of qualified rape“

In the given work is discussed problems concerning to qualification of crime such as crime against sexual freedom (not sexual integrity), rape. In according with the criminal code, rape is defined as a sexual connection violently, threateningly of forcible or use defenseless of victim. Nowadays, one of the most crucial issues in practice is qualification of rape and responsibility of executor and accomplice in case when crime is committed by complicity.

Because of the existing problem of qualification of rape as a crime, it was necessary to discuss and analyze legislative definition of rape is in this work. In particular, according with the article 137 of criminal code of Georgia is there any possibility that a female consider as a co-executor of rape, in such circumstances, when the victim of such crime is always female and the subject of crime almost in any cases is male. In addition, it is important to learn imposition of responsibility for co-executor and accomplice in complicity of rape and what is the difference between helper and co-executor committing rape.

Our aim is to improve practical defects based on scientific substantiation and cases. It will be helpful and productive for lawyers and other interested persons for their future activities.

### ლიტერატურა

1. თ. წერეთელი. თანამონაწილეობა დანაშაულში. თბ., 1993;
2. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბ., 2008;
3. თ. წერეთელი. სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი II, თბ., 2007;
4. ო. გამყრელიძე. დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა. თბ., 1974;
5. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I) /გ. ტყემელიაძის რედაქციით. თბ., 2006.

## არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის ბიოლოგიური მიმართულება და სასჯელის აღსრულების პრობლემები

ფსიქოლოგიური და სოციოლოგიურ მოდელების გარდა არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის ბიოლოგიურმა მოდელმაც გავლენა მოახდინა სასჯელის მიზნის გაგებაზე. დამნაშავე აღიქმება არა როგორც კანონის დამრღვევის, არამედ როგორც სფრთხის მატარებელი, სასჯელი – როგორც კლინიკური მეთოდი, ხოლო პენიტენციალური დაწესებულება კი – როგორც \_ კლინიკა. ეს იდეა წარმოიშვა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში და მას საფუძველი ჩაუყარეს ე. ფერმა და რ. გაროფალომ. მას ინტენსიურად უჭერდნენ მხარს მე-20 საუკუნის 40-იან წლებში. 1948 წელს გაეროს სოციალური დაცვის კომისიამ მხარი დაუჭირა იტალიელი მეცნიერის ფ. გრამატიკის კლინიკურ პროგრამას.

კლინიკისტების მთავარ მიზნად მიიჩნეოდა სამართალდამრღვევთა რესოციალიზაცია. მათი აზრით, დამნაშავის ხელახლა აღზრდა და სოციალიზაცია უფრო ეფექტურად იცავს საზოგადოებას დანაშაულისაგან, ვიდრე სასტიკი დამსჯელი ზომები. წამოყენებული დებულებები 1948 წელს ჩამოყალიბდა გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენციაში. ეს საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი განსაზღვრავდა ბავშვების განათლების, კულტურული მიღწევებით სარგებლობის, დასვენების, თავისუფალი დროის ქონების და გაეროს წევრ სახელმწიფოთაგან სხვა მომსახურების მიღების უფლებას. კონვენცია ბავშვის უფლებათა შესახებ წარმოადგენს პირველ და ძირითად საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტს, რომელშიც ბავშვის უფლებები განიხილებოდა საერთაშორისო სამართლის დონეზე. დოკუმენტი შედგება 54 მუხლისაგან, სადაც დეტალიზირებულია ნორჩ მოქალაქეთა ინდივიდუალური უფლებები დაბადებიდან 18 წლის ასაკამდე, კონვენცია იცავს ბავშვს შიმშილისა და სისასტიკისაგან, ექსპლუატაციისა და სხვა ბოროტ ქმედებათაგან, აძლევს მას საკუთარი შესაძლებლობების სრული განვითარებისათვის შესაძლებლობას თავოსუფალ პირობებში. კონცეფცია ბავშვის უფლებათა შესახებ რატიფიცირებული იქნა გაეროს წევრი ყველა ქვეყნის მიერ გარდა აშშ-ს და სომალისა.

ამრიგად, პიროვნების სოციალური საშიშროების კონცეფცია იძლეოდა გარკვეულ პოზიტიურ შედეგებს იმ ასპექტში, რომ პენიტენციალურ დაწესებულებების ყურადღებას, მოზარდის უნარების გამოკვლევის აუცილებლობისაკენ და სასტიკი სასჯელებზე უარის თქმისაკენ მიმართავდა. მაგრამ ამ ლიბერალურ მიმართულებას ყველა როდი უჭერდა მხარს. მისი წინააღმდეგი იყვნენ «ქცევის მოდიფიკაციის» მომხრეები. ეს კონცეფცია სთავაზობდა ციხეებში ისეთი მეთოდების დანერგვას, როგორცაა: ელექტრული შოკი, ჰიპნოზური ზემოქმედება, სენსორული დეპრივაცია, ფსიქოქირურგია, პირისღებინების საშუალებები, გენური ინჟინერია, ელექტროფიზიოლოგია, განაჩენები განუსაზღვრელი სანქციებით, ტვინში ჩანერგილი ელექტროდები, ავერსიული თერაპია, წამლით მომსახურება, ქცევის ინჟინერია და ა. შ. ამ მეთოდების დანერგვა შედიოდა სახელმწიფო პროგრამებში. ასე მაგალითად, აშშ-ში

ქვევის კონტროლის პროგრამებში დიდ მონაწილეობას იღებდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო. დცს-ის ადამიანთა ქვევის კონტროლის 14-წლიანი პროექტი ასევე დასაშვებად მიიჩნეოდა არასრულწლოვან დევინტებზე ზემოქმედებას ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური საშუალებების დახმარებით [1]. ცენტრალური საფინანსო-საკონტროლო სამმართველოს მონაცემებით, მსგავსი პროექტებისათვის გამოყოფილი იყო უზარმაზარი თანხები, კერძოდ, ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში დაფიქსირებული იყო დოტაციისა და კონტრაქტების 70 ათასზე მეტი შემთხვევა; 10 ათასი – შრომის სამინისტროს ფარგლებში და რამოდენიმე მილიონი დოლარის ათასობით პროექტი, რომლებიც თავდაცვის სამინისტრომ, აერონავტიკისა და კოსმური სივრცის კვლევის ეროვნულმა სამმართველომ და ატომური ენერჯის კომისიამ დააფინანსეს. კალიფორნიის უნივერსიტეტთან, ლოს-ანჯელესში იზოლირებულ გარემოში ტარდებოდა «არასასურველი» ქვევის შეცვლის ექსპერიმენტები. აშშ-ს კონგრესის ერთ-ერთ ქვეკომისიაში ჩვენებების მიცემისას ციხეების ფედერალური სისტემის დირექტორმა ნ. კარლსონმა განაცხადა, რომ ქვევის მოდიფიკაცია ბევრი ისეთი პროგრამის განუყოფელი ნაწილია, რომლებსაც დამოკიდებულება აქვთ ციხეებთან. როგორც კონგრესის ამ კომისიამ დაადგინა, ამოქმედებული იყო ქვევის 400-მდე პროექტი, რისი ღირებულებაც რამდენიმე ათას დოლარს შეადგენდა. ერთ-ერთი პროექტის რეალიზება ხდებოდა პუერტორიკოს უნივერსიტეტში, სადაც ხდებოდა ახალგაზრდა დამნაშავეების ნევროლოგიური კვლევები და დგინდებოდა კავშირი დანაშაულ მიდრეკილებებსა და ტვინის დაავადებას შორის [1].

გამონაკლისს არც სხვა ქვეყნები წარმოადგენდნენ. ასე მაგალითად, საფრანგეთში სასჯელის აღსრულება ზოგიერთ მეცნიერს ესმოდა, როგორც სამედიცინო და ფსიქოტრავმული საშუალებების გამოყენება. ფრანგ კრიმინოლოგ პინატელს მიაჩნდა, რომ არსებობს დანაშაულებრივი უნარი. იგი შეიძლება იყოს მაღალი, საშუალო და დაბალი. საშუალო და დაბალი უნარი ექვემდებარება გამოსწორებას აღზრდის გზით, ხოლო მაღალი არ ექვემდებარება. მისი აზრით, პიროვნებათა ამ კონტიგენტის მიმართ საჭიროა ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენება [7.17]. ამის შედეგად, გარდა ფსიქოანალიზისა, ციხეებში გზა ეხსნებოდა ელექტროშოკის, ლობოტომიის, ტალამოტომიის, მედიკამენტოზური ზემოქმედების, ქირურგიული მეთოდების დანერგვას. სასჯელის აღსრულება პატიმრების კლინიკურ წამებად გადაიქცა, რაც მთლიანად ეწინააღმდეგებოდა იმ მიმართულებას, რომელიც წინა პლანზე აყენებდა უფრო რესოციალიზაციურ ზომებს.

უნდა აღინიშნოს, რომ 70-იან წლებში კლინიკურ მეთოდებს გაერომაც კი დაუჭირა მხარი, რომელიც აღნიშნავდა: «სამართალდამრღვევებზე ზედამხედველობის და მათი ფიზიკური კონტროლის მეთოდები სულ უფრო სრულყოფილი ხდება ელექტრონიკის მოწინავე მიღწევების, ბიხევიორისტული მეცნიერებების სწრაფი განვითარების და ნაირფეროვანი ფსიქოტრონული სამკურნალო საშუალებების აღმოჩენის წყალობით. ეს ქმნის საპოლიციო და გამოსწორებითი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების ახალ საშუალებებს, რაზეც წინა თაობებს ოცნებაც კი არ შეეძლოთ» [2. 1-15].

«ქვევის მოდიფიკაციის» კონცეფცია ხელს უწყობდა ელექტროშოკის აქტიურ გამოყენებას. მიაჩნდათ, რომ იგი ახდენს მეხსიერების და დამნაშავის მთელი

პიროვნების რეგენერაციას. წესრიგის დამრღვევ პატიმარზე მკურნალობის საბაზით ახდენდნენ ზეგავლენას ელექტრონული მუხტის საშუალებით. ამ მიზნებისათვის იყენებდნენ ლითონის ძაბვის ქვეშ მყოფ ღერაკს, (დენის ძალის რეგულირება შეიძლებოდა დასასჯელის ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად და სამართალდარღვევის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით). ტექნიკის განვითარების კვალობაზე ელექტროშოკის გამოყენების მეთოდის სრულყოფილი ხდებოდა. ციხის წესების დარღვევისას აღმზრდელი (მოზარდების ციხეში) აგზავნიდა სიგნალს და მიმღები ასტიმულირებდა ელექტროგანმუხტვას – დამრღვევი განიცდიდა ელექტროშოკის ზემოქმედებას და მასში ფიქსირდებოდა უარყოფითი დამოკიდებულება აკრძალულ მოქმედებათა მიმართ.

«ქვევის მოდიფიკაციაში» ბევრი რამ ეფუძნებოდა ფსიქოლოგ ბ. ფ. სკინერის თეორიას. გაზეთმა «ნიუ-იორკ ტაიმსმა» გამოაქვეყნა ცნობა, რომ სამართალგამოყენებითი საქმიანობის ხელშეწყობის ადმინისტრაცია «პენსილვანიის გამოსასწორებელ ცენტრს გამოუყოფს სახსრებს ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა ქვევის მოდიფიკაციის პროგრამისათვის, რომელიც ეფუძნება ექიმ ბ. ფ. სკინერის გამაგრების პრინციპებს. ამასთან, გამაგრება ანუ დაჯილდოება მიეცემა იმ სტადიაზე, როცა ადამიანი იქცევა დაპროგრამებული ქვევის შესაბამისად».

«ქვევის მოდიფიკაციას დამატებით მეცნიერულ წონას აძლევს ახალი სამკურნალო პრეპარატები, აღმოჩენები ტვინის კვლევის სფეროში, ნეიროქირურგიის ახალი მეთოდები და ასევე ახალი წარმატებები ელექტრონიკასა და ელექტროფიზიოლოგიაში. კენეტის უტის შტატში ახალგაზრდა პატიმრებს ელექტროდენით დარტყმას აყენებენ, როცა ისინი სლავდები ათვალისწინებენ, რითაც «არასასურველი» ქვევის დემინსტრაციას ახდენენ; ეს პროცესი შეთავსებულია ჰიპნოზთან. ამრიგად, «ქვევის მოდიფიკაცია» იძენს სულ უფრო მეტ მეცნიერულ სახეს, ხოლო მისი პრაქტიკა ადამიანებისათვის სულ უფრო მისაღები ხდება [1].

იელის უნივერსიტეტის პროფესორის ხოსე მ. დელგადოს აზრით, აგრესიული დამნაშავეების ტვინში უნდა ჩაინერგოს მომცრო მონეტის ზომის მიკროხელსაწყო, რომელიც მიიღებს ტვინის აგრესიულ უბანთან დაკავშირებულ ელექტრისიგნალს და რადიოტალღების დახმარებით ინფორმაციას გადასცემს კომპიუტერზე. ტვინის ელექტრული აქტიურობის საშიში მაჩვენებლისას კომპიუტერი რადიოთი გადასცემს ბრძანებას ჩანერგილ ხელსაწყოს განახორციელოს ელექტრომუხტებით შეტევა ტვინის გარკვეულ უბნებზე. კრიტიკულ სიტუაციაში ელექტროდენის მუხტებს შეუძლია დაამშვიდოს ადამიანი [5. 17-21].

მეორე, არანაკლებ სასტიკი სასჯელი იყო დამრღვევის მოთავსება კარცერის ტიპის ცალკე საკანში, რამდენიმე დღით პატიმრების მიზმა საწოლზე ან ფიცარზე ისე, რომ მათ ბუნებრივი მოთხოვნის ნორმალურად დაკმაყოფილებაც არ შეეძლოთ. არცთუ იშვიათად პატიმრებს ურჩევნოდათ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინათ, ვიდრე მონაწილეობა მიეღოთ ქვევის მოდიფიკაციის ექსპერიმენტებში. მისურის შტატის სპრინგფილდის ციხეების სამედიცინო ცენტრის ბიურო იყენებდა სენსორულ დეპრივაციას: «უდისციპლინო» პატიმრებს ათავსებდნენ ციფერბლატის მსგავს მრგვალი ფორმის მქონე ერთადგილიან საკნებში, რადიოსა და ლიტერატურის გარეშე, ხოლო შემდეგ, თუ პატიმრები იქცეოდნენ წესების შესაბამისად, ისინი თანდათანობით

გადაჰყავდათ ერთი «დონიდან» მეორეზე, რომელთაგან თითოეულს წინაზე მეტი პრივილეგიები ჰქონდა.

ამ პროგრამის მიხედვით (START, Special Treatment and Rehabilitation Training – სწავლება სპეციალური მკურნალობისა და რეაბილიტაციის საშუალებით), პატიმრები რამოდენიმე თვის და წლის განმავლობაში ჰყავდათ ასეთ ერთადგილიან კამერებში იმის გამო, რომ მათ უარი თქვეს ყოფილიყვნენ «რობოტები.»

პატიმართა კავშირმა მერიონის ფედერალურ ციხეში გამოაქვეყნა გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსათვის წარდგენილი მოხსენება, სადაც ფსიქოთერაპიის სეანსები ასეა აღწერილი: «ასეთი სეანსების დროს თანდათანობით იზრდება ფსიქოლოგიური ზემოქმედების ხარისხი. პატიმარს უყვირიან, თამაშობენ მის შიშებზე, დასცინიან მის მგრძნობელობას და დიდ ძალას ახმარენ იმას, რომ მან თავი დამნაშავედ იგრძნოს რეალურ ან წარმოსახვით საქციელში... ყველანაირ ზომას ხმარობენ, რომ გააძლიერონ ჩაგონებაზე მისი რეაგირება და შეასუსტონ მისი ხასიათის სტრუქტურა, რომ შემდეგ რაც შეიძლება მეტად დაუმორჩილონ პატიმრის ემოციური რეაქციები და აზრები ციხეების ჯგუფებს ან პერსონალს» [1].

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სასჯელის აღსრულების სხვა სასტიკი მეთოდების გამოყენებას. ლაპარაკია მედიკამენტების გამოყენების პრაქტიკაზე მოზარდების დასჯისას. რეჟიმის ბოროტ დამრღვევებს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში უკეთებდნენ სუქცენილხოლინს, რის შედეგადაც მათ სუნთქვა უძნელდებოდათ და ისინი განიცდიდნენ საშინელ წამებას, რაც დაკავშირებული იყო სუნთქვის ორგანოების მცირეხნიან პარალიზებას. კლინიკებს მიაჩნდათ, რომ ასეთი ზემოქმედების შედეგად პატიმარს ებადება შიშის გრძნობა და იგი ადვილად მართვადი ხდება; წამლის გამოყენების შიშით იგი ასრულებს ნებისმიერ ბრძანებას.

სასჯელის მედიკამენტოზურ აღსრულებას კლინიციკები ასაბუთებდნენ ნეიროფიზიოლოგიური დებულებით, რომ აგრესიულობასა და ტვინის თავისებურ ფიზიოლოგიას შორის არსებობს კავშირი. ასე მაგალითად, ვ. მარკს და ფ. ერინს მიაჩნდათ, რომ მოზარდთა უმარტავი აგრესიულობის მიზეზები შეიძლება იყოს ან ტვინის ელექტრული მოქმედების ანომალია, ან სოციალური და კულტურული გარემო, რამაც ჯერ კიდევ ადრეული ბავშვობის პერიოდში იქონია გავლენა ახალგაზრდა პატიმრის ტვინზე. ამის გამო იგი ხშირად გრძნობს თითქოს მოახლოებულ საფრთხეს და ამის მოსახსნელად საჭიროა დამაწყნარებელი პრეპარატები [6.32]. მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორი ჯ. მაკ-კონელი წერდა, რომ «დადგება დღე, როცა ჩვენ შევძლებთ მოვახდინოთ სენსორული დეპრივაციის კომბინირება სამკურნალწამლო თერაპიასთან, ჰიპნოზთან და წახალისებისა და დასჯის ქმედით სისტემასთან, რომ მივაღწიოთ ინდივიდის ქცევის თითქმის სრულ კონტროლს» [1]. ზიზლის გამომწვევ, ძლიერ მოქმედ სამედიცინო პრეპარატებს ციხის ფსიქოლოგები და ხელისუფლება სისტემატურად იყენებენ «ქცევის მოდიფიკაციის» პროგრამებში. აიოვას შტატის ციხეებში ქცევის მოდიფიკაციის პროგრამებში ციხის ქცევის წესების დამრღვევ პატიმრებს მათი თანხმობის გარეშე უკეთებდნენ პრეპარატს – აპომორფინს. «თხუთმეტი წუთის შემდეგ მათ ეწყებოდათ შეუჩერებელი პირღებინება, რომელიც გრძელდებოდა 15 წუთიდან ერთ საათამდე. იმავდროულად წარმოიქმნებოდა დროებითი დარღვევები გულ-სისხლძარღვებში, მათ შორის სისხლის წნევის



ცვლილებები და გულის მოქმედების დარღვევა». კალიფორნიის შტატის ქალაქ ვეიკლენდის სამედიცინო კოლეჯში «ურჩ» ახალგაზრდა პატიმარს უკეთებდნენ პრეპარატ ანექტინს, რომელიც იწვევდა სუნთქვის ორი წუთით შეჩერებას და ამ დროის განმავლობაში თერაპევტი მას ესაუბრებოდა მისი «დანაშაულების» შესახებ [1].

«ქცევის მოდიფიკაციის» კონცეფციის ფართოდ გამოყენება დაიწყო აშშ-ს სასკოლო სისტემაში ე. წ. ჰიპერაქტიური ბავშვების მიმართ, რომელთაგან ბევრი განიცდის მოწყენილობას, მოუსვენრობას, ეწინააღმდეგება რასიზმს ან ფრუსტირებულია სკოლის მიერ. ახლა «ჰიპერაქტიურობამ» მიიღო დაავადების იარლიყი, რომელსაც უნდა ვუმკურნალოთ სამედიცინო საშუალებებით; დადგენილია, რომ 200 ათასიდან 300 ათასამდე ბავშვი ღებულობს ფსიქომასტიმულირებელ საშუალება რიტალს ამ «დაავადების» სამკურნალოდ.

«ქცევის მოდიფიკაციის» კონცეფცია შესაძლებლად მიიჩნევა ლობოტომიას და ტალამოტომიას-ფსიქოქირურგიულ ოპერაციებს ტვინის იმ უბნების ამა თუ იმ ხერხით მოსაცილებლად, რომლებიც, ექიმების აზრით, განაპირობებენ აგრესიულობას. პაციენტის თავის ქალაში ბურღავენ რამდენიმე ნახვრეტს, ტვინის სხვადასხვა წერტილებში შეჰყავთ ენცეფალოგრამაზე შეერთებული მავთულები, ანადგურებენ განსაკუთრებული ელექტრული აქტიურობის ზონებს – ან მექანიკურად (გაკვეთის ან მოცილების გზით), ან ამოწვავენ სპეციალური საშუალებით, რომელიც ხორციელდება იგივე მავთულის დახმარებით, ან ტვინის ქსოვილს კლავენ ულტრაბგერით. პირველად ლობოტომიის ოპერაცია ჩაატარა პორტუგალიელმა ნეიროქირურგმა ეგას მონისმა. ასეთი ოპერაციის დახმარებით მოხერხდა მთელი რიგი პირების აგრესიულობის დაწევა. მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, აშშ-ში მოცემული მეთოდი ფართოდ გამოიყენებოდა და არა მარტო დამნაშავეთა მიმართ. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, პაციენტისათვის ფსიქოქირურგიული ოპერაციის გაკეთება უფრო ჰუმანურია, ვიდრე მისი ციხეში ხანგრძლივი ვადით გაგზავნა. ფსიქოქირურგიული ოპერაციები ტარდება პაციენტების თანხმობით, მაგრამ თავისუფლებააღკვეთილი პირების თანხმობა, რომლებსაც აღენიშნებათ ფსიქიური ანომალიები, ნაკლებად მისაღებია მხედველობაში. დამნაშავეობასთან ბრძოლის ამ მეთოდებს განუწყვეტლივ აკრიტიკებს საზოგადოება და მეცნიერები. კლინიკური კრიმინოლოგიის მიერ შემუშავებული ქირურგიული მეთოდები, გარდა კასტრაციისა და სტერილიზაციისა, არ სარგებლობენ მეცნიერ – კლინიკისტა უმრავლესობის მხარდაჭერით. ვ. ფოქსის მონაცემებით, 1968 წლისათვის აშშ-ს ციხეებში ჩატარებული იყო სტერილიზაციის 65 ათასი ოპერაცია [3.183].

პატიმრების შუამდგომლობა ამ ზომების მიღების წინააღმდეგ განიხილა აშშ-ს სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც ამ «მკურნალობას» უწოდა სასტიკი და არაადამიანური სასჯელი, რომელიც ეწინააღმდეგება ამერიკის კონსტიტუციის მე-8 შესწორებას. მიუხედავად ამისა, კალიფორნიის შტატში რ. რეიგანის გუბერნატორობის დროს ქირურგიული ოპერაციები გამოიყენებოდა პოტენციურად სასტიკი მოზარდი ქალების მიმართ, რომლებსაც ქირურგიული გზით აცილებდნენ ჰორმონალურ ორგანოებს. განსაკუთრებით სასტიკ ხასიათს ატარებდა ფსიქოქირურგიის გამოყენება ბავშვებზე. ექიმმა ორლანდო ენდიმ, მისისიპის შტატის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტიდან, ცხრა წლის ბიჭს გაუკეთა ტალამუსის ოპერაცია მისი ქცევის

დარღვევების განკურნების მიზნით. ექიმმა ენდიმ კიდევ სამჯერ გაუკეთა ბავშვს ოპერაცია, ვიდრე «მას არ აღენიშნა ქცევის გაუმჯობესება». რამდენიმე წლის შემდეგ ექიმმა ენდიმ განაცხადა: «მაგრამ ინტელექტის თვალსაზრისით, პაციენტს აღენიშნება აშკარა დეგრადაცია» [1]. მარკმა და ერიკმა თავიანთ წიგნში «ძალადობა და ტვინი» განავითარეს რასისტული წინადადება, სადაც ისინი განსაკუთრებით მოძრავი ბავშვებისათვის ფსიქოქირურგიას გვთავაზობენ. ესაა ჩვეულებრივი განსაკუთრებით მოძრავი ბავშვები ორგანული ცვლილებების გარეშე. მათი განსაკუთრებული მობილურობა, როგორცაა აღიარებული, გამოწვეულია მონოტონურობით, რასიზმით, ცარიელი და უმიზნო სწავლებით, რომელიც დამახასიათებელია აშშ-ს სკოლების უმრავლესობაში. იმის გათვალისწინებით, რომ მარკისა და ერიკის შეფასების თანახმად, არსებობს 2,5 მილიონი განსაკუთრებით მოძრავი ბავშვი, მათი წინადადება შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ბარბაროსული [1].

ფსიქოლოგიური წამების მეთოდს წარმოადგენს გაურკვეველი განაჩენები (თავისუფლების აღკვეთა მანამდე, ვიდრე ექიმთა, როგორც წესი, ფსიქიატრების კომისია არ გამოიტანს დასკვნას საშიში მდგომარეობის დაკარგვის შესახებ). ეს პრაქტიკა 70-იან – 80-იან წლებში ფრიად გავრცელებული იყო მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც პატიმართა 80 პროცენტი სასჯელს იხდიდა განუსაზღვრელი განაჩენით. ასეთი განუსაზღვრელი განაჩენი ხდება პატიმრებზე ზემოქმედების მძლავრი საშუალება, ამასთან, ციხის ადმინისტრაციას შეუძლია გააკონტროლოს პატიმართა ქცევა პატიმრობის ვადის გაზრდით ან შემცირებით [1].

«ქცევის მოდიფიკაციის» კონცეფცია უშვებდა დევიანტებზე, როგორც კრიმინოგენული ბოროტების მატარებლებზე, ზედამხედველობის სისტემას. კრიმინოლოგების მონაცემებით, ამერიკის ციხეებში მყოფი არასრულწლოვანი პატიმრების ერთ მეოთხედ პროცენტს საერთოდ არ ჩაუდენია არანაირი დანაშაული და იმ პირთა რიცხვში, ვინც ზედამხედველობას საჭიროებს, იმ საფუძვლით მოხვდნენ, რომ გვიანობამდე ხეტიალობდნენ ქუჩაში, თამბაქოს ეწეოდნენ სასწავლო დაწესებულებაში, არ დადიოდნენ სკოლაში. მშობლების შუამდგომლობით ურჩ არასრულწლოვანებს აშშ-ში ათავსებდნენ ხელახლა აღზრდის სპეციალურ ცენტრში, სადაც ციხის მსგავსი რეჟიმი იყო. აშშ-ში ყოველწლიურად ბევრ არასრულწლოვანს აპატიმრებენ შემდეგი დიაგნოზის საფუძველზე – «ბავშვები, რომლებიც ზედამხედველობას საჭიროებენ». ძნელად აღსაზრდელები ჰყავთ დამნაშავეებთან ერთად ე. წ. გამოსასწორებელ სკოლებში, სადაც მათ ამზადებენ პროფესიონალური დამნაშავეების კარიერისთვის [4. 90-130].

ამერიკის შეერთებულ შტატებში რ. ნიქსონის პრეზიდენტობის პერიოდში შეეცადნენ შეესწავლათ ყველა ბავშვი და მოზარდი და მათ, ვინც რაიმე ნიშნით ეჭვმიტანილი იქნება, როგორც საშიში მდგომარეობის მატარებელი, მოათავსებენ ანალოგიურ ცენტრებში ქცევის სოციალურად მისაღები ნორმების ჩასანერგავად [4. 90-130].

ფედერალური ხელისუფლების და ცალკეული შტატების ადმინისტრაციის მფარველობის წყალობით «ქცევის მოდიფიკაციის» კონცეფციამ ფართო გავრცელება ჰპოვა ფსიქოლოგებს, მასწავლებლებს, სოციალურ მუშაკებს, დაწესებულებათა ხელმძღვანელებს და ა. შ. შორის. ჩატარდა ათობით კონფერენცია თემაზე «ქცევის მოდიფიკაცია», მრავალმა მშობელმა ისწავლა იქ შეთავაზებული მეთოდის გამოყენება. ათასობით სკოლამ აშშ-ში დაიწყო «ქცევის მოდიფიკაციის» პრაქტიკული გამოყენება.

როგორც ვარაუდობდნენ, სკოლა წარმოადგენს იდეალურ გარემოს სამედიცინო და სხვა მეთოდების აპრობაციისათვის, რადგანაც მილიონობით ბავშვმა უნდა იარის სკოლაში კვირაში ხუთი დღე და გაატაროს იქ ექვსი საათი ათი წლის განმავლობაში; თავისთავად ცხადია, რომ მასწავლებლებმა უნდა გააკონტროლონ და შეცვალონ ბავშვების ქცევანებისმიერი შესაძლებელი ხერხით. არსებითად სკოლის მეთოდები არაფრით განსხვავდებოდა იმ მეთოდებისაგან, რომლებიც გამოიყენებოდა მოზარდთა მიმართ ციხეებში [1].

უნდა ითქვას, რომ სკოლები და ციხეები კლინიცისტების მიერ გადაქცეული იყო საექვო პრევენციული ზომების ლაბორატორიებად. ასე მაგალითად, კალიფორნიის უნივერსიტეტში დაიწყო გამოკვლევების ჩატარება, სახელწოდებით «ოჯახის და ღარიბთა შორის დამაბულობის მიზეზების სტრუქტურები». თანამშრომლებს დაევალი ინდივიდებისა და ჯგუფების, მემბოხების ჩათვლით საქმიანობის კონტროლისათვის საჭირო მეთოდების შემუშავება. ამ პროექტის ერთ-ერთი მიზანი იყო «პრევენციული მოდელების დემონსტრაცია და სახელმწიფო სკოლების პროგრამებში ჩართვა, გამოსასწორებელი დაწესებულებების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა». ეს მიდგომა განსაკუთრებული ინტენსიურობით გამოიყენებოდა ამ ოჯახებიდან გამოსული დევიანტი მოზარდების მიმართ.

70-იანი წლებიდან მთელ მსოლიოს საზოგადოებრიობა ინტენსიურად ებრძვის კლინიკური მეთოდების გამოყენების მცდელობას პატიმრების და განსაკუთრებით მოზარდების მიმართ. ასე მაგალითად, დეტროიტში შეიქმნა სპეციალურად ჩამოყალიბებული კავშირი ქცევის მოდიფიკაციის წინააღმდეგ. ამ მეთოდების წინააღმდეგ გამოვიდა მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია: შავი ადვოკატების ეროვნული კონფერენცია, ფსიქოლოგები სოციალური მოქმედებებისათვის ბრძოლაში, ციხეების ეროვნული ცენტრი, სამედიცინო კომიტეტი ადამიანური უფლებებისათვის, ქრისტიანული ამერიკული კავშირი სამოქალაქო თავისუფლებებისათვის, ფერადკანიანი მოსახლეობის პროგრესის ხელშემწყობი ეროვნული ასოციაცია, მექსიკურ-ამერიკული პოლიტიკური ასოციაცია, ქალთა ეროვნული ორგანიზაცია, ციხეთა კალიფორნიის კავშირი და სხვ [1].

ამ მეთოდების შემცვლელებად ჩნდება არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პრევენციის ფსიქოლოგიური პროგრამები. ამასთან გარდამავალ, შუალედურ ხასიათს ატარებს სოციობიოლოგიური პროგრამები, რაც განხილვის დამოუკიდებელ თემას წარმოადგენს.

## **ლაშა მინდაძე, დოქტორანტი**

### **არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის ბიოლოგიური მიმართულება და სასჯელის აღსრულების პრობლემები**

სტატიაში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ბიოლოგიური მოდელი თანამედროვე ქვეყნებში ორ ძირითად კონცეფციაშია

გამოხატული. რესოციალიზაციის პრინციპი პენიტენციალური ორგანიზაციების საქმიანობაში გამორიცხავს სასტიკი სასჯელების გამოყენებას. ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია ბიოლოგ-მედიკოსთა მიერ არასრულწლოვანთა ასკობრივი თავისებურებების ანალიზი. რესოციალიზაციის კონცეფცია ეფუძნება ბავშვთა უფლებების დაცვის გაეროს 1948 წლის კონვენციას.

ამ მიმართულების საპირისპიროდ «ქმედების მოდიფიკაციის» კონცეფციის მიმდევრები, ცდილობდნენ ციხეებში დაენერგათ ისეთი მეთოდები, როგორცაა: ელექტრო შოკი, სენსორული დეპრივაცია, ფსიქოქირურგია, გენური ინჟინერია, ელექტროფიზიოლოგია, ტვინზე ელექტროდებით ზემოქმედება, ავერსული თერაპია, მედიკამენტური ზემოქმედება, ქმედების ინჟინერია და ა. შ. სამწუხაროდ, ეს მეთოდები სახელმწიფო პროგრამაშიც კი იქნა შეტანილი. განსაკუთრებით ისინი განვითარდნენ აშშ-ში. თანამედროვე ეტაპზე აღნიშნული ბიოლოგიური მეთოდები უარყოფილია ბევრ ქვეყანაში და ისინი განიხილება, როგორც ადამიანის წამებისა და ღირსების შემლახავი ქმედებები. ამასთან დაკავშირებით სტატიაში კრიტიკულადაა განხილული კლინიციზმის კონცეფცია.

*ლაშა მინდაძე, დოქორანტ*

#### **Биологическое направление превенции преступности несовершеннолетних и проблемы исполнения наказания**

В статье отмечается, что биологическая модель превенции преступности несовершеннолетних в современных странах реализуется в виде двух концепций. Концепция ресоциализации ориентировала пенитенциарные учреждения на необходимость исследования способностей подростка и отказ от жестких наказаний. И в этом смысле медико-биологический анализ способностей подростков был вполне важен. Положения, выдвинутые концепцией ресоциализации, легли в основу Конвенции ООН о правах ребёнка 1948 года.

Против этого направления были сторонники концепции «модификации поведения», которые предлагали внедрять в тюрьмы такие методы как: электрический шок, сенсорная депривация, психохирургия, рвотные средства, генная инженерия, гипнотическое внушение, электрофизиология, неопределённые приговоры, вживленные в мозг электроды, аверсивная терапия, лекарственное обусловливание, поведенческая инженерия и т.п. Внедрение этих методов входило в государственные программы. Особенно они были развиты в США. На современном этапе данные биологические методы отвергаются во многих странах и рассматриваются как разновидность пытки и унижения прав человека. В этой связи в статье подробно рассматриваются критические подходы к концепции клиницистов.

*Lasha Mindadze, PHD student*

## **Biological trend of prevention of juvenile criminality and problem of punishment**

The article considers that the biological model of prevention of juvenile criminality is realised as conceptions of two kinds in modern countries. Conception of resocialization considers the penitentiary institutions to be directed toward necessity of investigation the juvenile abilities and refusal from tough punishment. In this respect, medical-biological analysis of juvenile abilities were identified to be of great importance. Regulations raised by the conception of resocialization served as a basis for UN Convention on children's rights of 1948.

Supporters of the conception of "Modification of behaviour" opposed the conception of resocialization. They suggested the implementation of such methods as: electric shock, sensor deprivation, psychosurgery, vomiting means, gene engineering, hypnotic suggestion, electrophysiology, indefinite sentencing, electrodes made in brains, aversive Therapy, pharmaceutical stipulation, behavioural engineering, etc. Implementation of such methods were included in state programmes and were particularly developed in the USA. At present, the biological methods are rejected by many countries as they are considered as a variety of torture and humiliation of human rights. Consequently, critical approach to the conception of clinicians are considered in the article.

ლ ო ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. Джозеф Н. Психология и психиатрия в США (J. Nahem. Psychology and Psychiatry Today. N.Y.: International Publishers, 1981 – Пер. Л.В. Дубровиной и П.И. Войсунской). М.: "Прогресс", 1984-<http://psylib.org.ua/books/nahem01/txt03.htm>;

2. Новые границы в области международного предупреждения преступности - Международное обозрение уголовной политики (Материалы департамента ООН по экономическим и социальным вопросам). Нью-Йорк, 1973;

3. Фокс В. Введение в криминологию. М., 1980;

4. Чавкин С. Похитители разума. М., 1981;

5. Delgado J. Transdermal Communication with the Brain – American Psychologist. 1975;

6. Mark V., Ervin F. Violence and Brain. N.Y. 1970;

7. Pinatel J. Le probleme de J'interpretation en clinique criminology chronoque de criminologie et des science de l'homme - Revue de science criminelle et de droit penal compare. 1974. № 4.